ივერია

1882

№ XII, დეკემბერი.

თბილისი.
ძმეთმეტ ხელოსნის სტამბა.
1882

შინაარსი:

I «ივერიის» განცხადება 3

II Ciriye Wingfield გატეხილი, რომანი (დასასრული). 7

III ჰეინედამ (დუქსი) ი. ბაქრაძისა 63

IV ისტორიული სურათები—ქართველი ქალი (დასასრული). მდ. დიმ. ჯანაშვილისა. 64

V ისტორიული კილო თ. გრ. ორბელიანის დუქსებში (პოეტის 50 წლის იუბილეის გამო) სილოკანისა 98

VI საამზითვო (დუქსი) თ. რაფ. ერისთავისა. . . . 115

VII შინაური მიმოხილვა (ბ-ნ შეისნერის პროექტი) . . 117

VIII განცხადებანი. 150

[illegible] (ს[illegible])

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი.

წელიწადი მეექვსე.

№ XII.

6012

თბილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.
1882

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Декабря 1882 г.

განცხადება

ჟურნალის

«ივერიის»

გამოცემაზედ 1883 წელსა (წელიწადი მეშვიდე).

მომავალს 1883 წელს სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი «ივერია» გამოვა იმავე სიგრცით და პროგრამით, როგორც აქამომდე გამოდიოდა, მხოლოდ რედაქციამ მიიღო ყოველივე ღონისძიება, რომ ჟურნალი შინაარსით უფრო სრული იყოს და ყოველივე ღირს-შესანიშნავი მოვლენა, რომელიც კი მოხდება ან ჩვენს ცხოვრებაში, ან რუსეთისაში, ან უცხოქვეყნებისაში, ჟურნალმა უყურადღებოდ არ დასტოვოს.

ჟურნალს აღუთქვეს თავის თანამშრომლობა ბევრმა ჩვენმა ძველმა და ახალმა მწერალმა. რედაქციას ეცდება, რომ რომანებსა და მოთხრობებს ჩვენის ცხოვრებიდამ უფრო მეტი ადგილი ეჭირათ ჟურნალში, ვიდრე აქამომდე ეჭირათ. ესლა რედაქციის სელშია რამდენიმე მოთხრობა ჩვენის ცხოვრებიდამ, რომელნიც მომავალს წელს ჟურნალში იქნებიან დაბეჭდილნი.

უმთავრესი ყურადღება ჟურნალში მიქცეული ექნება შინაურს მიმოხილვას. აგრეთვე, თვისა-და-თვის თავს ჟურნალში იქნებიან შემდეგნი გახუოთილებანი: რუსეთის მიმოხილვა, უცხოქვეყნები, კრიტიკული წერილები, ახალი წიგნები, სამეცნ-

ნიერო წერილები, თეატრი და სხვ. გარემოებათა შესაფერად, რედაქცია ეცდება, რომ ყოველივე ამ განყოფილებათა-განი ვრცლად ⁄ წესიერად იყოს შემუშავებული. აგრეთვე, რადგან ჩვენში განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცემა არ არსებობს, ამისათვის რედაქციამ მიუმატა ჟურნალს პედაგოგიური განყოფილება, რომ მშობლებსა და მასწავლებლებს მიეცეთ ღონისძიება თვალ-ყური ადევნონ პედაგოგიის განვითარებას. ზოგიერთა ჩვენმა გამოცდილმა პედაგოგებმა აღგვითქვეს ამ საგნისათვის სამუდამო თანამშრომლობა.

რედაქცია ბოდიშს ისდის თავის მკითხველებთან, რომ წარსულში ჟურნალი სშირად თავ-თავის დროზედ ვერ გამოდიოდა ⁄ ⁄ შემდეგში ეცდება იგი, რომ ამ დაგვიანების მიზეზები მოსპოს, რამოდენადაც კი რედაქციაზედ არის დამოკიდებული, და ყოველი წიგნი თვისა-და-თვის თავს გამოსცეს.

«იგერიაში» მიიღებენ მონაწილეობას შემდეგნი პირნი: ი. ბაქრაძე, ე. ბაბაშვილისა, ბ. ბაბაშვილი, ი. ბოგებაშვილი, თ. რაფ. ერისთავი, ბ. თუმანიშვილი, ე. იოსელიანი, ნ. ლომაური, ა. მოჩხუბარიძე (ეაზბეგი), ა. ნინეიშვილი, თ. ჭორდანია. ნ. ძანანოვი, მ. ეიფიანი, ბ. ეიფშიძე, სტ. ჭრელაშვილი, ნ. ხუდადოვი, მღ. ჯანაშვილი და სხვ.

ხელის-მოწერა ჟურნალს «ИГЕРИАЗЕДЕ» მიიღება ⁄ ⁄ ⁄

ში ხუთ მანათად, ან სამი მანათი პირველს იანვრამდე და ორი მანათი პირველს მაისამდე 1883 წ.

ხელის-მოწერა მიიღება:

თ ბ ი ლ ი ს შ ი: შავერდოვის საგენტოში, ბულვარზე, ალექსანდროვის ბალთან და ნანუკოვის და ჯაბადრის საგენტოში, ბულვარზედვე, ბელოვის სახლში; აგრეთვე რედაქციაში, ყოველ-დღე დილის რვა საათიდამ ათ საათამდე. რედაქცია იმყოფება, გოლოვინის პროსპექტზედ (ბულვარზედ), ოსნოვის სახლებში, № 22, სადგურის (კვარტირის) № 9.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ფული და წერილები შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ
Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ.»

რედაქტორები ილია ჭავჭავაძე და
ი. მაჩაბელი.

რედაქციისაგან.

ვისაც ამ 1882 წლის ჟურნალის «ივერიის» ფასი ჯერ სრულად არ შემოუტანია, ვსთხოვთ გამოგზავნონ რედაქციაში ამ წლის დამლევამდე.

ციხე შიგნიდამ გატეხილი.

(დასასრული *).

ნაწილი მეხუთე.

თავი პირველი.

ხვრელი ვეფხვისა.

დილის ცისკარმა აღმოსავლეთისკენ მშვენიერად კაშკაში იწყო და გამოჩნდა როზასის ჯარის ბანაკი. ერთმანერთში არეულ-დარეული იყო სანგლები, გროვა-გროვა უუმბარები, თოფები, სალდათები და ქალები. გაისმა ბუკის ხმა და მას თან მოჰყვა სალდათების დანძღვა-გინება, ცხენების ჭიხვინ-თრეტუნი.

როზასის კარავი ბანაკის შარჯვენა მხარეს იდგა, მაგრამ თითონ როზასს კი იქ არ გაეტარებინა ღამე. მაშ სად ეძინა? შუაღამისას ის დადიოდა თავის ჯარის ბანაკს შორის და აძლევდა ბძანებას; აი ეს-ეს არის აქ იყო, ნახევარ საათის შემდეგ კი სადღაცა ჩქარებოდა.

ის წამოისხამდა ხოლმე თავის სალდათის მანტიას, იმის-

---

*) „ივერია“ № 1F, 1882 წ.

ვე ქუდს იხურავდა და სადღაც მიმავუ ელს ადგილას იძინებდა, რომ არავის ეშოვნა იგი და არ ეცნო.

აი კიდევ მოვიდა რიზასი თავის კარავში, ჯარის უფროსები და ათიცრები გარ-შემოესხვივნენ და იწყეს ჩაის სმა.

კარავის შუაში იდგა სტოლი, რომელზედაც ბევრი ქაღალდები ეწყო. სტოლის გარშემო სამი ბუერადი იჯდა; აქვე იყო ერთერადი კორვალანი, რომელსაც ხელში ბევრი ქაღალდები ეჭირა.

რიზასის დანახვაზედ ყველანი ფეხზედ წამოდგნენ. აღმადგინებელმა თავის მანტია და ქუდი კრატზედ დააწყო და ბოლოთის ტემას მოჰყვა. მწერლები და ადიუტანტები ფეხზედ იდგნენ და რიზასი კი მათ ყურადღებას არ აქცევდა.

სალდათმა რიზასს ჩაი მოართვა და იმანაც მხოლოდ მაშინ უთხრა ფეხზე მდგომებს ღიმილით:

— დასხედით.

ისინი დასხდნენ,

მერე მიუბრუნდა კორვალანს და გაკვირვებით ჰკითხა:

— თქვენც აქა ხართ?

— დიახ, თქვენო მაღალ-აღმატებულებავ.

— როდის მოხვედით?

— ამ ერთის საათის წინად.

— რა ამბავია ქალაქში?

— მშვიდობა თქვენო მაღალ-აღმატებულებავ.

— კმაყოფილნი არიან?

— დიახ, ბატონო.

— ვიქტორიკა როგორღა არის?

— გუშინ საღამოზედ ვიყავ იმასთან; კარგად არის.

— რატა კიდევა ნახო, ჩემს მაგიერად მოიკითხე. გუშინ ის

ამ არ იყო და მეშინოდა ხომ არ მოკვდა მეთქი. ის რეგვენი დონ-ფელიპეც ნასვეთ?

— დიახ, თქვენო მაღალ-აღმატებულებავ.

— ვინ იცის შიშითა კანკალობს?... ახლა ამ რადა ამბავია?

— ამ ორის საათის წინად ეს ქაღალდები მივიღეთ.

— აბა ამ მომეტით.

როზასმა გახსნა პაკეტები, გადასცა მწერალს და უთხრა წაეკითხნა.

იმან წაიკითხა შემდეგი:

«ბატონს დონ ხუან-მანუელ დე-როზასს

ბანაკი. აგვისტოს 8-ს 1840 წ.

«დიდად პატივ-ცემულო გუბერნატორო და გენერალო!

«ამ თვის ხუთს მივიღე თქვენი წერილები, რომელთაგანაც ვსტანდ, რომ თქვენ მოგწონებიათ ჩემი აზრი შესახებ სალდათების ჩაცმისა, თოფების დარიგებისა და სხვ. და სხვ.»

— კარგი, კარგი. აბა ახლა სხვა წაიკითხეთ. ეს ვისაგან არის?

— დონ ვისენტე ლონზალეტისაგან. ის იწერება აჯანყებულების მოძრაობაზედ...

— მე შენ მაგას არა გკითხავ, შენ წაიკითხე.

— «ალვალეს აჯანყებულების მოძრაობა 30-ს და 31 აგვისტოს, 1 და 2 სექტემბერს.»

—თვითონ აჯანყებულების მოძრაობაზედ წაიკითხე.

— 30-ს რიტხვს...

— რომელ თვეს?

— აგვისტოს, როგორც ეჩვენ წინად მოგახსენეთ, მიუგო მწერალმა.

— ურიგო არ იქნება, გაძეორება, გამიგონე შენ კი, მი-

უბრუნდა როზასი მეორე მწერალს, — მოაგონე ამ ვირს, რომ მურალის უნიტარების მოძრაობა ნამდვილად აღნიშნოს ხოლმე...

— რომ რიცხვები აღნიშნოს ხოლმე, არა ბატონო?

— რა რეგვენი რამა ხარ... ჭო, ჭო, ჭო, როგორც გეუბნებიან, ისე მოიქეცით. წაიკითხე.

ბირველმა მწერალმა კანაგრძო.

«30-ს დილის ცხრა საათზედ დაიძრნენ მურალი უნიტარები თავის ადგილიდამ და მივიდნენ ლუხანოსთან, სადაც დაიბანაკეს საღამოზედ. «31-ს: ავაზაკმა ლავალემ დასტოვა ლუხანოში სურსათის ურმები და არტილერიის ნაწილი, თვითონ კი მსუბუქი ზარბაზნები წაიღო.

„1-ს რიცხვს ლავალე თავის ადგილიდამ არ დაძრულა.

„2-ს რიცხვს უნიტარებმა წინ წამოიწიეს.

«ცოტა ხნის უკან ისევ შედგნენ.

«მეექვსე საათზედ უნიტარები დაუახლოვდენ რამერეცის ჯარებს და დაუწყეს სროლა.»

— სხვა აღარაფერია?

— აბა ახლა სხვა წაიკითხე.

მწერალმა წაიკითხა შემდეგი:

მონტევიდეო, 1 სექტემბერს 1840 წ.

თქვენო მაღალ-აღმატებულებავ.

«აქ მურალ უნიტარების შორის სრული უთანხმოებაა: ერთნი ლანძღამენ ლავალეს, რომ ისე ჩქარა არა მოქმედობს, როგორც იმათ უნდათ, სხვები კი...

— აბა ერთი ნახე, ეკორკალენ, ეს რა სმაურობა ისმის. ან არა, შენ აქ იყავ: შენ ეი, აბა წადი, გაიგე, რა ამბავია, უთხარ როზასმა სალდათს, რომელმაც ჩაი მოართვა.

სალდათი გავიდა; კორეველანი და მწერლები ხმა-გაკმენ-დილნი იდგნენ.

— გასაგრძე კითხვა, უთხრა როზასმა მწერალს.

«ერთნი აგინებენ ლავალეს...

— ეგ ხომ წაიკითხე, ტუტუცი ნუ ხარ და.

მწერალი გაუკვირდა და განაგრძო:

«ხვანი კი ამბობენ, რომ ის წინ ადარ უნდა წავიდეს, ვიდრე...

— რა იყო? ჰკითხა როზასმა დაბრუნებულს სალდათს.

— არაფერი, ბატონო.

— როგორ თუ არაფერი?

— ვიღაც მოსულა და საჭაპურებს ჭუიდის, ჩვენები კი ამბობენ რომ ეს ლავალეს ჯაშუში არისო.

— განა არ იციან, საიდამაც მოვიდა?

— რა ვიცი, ბატონო, ვგონებ კი ლავალესაგან არის გამოგზავნილი.

— კარგი, უთხარ სალდათებს, როგორც უნდათ ისე მოეპყრნენ.

სალდათი გავიდა. როზასმა მწერალს უთხრა, კითხვა განაგრძო.

«ვიდრე არ დარწმუნდება, რომ მოქალაქენი იმისა მიემხრობიან. ეაჩალმა ლავალემ ეხლა ადარ იცის რა ქნას: უველარჩევას აძლევს და არ იცის ვის დაუჯერონ. რაც შეეხება რიგერას...

მწერალმა უეცრად შესწყვიტა კითხვა, როცა მოისმა ტირილისა და ვედრების ხმა როზასის კარავის გარედამ: იმისი ერთგულნი ჭლაკედენ საწყალ საჭაპურების გამყიდველს და ხარობდენ იმის სისხლის დანახვაზედ.

ეს უბედური კაცი სამოცდა-ათის წლისა იყო, სასულად ერქვა ანტონიო კალვინო. ის ყოველთვის სხვა-და-სხვა საჭმელებსა ჭამდა, მაგრამ ესლა კი ბედმა ულალატა.

— განაგრძე კითხვა, უთხრა როზასმა ცივად.

...«რიგერას, იმას აზრადაც არ მოსდის მათი შეელა გულით უნდა იმათი დაღუშვა, იმიტომ კი არა, რომ თვითონაც მურალი უნიტარი არ იყოს, არამედ იმისთვის რომ ერთმანერთში ვერ მორიგებულან.

„განდეგილები აქ ყოველ-დღე მოდიან. ყოველივე ღონისძიება უნდა იხმაროთ, რომ იმათ გზა და კვალი შეუკრათ.

«ათი თუმანი, ვისგანაც უნდა მიმეღო, მივიღე.

«ღმერთსა ვსთხოვ თქვენს კარგად ყოფნას.

— სხვა არაფერია.

— გამიგონე, უთხრა როზასმა კორვალანს, როცა ქალაქში წახვიდე, კუიტინოს უთხარი რომ გათთხილდეს, თორემ უნიტარები მონტევიდეოში იპარებიან-თქო. მასა კიდევ არ მოსულა? ჰკითხა როზასმა სალდათს.

— გიასლათ.

— უთხარი, ჩემთან შემოვიდეს.

ერთის წამის შემდეგ შემოვიდა მარიანო მასა, უფროსი ზღვის ჯარებისა, რომელიც როზასის უველა ბორტ-მოქმედებაში მსურველ მონაწილეობას იღებდა. როზასმა ჰკითხა მას:

— აქ არიან ბუშინ დაჭერილი ტუვეები?

— აქ არიან, ბატონო.

— რამდენნი არიან?

— ოთხნი, თქვენო მაღალ-აღმატებულებავ.

— ოთხნიც დახვრიტეთ.

მასამ დაუკრა თავი და გავიდა გარეთ: როზასი კი მიუბრუნდა და უთხრა კორვალასს:

— ახლა კი შეგიძლიანთ ქალაქში წახვიდეთ.

კორვალანი შეკვდა ტახტზედ და წავიდა.

როზასმა დაიწყო ბოლთის ცემა. ამ დროს ეს კაცი სულ ხალხის ხოცვასა და სისხლის დაღვრაზედ ჭფიქრობდა. ის ადგენდა სხვა-და-სხვა შლანებს ხალხის დასახოცად, რომ იმათ სისხლს ბუენოს-აირესის ქუჩებში რუსავით ედინა.

თავი მეორე.

გაბრაზებული პილადი.

ჭაბუკი დანიელ ბელო სელზედ იყო გადაწოლილი და კითხულობდა მარინოს «სავაჭრო გაზეთს», ამ დროს ქალაქნითა. და ქშენით შემოვარდა იმასთან დონ-ფელიპე კანდინო, რანას სეკრეტარი.

— დანიელ!

— ბატონო?

— დანიელ! დანიელ!

— ბატონო! ბატონო!

— ვიღუპებით.

— ვიცი.

— იცი და არა გეშველი!!

— მაგის მეტზედ სხვაზე რაზე ვფიქრობ!

— ველარ, დანიელ, ველარ... ველარ მოვასწრობთ.

— უფრო კარგი.

— როგორ თუ უფრო კარგი?! ჰკითხა დონ-კანდინომ, გაჩუმდა თვალები და დაჯდა დანიელის გვერდით დივანზედ.

— მე იმას ვამბობ, რომ ამისთანა გაჭირვებულს დროს კაცმა ერთბაშად მოუღოს თავის-თავს ბოლო ისა სჯობიან.

— დიაღ, სახელოვნად კი მოუღოს, არა?

— თუ უსეიროდ.

— როგორ თუ უსეიროდ?

— სახელოვნად, თუ უსეიროდ,—ჩემის აზრით შიშით სიტყვასლეს სიკვდილი სჯობიან.

— რისა უნდა გვეშინოდეს?

— იმისი, რომ თავებს დაგვჭრიან.

— შენა და შენისთანა მაშოთრებს ვინდა თავები დასჭრან, ვინდა რაც უნდა უყოან. მე კი ბატონო დანიელ, სამაგისო არა დამიშავებია-რა და დრო არის ჩვენ შორის ყოველივე კაეშირი მოისპოს. მე სულითა ლ გულით თანა-ვუგრძნობ აღმადგინებელს და დონ ფელიპეს, მე მინდა...

— შენ ვინდოდა გაქცეულიყავ, ბატონო დონ-კანდინო.

— მე?

— დიაღ, შენ, და მაგის მომქმედს კაცს ფედერაცია სიკვდილითა სჯის.

— მერე რითი მტკიცდება ეგა?

— ბატონო დონ-კანდინო, შენ როგორც ვეტეობა ჩამოღრჩობა ვინდა.

— მერე?

— მე მხოლოდ მინდა გამაგებინო, ვინ ვინდა რომ ჩამოგაღრჩოს—რაზასმა თუ ლავალემ. თუ რაზასმა, მაგას ეხლავე აგისრულებ, მხოლოდ პოლკოვნიკ სოლომანთან წასვლა დამჭირდება; თუ ლავალემ და ერთი-ორი დღეც მოიცადე, ვიდ-

რე ლაკვალე აქ მოვიდოდეს და იმასთანაც გაგირიგებ ჩამოღრჩობას.

— მაშ მე ორივე შემთხვევაში მომკლამენ?

— კი არ მოგკლამენ, — ჩამოგაღრჩობენ, თუ სულელურს ლაპარაკს არ მოიშლი.

— გამიგონე, დანიელ, ჩემო შვილო, გინა შენ ჩემს პირისახეს ვერა ხედავ?

— ვხედავ, ბატონო.

— მერე რას მატყობ?

— შიშსა.

— არა, არამც თუ შიშს, არამედ ურწმუნობასაც ხალხისადმი. ეს არის შედეგი იმ საშინელ შთაბეჭდილებათა, რომელნიც ამ ატოტა ხანში გამოვცადე.

— რაო, რას ამბობ?

— რაც ბატონ გუბერნატორისგან გამოვედი — მას აქეთ აქამდის ორჯერ შევხვდი იმ ხალხს, რომელნიც ჭვანან...

— რასა?

— ეშმაკებს, კაცის ტანისამოსით.

— თუ მასკებიან ეშმაკებს, — არა?

— ღმერთო რასა ჭვანან, რა საზარელის შესედულობისანი არიან!... განსაკუთრებით იმათი ხანჯლები. ერთი იმათგანი მე ვიცი როდისმე გამომეცხადა, — არა? როგორ ჭეიქრობ, დანიელ?

— არა მგონია. მერე რა დაგიშავებია?

— არაფერი, სრულიად არაფერი. მაგრამ წარმოიდგინე, რომ მე იმათ სხვა ვინმე ვეგონო და...

— ეჰ, კარგი, თუ ღმერთი გწამს, თავი დავანებოთ მაგას.

შენ ხომ არანასგან იმ განზრახვით წამოხვედი, რომ ჩემთან მოსულიყავ?

— დიახ, დანიელ.

— მაშასადამე, ახალს ამბავს შემატყობინებ რასმე.

— დიახ.

— აბა რასა, ჩემო მეგობარო?

— არც არაფერი ვიცი და ვერც არაფერს შეგატყობინებ. მე ადარ მინდა პოლიტიკაში გარევა.

— მაშ შენ გინდოდა საიდუმლო ამბავი გეამბნა რამე ჩემთვის?

— მე ეგ სურვილი არა მქონია.

— გინდა დაგენაძლევები, რომ შენის სერთუკის ჯიბეში ეხლა საგულისხმო ქაღალდი ძევს.

— მე არაფერი არა მაქვს-რა.

— იმაზედაც დაგენაძლევები, რომ როდესაც აქედან გახვალ და შეხვდები რომელსამე ფედერალს, რომელიც შეტყობას მოინდომებს, იარაღს ხომ არ ატარებ, მაშინ ადვილად იპოვის შენს ჯიბეში ქაღალდს, და იმ ქაღალდის გამო ჩასაყლაპად არ დაგინდობს.

— დანიელ!...

— თუ შეიძლებოდეს, ბატონო, ჩამაბარე ის ქაღალდები...

— ერთის პირობით.

— აბა რა პირობით?

— შენ ადარ უნდა მთხოვო, რომ კვლავაც ქაღალდები მოგიტანო.

— უფრო ტკბილი თქვენთვის; ოთხი დღე არც კი გაივლის, რომ ლავალე შემოვა ბუენოს-აირესში.

— განა შენ იმას არ შეატყობინებ რა ღვაწლიც დავსდე თავისუფლებისათვის?

— არა, თუ ქალაქდებს აღარ მოამიტანთ.

— მაშ შენ დარწმუნებული ხარ, რომ ლავალე უსათუოდ მოვა?

— მაშ რას იზამს.

— ჩვენში კი დარჩეს და მეც აგრე ვფიქრობ. აჭა და წაიკითხე.

დანიელმა გაშალა დონ-კანდინოსგან მოტანილი ქალაქდი და წაიკითხა:

«მებრძოლი ჯარი.
29 აგვისტოს, 1840 წ.

«ბატონს დონ-სუან კამელინოს, სან-პედროს კომენდანტს.

«გულითადის სიხარულით გაუწყებთ, თქვენის ქვეშევრდომების შესატყობინებლად, რომ ჩამოვარდა ხელში რუზასთან გასაგზავნი ქალაქდები, საიდამაც სჩანს, რომ სალსი ჩვენს სამართლიანს საქმეს თანაუგრძნობს. მრავალი მაზრები გადაუდგნენ რუზასს და უარს უცხადებენ შემწეობის მიცემისას.

«ისიც გავიგე, რომ მაგდალინის მილიცია წინააღუდგა თავის უფროსებს იმ დროს, როდესაც უბრძანეს შეერთებოდა ჯარს. თავისუფლების საქმე ჩქარის ნაბიჯით წინ მიდის. უველა ეს ამბავი შეატყობინეთ თქვენს ქვეშევრდომებს; თავისუფლების ჯარი არა საჭიროებს სიცრუეს, რომლითაც მტარვალი რუზასი ცდილობს დამალოს თავის გაჭირვებული მდგომარეობა.

«ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

«ხუან ლავალე.»

— ახლა რას იტყვი ამაზედ? ჰკითხა დონ-კანდინომ დანიელს, როდესაც იმან კითხვა გაათავა.

უმაწვილმა კაცმა ჰასუსი არ გასცა.

— მოდიან ჩვენთან, დანიელ, მოდიან.

— არა, ბატონო, მიდიან, მიუგო მოწყენით დანიელმა.

— რას ამბობ, დანიელ, ჭკუაზედ მოდი.

— მე კი არა, ისინი არ არიან ჭკუაზედ მოსულები, რომელნიც სოფლის მაზრებზედ თვიქრობენ და ქალაქს ბუნებასირესს კი თავს ანებებენ. რაღაც უბედური ბედი სდევს თავისუფლების დასსა და მათთან ერთად სამშობლოსაც!... სთქვა სიმწარით უმაწვილმა კაცმა. დონ-კანდინო კი გაკვირვებული უცქერდა მას.

— მაშ ჩვენ, თვედერალებს, მართალი გვითქვამს...

— რომ უნიტარები არ ვარგანან,—მაგას სრულიად მართალს ამბობ.

ამ დროს მოისმა კარების რასუნი. დონ-კანდინო შეჭკრთა. დანიელმა დაიგიწყა მღელვარება და მსიარული სასე მიიღო.

ამ დროს კარებში შემოვიდა ქალი თვედერაციის დიდის ბანტით. იმის ცარიხის კაბას ისეთი მრიალი გაჭქონდა, რომ გეგონებოდა შეშალიერი ატკივია.

— უჰ!.. ამოიხვნეშა დონ-კანდინომ.

— მობძანდით, ბატონო მარსელინა,— უთხრა დანიელმა.

— ოჰ, თქვენა ყოფილხართ, ბატონებო!

— დიაღ, ჩვენა ვართ.

— ორესტი და ჰილადი.

— სწორედ ეგენი.

— აი ეს ჰილადი, სთქვა დონა მარსელინამ და წაჭკრა დონ-კანდინოს თითი.

— ბატონო, თქვენ ბორბოტი დედა-კაცი ბძანდებით, მიუგო მან და ჩამოეცალა;

— „დასედე შენსა ბოროტსა და ამაესა გულსა,
«იგი არა გრძნობს მეგობრობასს და სიყვარულსა.

— ოჰ, ნეტა არ იქნება სულაც რკინისა ვიყო... უთხრა ოხვრით დონ-კანდინომ.

— განსაკუთრებით კისერი გქონდეს რკინისა, არა ჩემო მეგობარო, უთხრა დანიელმა.

— რა არის? ამ ბილადს თავის მოკვრა ხომ არ მოელის?...

— მე გთხოვთ, ბატონო, მაგისთანა სიტყვებს თავი დაანებოთ. მე უნიტარი არცა ვარ და არცა ვყოფილვარ, — გესმით თუ არა.

— დიდი რამ კია შენი თავი!

— ეგ იმაზეა დამოკიდებული, ვისი თავია; თუ შენია არაფერია, მაგრამ ჩემი კი...

— შენი გოგრა რადაა. ანტონიოს და ტიტერონის თავები არ იყო, რომ კაპიტოლში ხალხს აბვენებდენ.

— დანიელ, ეს დედა-კაცი თუ ეშმაკის ნათლი-დედა არ იყოს, ღმერთი გამიწყრეს... ეს ან ეშმაკია და ან ეშმაკის ქალი. ოგველოვის, როდესაც კი ამის სახლისკენ წავსულვართ, უსათუოდ უბედურება რამ შეგვმთხვევია. როგორც შენი უწინდელი მასწავლებელი, როგორც შენი ძველი მეგობარი, გთხოვ, ეს ქალი აქედამ გაგდო...

— „ვითა ამლევ შენს მზაკვარს ენას სებას,
«რომ შეურაცს-ყოფს მშვენიერსა ქმნილებას.

— მშვენიერი ქმნილება?! დამიხედე მშვენიერს ქმნილებას!?.. ⁄ დონ-კანდინომ ზიზღით გაიშვირა სელი დონა მარსელინასკენ.

— ბატონო დანიელ, ეს რას ნიშნავს?

— კისერში წაჰკარ მაგას, დანიელ.

«ეს რა ადგილს მომაგდო შავმა ბედმა!...

— ეგ იმას ნიშნავს, რომ პატივ-ცემული ბატონი ცოტა გაჯავრებულია, უთხრა დანიელმა მარსელინას ლ სიცილს ძლივე იმაგრებდა.

— ამას მე ვგონებ ინგლისის ლიტერატურის მეტი არა შეუსწავლია-რა, უთხრა სტუმარმა ქალმა და ზიზღით შეჭხედა დონ-კანდინოს. ამას რომ ჩემსავით შეესწავლა ბერძნული და ლათინური პოეტები, მაშინ ასე გაუთლელი აღარ იქნებოდა.

— ვაი შე სატოდავო, ვიოლომ და იტი ბერძნული და ლათინური.

— არა, მაგრამ იმათი მიმართულება კი ვიცი.

— შენა?!

— მე, მე, საწყალო და საბრალოვ.

— დანიელ, თუ ღმერთი გწამს გაგდე ეს დედა-კაცი, თორემ მეტის მოთმენა აღარ შეძიძლიან.

— არ ვიცი ღმერთმანი, დანიელ, თქვენისთანა ჭკვიანი კაცი ამისთანა ტუტუცს როგორ დამეგობრებია... მაგრამ სჯობს შევრიგდეთ და თანხმობით ერთად ვიცხოვროთ და ერთადვე დავიხოცოთ. აი ჩემი ხელი. დონა მარსელინა მიეიდა დონ-კანდინოსთან.

— თავი დამანებე! უთხრა დონ-კანდინომ და უკან დაიწია.

— დაიფიცე ამა ტრაბეზის წინაშე, რომ ჩემთან ერთად გადაარჩენ რომს დაღუპვისაგან!

— თავი დამანებე მეთქი, გეუბნები.

— დონა მარსელინა, უთხრა დანიელმა, რა ვქნა რ შეიძლო სიცილის შემაგრება,—თქვენ ხომ იმიტომ მოსულხართ, რომ მომელაპარაკოთ რაზედმე, მაშ მობძანდით ჩემს კაბინეთში.

—«მე მოგსულვარ გაცნობოთ ნება ცისა,
«და გიჩვენოთ თქვენ გზა იმა სოფლისა...»

— ასეთ ალაგასაც წასულხარ, რომ ვეღარ მოსვიდე, წაიბუტბუტა დონ-კანდინომ, როდესაც მარსელინა დანიელის კაბინეთში შედიოდა.

— დეღლასი მოვიდა, უთხრა მარსელინამ, როდესაც კაბინეთში შევიდა.

— როდის?

— დღეს დილით.

— იქიდამ როდისლა წამოსულა?

— ამ სამის დღის წინად. აი წერილი.

დანიელმა წაიკითხა მარსელინას მოტანილი წერილი და ცოტა არ იოს, ჩაფიქრდა. ეს ქალი, როგორც ვიცი, დანიელის ერთი ჯაშუშთაგანი იო.

— სამ საათამდის არ შეგიძლიან დეღლასი ნახო?

— რატომ.

— უთხარი რომ დღამებამდის უსათუოდ მნახოს,

— კარგი, ვეტყვი.

— ოთხიდამ ხუთ საათამდის მოგუცდი,

— კარგი.

— უსათუოდ მალე კი შეატყობინე.

— ესლავე, როგორც ჩიტი, ისე გავფრინდები.

— არა, ჩვეულებრივის სიარულით წადი, თორემ ჩქარა მოსიარულეს ეჭვიანის თვალით უყურებენ. მაშ ნასვამდის, დონა მარსელინა.

— ღმერთი იოს შენი მფარველი, დანიელ.

როდესაც მარსელინა ზალის გვერდით ოთახში შევიდა, დანიელიც მეორე ოთახში შევიდა და ახლად მიღებული წერილიც თან შეიტანა.

დონ-კანდინო ზალაში დასეირნობდა, როდესაც მარსე-

ლინა დაბრუნდა უკან. დონ-კანდინომ მას ზურგი შეაქცია.

დონა მარსელინა მივიდა დონ-კანდინოსთან, დააწყო მხრებზედ ხელები და უთხრა:

— გაეტე შენზე ძლიერ გაკვირებულია, რადგან შენ მას გეუტრუდას გული წაართვი.

იოსაფატის საყვირის ხმა ისე ძლიერ არ იმოქმედებდა ხალხზედ, როგორც იმოქმედა დონ-კანდინოზედ გაეტეს სსენებამ.

— ოქვენ სწორედ გიყების სახლში ჩასასმელი ხართ, ქალბატონო. გეუბნებით თავი დამანებეთ მეთქი.

— შენი გველური გული უსათუოდ ხანკლით გაიგმირება.

— ღმერთო ჩემო!! დანიელ!

— გაიგმინდე ხმა!

— არ გავიგმინდავ... ვინა ხართ, მიშველეთ!!

დონ-კანდინოს ყვირილზედ დანიელ შეკიდა და ჰკითხა:

— ვინა ყვირიდა, რა ამბავია!

— ეს ქალ-ბატონი, გაეტეს ჯაშუში, არ მანებებს თავს.

— თუ ღმერთი გწამთ, გაჩუმდით, ცოტა ხანს მაინც.

დანიელ წავიდა ისევ თავის საწოლს ოთახში, სადაც დოქტორი ალკორტა და ედუარდო დიდი ხანია ისხდენ.

როდესაც მათთან ბირველად შეკიდა, დანიელმა უთხრა დოქტორ ალკორტას:

— აი რა წერილი მივიღე.

დოქტორმა ალკორტამ აიღო ქაღალდი და წაიკითხა შემდეგი:

«პარიჟი, 11 იულისს, 1840 წ.

«ვიცე-ადმირალის ბოდენის მაგივრად ლა-ბლატზე მომქმედ სამხედრო გემების უფროსად დაინიშნა ვიცე-ადმირალი მაკო, რომელიც მალე წამოვა მანდეთკენ,

«მაკო ძლიერ გულადი ვაჟ-კაცია. ეს ჯერ ჩვიდმეტის წლისა იყო, როდესაც ინგლისის გემებთან ბრძოლაში ისასხელა თავი და იქამდის მიიყვანა ინგლისის გემების უფროსი, რომ სირცხვილს ვეღარ გაუძლო და თავი მოიკლა.

«დავშთები თქვენი კეთილის მოსურნე და სხვ. და სხვ.

— დიაღ, ჩემო მეგობრებო, ყველაფერი იმედს გვაძლევს, რომ ეს მდგომარეობა მალე გათავდება.

— მერე როგორ გათავდება, კარგად თუ ავად?

— ჯერ შეიტყე, დანიელ, რომ ჩვენი ქომაგები მოდიან.

— ძლიერ გვიან მოგლენ და ცუდადაც სჩადის, ვინც ლავალეს არწმუნებს, მოუცადოს ამ ქომაგებს და მათ მოსვლამდის არაფერი საქმე არ დაიწყოს. იქნება საფრანგეთის სამხედრო გემები მოვიდნენ, მაგრამ როზასი იმათ მოურიგდება და ჩვენ კი მშრალზედ დავრჩებით.

— ეგ საფრანგეთის მხრივ უსინიდისობა იქნება! შეჰყვირა ედუარდომ.

— ეჰ, ჩემო კარგო, პოლიტიკურს საქმეებში სინიდისს რა სელი აქვს.

— მართლა კი ურჩევენ ლავალეს ფრანცუზების მოსვლამდის მოიცადოს? ჰკითხა დოქტორმა ალკორტამ.

— დიაღ, აგრე ურჩევენ არგენტინელები, რომელთაც მარტო დიდის ჯარის იმედი აქვსთ.

— ოჰ, მე რომ ლავალე ვიყო! სთქვა ედუარდომ.

— შენ რომ ლავალე ყოფილიყავ, აქამდის ჭკუაზე შესცდებოდი. გენერალს ყველასფერში სელს უცარავენ. ზოგნი ურჩევენ მოცდას, ზოგნი კი მოქმედებას. ამისთვის გენერალმა ალარ იცის რა ქ�. როზასი ამით სარგებლობს და თანდა-თან ამლიერებს თავის ჯარებს.

— საუბედუროდ ყველა მაგას მართალს ამბობ,—უთხრა დოქტორმა ალგორტამ,—ეს ხალხი ჰიტანს როზასის ყველა უსამართლობას, ამისთვის რომ ბირველადვე იმის წინაშე ქედი მოუდრეკია.

— დიაღ, ბატონო, ხალხი თვითონ არის დამნაშავე როზასის მტარვალობისა, ამისთვის რომ იგი წინ ველარ აღუდგა როზასს.

— ყველა ეგ ხომ თქვენი მოსაზრებაა და სხვა არაფერი? შენიშნა ედუარდომ,—დღეგანდლამდის თავის უფლების ჯარი წინ მოდის და აქ შემოვა სვალ ან ‘ხვ. სინამ კი ჩვენს მეგობარს ჩვენგან შედგენილი კერძო ბლანი მოსწონს,—ასე არ არის?

— დიაღ, მეც აგრე მგონია, სთქვა ალგორტამ, რომლისადმისაც იყო მიქცეული ეს კით,ვა ედუარდისაგან.

— შენ ჩვენი ორიგეს აზრი უნდა შეგეტყობინებინა, უთხრა დანიელმა.

— მე ყველაფერი ვიცი. ბირველში კი ვეჭობ.

— არა, ბატონო, საეჭვო არაფერია. მართალია, ჩვენ ცოტანი ვართ; ძლიერს თხუთმეტმა კაცმა მოვიკრიბეთ თავი, მაგრამ ვაჟ-კაცობა კი არ გვაკლია. ოღონდ გენერალი შემოვიდეს და მერე ჩვენ ვიცით. თუ რომ გენერალი ერთი ოტ-დახუთ კაცსაც მოიცემს, მაშინ ჯარის უკან დაწევაში ბასუსისმგებელი მე ვიქნები იმ შემთხვევაში, თუ ეს უკან დაწევა საჭირო იქნება.

— მერე ი არადი?

— მე ძზადა მაქვს ორმოტ-და-ექვსი თოფი და სამე ათასი ბატრონი.

— მერე რა იყოს ბრძოლის ნიშანი?

— დეე ბრძოლის დაწყობამდის გენერალმა შემატყობინოს.

— მერე შეიძლება იმასთან მისვლა-მოსვლა?

— ძალიან კარგად.

— მაშ შენი მეორე აზრი უფრო მომწონს, ამისთვის რომ შენთვის საზიზღარ დაანებო თავი შენს შინაურს საქმეებს. მხოლოდ მაშინებს ის დრო, როდესაც გზას გაუდგებით.

— მანდ საშიში არაფერია, დოქტორო. მე დავიბარე ჩემი ჯაშუში, რომ გავგზავნო წერილი გემების უფროსთან. იმ წერილში ვწერ, რომ ერთი საამხედრო ნავი გამომიგზავნოს.

— კარგად მოგიფიქრებია.

— ამასთანავე ვსწერ, რომ თვითონვე დამინიშნოს წასვლის დრო და ადგილი.

— მერე ამ მოგზაურობას დიუპასკეს ქალი აიტანს?

— მე გეგონებ, რომ აიტანს. ის ორ კვირასაც ვედარ გასძლებს ბუენოს-აირესში.

— ნამდვილად კი განუზრახავს აქედან წასვლა, ჰკითხა ედუარდომ.

— გუშინ საღამოზედ ნამდვილი პირობა დამიდო, მიუგო დანიელმა.

— ესლა მოუთმენელად მოელის აქედან წასვლას, დაუმატა ექიმმა ალგორტამ,—და თანხმაც არის, რომ დანიელ აქ დარჩეს. იმას შენ ისე უყვარხარ, ჩემო მეგობარო, როგორც თავისი შვილი.

— ნამდვილი შვილიც ვიქნები, და თუ იმის შვილი ვერა ვხდები დღესა და ხვალ, ეს იმისთვის, რომ იმას თვითონ არ უნდა. როგორც უგელა შეგრძნობიერი ქალი; ისიც ცრუ-მორწმუნეა და ამისთანა სამწუხარო დროს ქორწილის გადასდისა ეშინიან.

— დიაღ, დიაღ, იქნება ასე უფრო კარგი იყოს. ვინ იცის

ეგეულა ჩვენ რა ბედი მოგვეღებოს... ქალები მაინც უნდა გადავარჩინოთ,—დაუმატა დოქტორმა ალკორტამ.

— ჩემს ტურიეას კი ვერ დავიუოლიებთ, ბატონო... იმის დარწმუნება არას გზით არ შეიძლება.

— თვით ბელგრანოც ვერ დარწმუნებს?

— ვერა, ბატონო, მიუგო ედუარდომ, რომელსაც ალკორტას ამ კითხვაზედ გული შეუფანცქალდა.

— ესლა ორი საათია, ჩემო მეგობარო. მგონია თქვენ დღესვე უნდა შეუდგეთ წასვლის საქმეს?

— დიახ, ბატონო, ამალამ ეგულებერს შევამზადებთ.

— გთხრთხილდით კი. ჩემო მეგობრებო.

— დიუპასკეს ქალის სახლში ეს უკანასკნელად მივდივართ, სთქვა ედუარდომ.—როგორც კი იმას გავისტუმრებთ, იმის სახლი დაცარიელდება.

— მაშ სვალამდის მშვიდობით.

— მშვიდობით, ბატონო.

— სვალამდის, ჩემო მეგობარო.

ემოწვილი კაცები გადაესვივნენ თავიანთ უწინდელს ფილოსოფეიის მასწავლებელს, რომელიც დანიელმა ჯარეთ კარებამდის გააცილა.

თავი მესამე.

კაცების გამპარებელი

როგორც კი ექიმი ალკორტა წავიდა, მაშინვე დანიელის ჯაბინეთიდამ მოისმა კარების ბრახუნი.

— მოითმინე, უთხრა დანიელმა ედუარდოს, და წავიდა თავის კაბინეთისკენ. იმას აკვირვებდა კარების რახუნი, რადგანაც იმის დაუკითხავად არავის არ შეეძლო იმის სახლში შესვლა.

— ოჰ, ეს შენა ყოფილხარ, ჩემო მასწავლებელო! სთქვა დანიელმა, როდესაც დონ-კანდინო დაინახა.

— დიახ, მე ვარ დანიელ,—მომიტევე გეთაყვა, რადგანაც დაიგვიანე, მე ახლა მეგონა სხვა კარებიდამ გასვლა მეთქი სახლიდამ. მარტო დარჩენა ყველგან ვერიდები... ამისთვის რომ...

— ედუარდო!

— რა გინდა? მოსცა ხმა ედუარდომ და შემოვიდა.

— როგორ! ბელგრანო აქ არის?

— დიახ, ბატონო, მე იმისთვის ვუძახი ედუარდოს, რომ თქვენი მწყურ-მტყვლელობა გაიგოს.

— მაშ ჩემთვის ეს სახლის საშინელი განსაცდელებით ყოფილა სავსე?!

— ეგ როგორ, ჩემო მასწავლებელო?

— ეს რა ამბავია, ღმერთმანი, დანიელ... მე გთხოვ სიმართლე მითხრათ. მე მინდა ნამდვილად გავიგო თუ ეს რა სახლია.

— როგორ თუ რა სახლია?

— დიახ, რა სახლია?!

— ისეთივე სახლია, როგორიც ყველა.

— არა, ძმაო, სუმრობ, ისეთი არ არის. აქ უნიტრებიც იერიბებიან და ფეედერალებიც.

— ეგ როგორ, ბატონო.

— ამ ნახევარ საათის წინად აქ შემოუშვი ქალი, რომელიც ჯაშუშია იმ წყეულის მღვდლისა, ესლა კიდევ ეს ამრევ-დამრევი კაცი გამოიყვანე შენის საიდუმლო ოთახებიდამ. სჯობს ჩვენ შორის ეოკვლივე კავშირი მოვსპოთ.

— როგორ, როგორ, ბატონო დონ-კანდინო, თქვენ ჩემს მეგობარს მაშთოთარი დაუძახეთ და ესლა გავწუვიტოთ კავშირი! მაგისთანა მკვახე სიტყვები მეგობართ შორის არ უნდა იხმარებოდეს.

— რაში იქნება ჩემი მეგობარი, როცა ბატარა იყო ლ მტრედსავით უმანგო, მაშინ ჩემი მოწაფე იყო, მაგრამ მას აქეთ...

— მას აქეთ ამას შენს სახლში მაღავდი, ჩემო მასწავლებელო.

— ჩემდა უნებურად.

— ეგ სულ ერთია.

— მაგრამ მე მაინც შენი მეგობარი არას დროს არა ვყოფილვარ, მოწყალეო სელმწიფეო...

— შენ ესლაც მაგის მეგობარი ხარ, ბატონო დონ-კანდინო, უთხრა დანიელმა,—შენ ხომ არანას სეკრეტარი ხარ?..

— მერე რა არის,..

— აი ესეც გენერალ ლავალეს სეკრეტარია.

— გენერალი ლავალეს სეკრეტარი!... და მე მელაპარაკება!..

კარების რახუნმა გააწყვეტინა მათ ლაპარაკი ლ იმ დროს, როდესაც ორივე სეკრეტრები კაბინეთში დარჩნენ, დანიელ გავიდა ზალაში და თვითონ გააღო კარები, რომ გაეგო ვინ მოსულიყო.

— ოჰ, ეს თქვენა ბძანდებით, ბატონო დუგლას! უთხრა დანიელმა ახლად მოსულს.

— დიაღ, ბატონო, თქვენი მონა და მოსამსახურე გახლავართ. მე ეს-ეს არის დონა მარსელინა ვნახე...

— იმან გითხრათ, რომ თქვენ ჩემთვის საჭირო ხართ?

— დიაღ, ბატონო.

— მართალია. აბა შინ მობძანდით. მონტევიდეოდამ როდის მოსულხართ?

— ამ სამის დღის წინად.

— ვინ იცის იქ რა ამბავია?

— ყველას უნდა აქედან გაქცევა, უთხრა ინგლისელმა მსრეგბის აწევით.

— შენ გისარგებლეს, ფულებს ბევრს ასვეტამ...

— აგრე რიგადაც არა. წარსულს თვეში სამოცდა-ოთხი კაცი გავაპარე და თითოს სუთ-სუთი თუმანი გამოვართვი.

— ეგ ცოტა არ არის.

— ცოტა არ არის, მაგრამ მეც რომ ყოველთვის საფრთხეში ვიმყოფები.

— მართალია, მაგრამ ეშმაკს უკრო ადვილად დაიჭერენ, სინამ შენ.

ინგლისელმა გადისარსარა.

— აბა რა ვითხრა, სთქვა ინგლისელმა,—მე თვითონაც მინდა, ერთსულ როდისმე შემსვდნენ გზაში, მინდა გავიგო მათი ვაჟ-კაცობა, მაგრამ არ იქნა არ შემსვდნენ. ესპანიაში თამბაქოს ვაპარებდი, და აქ კი კაცებს ვაპარებ.

ინგლისელმა კიდევ გაიხარსარა.

— მე კიდევ დამჭირდა თქვენი თავი, ბატონო დუგლას და როდესაც მონტევიდეოში მიდიოდეთ, შემატყობინეთ. რაც მონტევიდეოში გასატანებელი მაქვს, ხვალ ჩაგაბარებთ. ესლა კი ეს წერილი გემზედ წაიღეთ. ყველა ამისთვის, რავდენიც გსურდეთ, ოქროდ მოითხოვეთ.

— აი ეგ მიუვარს, სთქვა ინგლისელმა სელების ფშვნეტით. ძლიერ მიუვარს ბევრი ფულებთან საქმის დაჭერა. აბა ასლა წერილი მიბოძეთ.

— ესლავე, მიუგო დანიელმა და შევიდა თავის კაბინეთში.

ინგლისელი კი ანგარიშობდა თუ რამოდენა საჩუქარი გამოერთმია დანიელისთვის.

ამ საშინელ სალხის გამაბრუებლებმა დიდი ღვაწლი დასდეს ბუენოს-აირესის უმაწვილ-კაცობას. თუმცა ისინი გაბარებაში ფუღლებს ერთმეოდენ, მაგრამ თუ რომ ისინი არა ყოფილიყვნენ, ბევრი უმაწვილი კაცი მოკვდებოდა როზასის მოსელეების სანგლით.

თავი მეოთხე.

გადამარჩენელი გემი.

ჩუმი, ბურუსიანი ღამე იყო; წყალი უშფოთველად მიმდინარებდა და გრილი მოსისინე ნიავი არსებდა მას.

შორს, ცის დასავლისკენ, აქა-იქ მოკამკამობდენ კარსკელვნი.

ამ ღამის ათს საათზედ ერთი გემთაგანი განშორდა ნავთრებს და შეკიდა შუაგულს წყალში. გემზე ერთი უმაწვილი ფრანტუზის ოფიცერი იჯდა და ეჭვსიც მისი მეგობარი.

ეს გემი დიდის სისწრაფეით მისტურავდა, უმაწვილი ოფიცერი კი იჯდა სკამზედ და დასტქერდა ხან კარტას და ხან კომპასს. ტოტა ხნის შემდეგ ოფიცერმა გასინჯა უბის საათი და მისცა გემს მიმართულება; მერე უბძანა მოეხსნათ იალქნები, ოვითონ კი ფარანი სკამის ქვეშ შესდგა.

ქალაქი თვალიდამ გაჭქრა; მარცხნივ გამოჩნდა წყლის მეორე ნავთრები. ამ დროს ოფიცერმა ერთი სიტყვა უთხრა მატ-

რაზს და გემიც იმავ წამსვე მარცხნივ წავიდა. ნავთრამდის ორ-მოცდა-ათი საჟენის მეტი აღარ იქნებოდა.

რაკი აქეთ-იქით ნავთრიდამ არავის ხმა არ გაიგონეს, გემი კიდევ ნავთრ-ნავთრ მიდიოდა. არ გასულა დიდი სანი, რომ უმაწვილმა ალიცერმა წყლის ნავთრზედ ცეცხლი დაინახა.

— ეგონებ აქ უნდა იყოს, სთქვეს გემში მჯდომთ, მაგრამ ისე ჩუმის ხმით, რომ თავიანთი ხმა თვითონაც ძლივს ესმოდათ.

ღამის თერთმეტი საათი იყო.

იმავე ღამის შვიდ საათზედ ფერმინი ეკიპაჟით მივიდა დიუპასკეს სახლთან. ცოტა ხნის შემდეგ ეკიპაჟის კიბეებზედ ავიდა ეს უბედური დედა-კაცი გაყვითლებული და დაუძლურებული; ხმას მისდევდა ძმისი ქალი ფლორენსია—მშვენიერი, როგორც ზირველის სიყვარულის ალთქმა, წმინდა და უზაკვალი, როგორც ხლად გაფურჩქვნილი მაისის ჯარდი.

ეკიპაჟი ტისისკენ წავიდა. აქ ეკიპაჟს წინ დაუხვდნენ ორი მსედარი და, რაკი ეკიპაჟი იცნეს, გაჭყვნენ უკან.

უეცრად მეორე მხრიდამაც გამოჩნდა ოთხი მსედარი, რომელნიც ეკიპაჟს უახლოვდებოდენ. ორმა მსედრმა, რომელნიც ეკიპაჟს მისდევდენ. მაშინვე ისარი მოიმარჯვეს, რომ გულადად დასვედროდენ იმ ოთხს უცნობ მსედარს, მაგრამ საბედნიეროდ ის მსედრებიც მათი ნაცნობები გამოდგნენ.

თუმცა ცოტა არ იყო ციოდა, მაგრამ დიუპასკეს ქვრივი თავის ქალს ფლორენსიას ეკიპაჟის ფანჯარას აღებინებდა. როდესაც იგი აღებდა სოლმე ფანჯარას, ბმის მშვენიერს სახეს ორი სიყვარულით სავსე თვალი უყურებდა. ეს თვალები იყო დანიელისა.

ამ დროს დანიელ დაუახლოვდა ეკიპაჟის მეგობარს და უთხრა:

— გინდა ყველაფერში გამოგიტუდე?

— სიყვარულში ხომ არ გინდა გამომიტუდე. ვითომ რა დიდი რაძა გგონია! მეც თვითონ შეყვარებული ვარ, მაგრამ კი არა მრცხვენიან.

— არა, საქმე ეგ არ არის.

— მაშ რაა?

— ძე მეშინიან, ვშიშობ.

— შიშობ?! ეგ ტუდია.

— მე არა ვსუმრობ, ედუარდო. მე, რომელიც ოთველთვის საფრთხეში ვაგდებ ჩემს თავს,—მე ვშიშობ! ამაწვალობითვე მიყვარდა ლამე, განსაცდელი, მხოლოდ იმისთვის, რომ ჩემს გულს შემდეგში შიში არა სცოდნოდა. ესლა კი შიშითა ვთრთი.

— წასაქეზებელია, რაღა გითხრა, დამისვდე ვაჟ-კაცს! მაშ რისთვის გვინდა ვაჟ-კაცობა, თუ ესლაც შეგშინდებით.

— მე არ მეშინიან იმ განსაცდელისა, რომელიც ბირადად მე შემესება; ხოლო, რომელიც ფლორენსიას და იმის დედას შეესება—იმისი კი მეშინიან. მე სიკვდილისაც არ დავერიდები, მაგრამ ფლორენსიას თვალებზედ ცრემლის დანასვისა კი ძლიერ მეშინიან. ესლა ხომ გაიგე რის შიშიცა მაქვს?

— დიაღ, მიკვდი, და ყველაზედ ტუდი ის არის, რომ ეგ შიში მეც გადმომდე. ძლიერ ძნელია, როდესაც შენს თავზედ კი არა, სხვაზედა შიშობ. არა დანიელ?

— დიაღ, დიაღ, ედუარდო.

— ჩვენ ესლა ასლო ვართ, დანიელ,—ათის წამის შემდეგ ჩვენს ადგილზედ ვიქნებით. ნეტა როდის გათავდება ასეთი ვაგლახი მდგომარეობა! ვინ იცის, იქნება ხვალ ან ზეგ გათავდეს ლაკალეს წყალობით. ხომ შეიძლება, რომ ჩვენები ზეგ აქ იყვნენ, შენ როგორა ჭფიქრობ?

— მეც აგრე ვფიქრობ, მიუგო დანიელმა,—ბრძოლა ხვალ დაიწყობა და ამისთვისაც მინდოდა, რომ ფლორენსია ამაღამ წამეყვანა ბუენოს აირესიდამ.

— მაგრამ ამაღია... ეს ჯიუტი ამაღია, არ მოდის ჩვენთან! სთქვა ედუარდომ მღელვარებით.

— ამაღია უფრო გულადია, ვიდრე ფლორენსია. იმას ვერავინ დაარწმუნებს, რომ თავის ბედი შენს ბედს მოაშოროს. შენ აქა ხარ, ისიც აქ დარჩება; ის შენი ჩრდილია.

— პირიქით, ის ნათელია, რომელიც მინათებს ცხოვრების გზას! უთხრა ედუარდომ.

მოგზაურები ცარიელს სახლთან მივიდნენ. იქიდამ არც სინათლე და არც ადამიანის ხმა არ გამოდიოდა. მაგრამ როგორც კი ეკიპაჟი და მხედრები შედგნენ, სახლის კარები გაიღო და გამოჩნდა ამაღია თავის ლუიზათი. ყველანი სახლში შევიდნენ და ალერსიანად დაიწყეს ლაპარაკი, ბოლოს დანიელმა სთქვა:

— მაღე ათი საათი შესრულდება. ჩვენ უნდა ფანჯარასთან დავსხდეთ და მოველოდეთ მეგემის ნიშანს, რომელმაც უნდა აქედამ წაგვიყვანოს.

რამდენიმე წამის უკან დაინახეს, რომ გემი წყლის ნაპირას მოადგა. ყველანი გემთან მივიდნენ და შიგ ჩასხდენ. დიდ ხანს ესალმებოდნენ ერთმანერთს სიყვარულით და ალერსიანად. ბოლოს მეგემემ დაინახა, რომ დრო არის წასვლისა და დასძრა გემი. ამაღია, ედუარდო და ლუიზა დიდ ხანს უყურებდენ მიმავალს გემს. ათმა წამმა არ გაიარა, რომ წყლის იქითა ნაპირიდამ, საითაც გემი წავიდა, მოისმა თოფის ხმა, რომელმაც ძლიერ შეაშინა ამაღია, ედუარდო და პატარა ლუიზა.

ოთხი მეხუთე.

ფედერალური მიმოხილვა.

ედუარდო ჯერ ისევ იქითკენ იყურებოდა, საიდამაც თოფის ხმა მოისმა და უნებლიედაც იტაცა ხელი რევოლვერებზედ, მაგრამ ამ დროს შეშინებულმა ამალიამ დაარღვია ამ ადგილის მყუდროება.

— წავიდეთ, წავიდეთ, თუ ღმერთი გწამს! უთხრა ამალიამ და დაუწყირა ედუარდოს ხელები. ედუარდო მიხვდა ამალიას შიშს, მოხვია მას წელზედ ხელი და უთხრა:

— დიაღ, დიაღ, წავიდეთ, ჩვენ აქ არც ერთი წამი აღარ უნდა დავიგვიანოთ.

ჯერ ორი ნაბიჯი არ გადაედგათ, რომ კიდევ თოფის ხმა მოისმა. ორივენი შეკრთნენ და იქითკენ დაიწყეს ცქერა, საიდამაც ხმა მოვიდა.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! წარმოსთქვა ამალიამ.

— არა, ეგ არაფერია, ჩვენები გემიდამ ისვრიან, უთხრა ედუარდომ.

— ხომ შეიძლება, რომ ისინი დაეჭრათ, ედუარდო?!

— ეგ ძნელი დასაჯერებელია; წავიდეთ, წავიდეთ. აქ სხვა უბედურება მოგველის.

— სხვა უბედურება...

— დროით წავიდეთ.

ორივენი მაშინვე წამოვადგნენ; როდესაც ამალია ზალაში შევიდა და მოისადა შავი ბალდადი, ედუარდო გააკვირვა იმისმა ფერ-მკრთალმა სახემ.

უმაწვილი ქალი ჩამოჯდა სელსზედ, იდაყვი სტოლს დაბჯინა და თავი თავის თეთრ ხელებს დაყრდნო, მაშინ როდესაც ედუარდო მიეიდა ფანჯარასთან და ეურჩი დაუგდო, ხომ თოფის ხმა კიდევ არ მოეიდოდა.

როდესაც ედუარდო დაბრუნდა, ამალია ისევ წინანდებურად იჯდა.

— კმარა ამალია, კმარა, დარწმუნებული იყავ, რომ დანიელ ეხლა სამშვიდობოს არის გასული და გულით იცინის, უთხრა ედუარდომ; მოუჯდა გვერდით თავის გულის-სწორს და უსწორებდა მხრებზედ გადაყრილს თმებს.

— რამდენჯერ გაისროლეს!.. არ იქნებოდა,—არავინ დაეჭრათ...

— ეგ ტყვიები ფიქრია: გემის ჩრდილს დაინახავდენ და იმას დაუწყებდენ სროლას.

— მთელს წყლის ნაპირებს გარეშემო ჯარი არტია.. რა მოუვა დანიელს? როგორ გადარჩება?... ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო.

ამ დროს ლუიზამ შოართვა ჩაი თავის ქალ-ბატონს. ედუარდო კი ისევ ფანჯარასთან მიეიდა და დაუწყო ეურის გდება. არ გაეიდა სამი წამი, რომ ედუარდომ გაიგონა ცხენების ფეხის ხმა.

— ცხადია,—ესენი არიან, რომელნიც გემს თოფებს ესროდენ, ჰფიქრობდა თავის-თავად ედუარდო. ეგონებ ჩვენც არ გაგეიშვებენ ენასავს; ოჰ, წუეულო ბედო!... წამოიძახა უმაწვილმა კაცმა და მეიკვნიტა ტუჩები.

როდესაც ედუარდო ზალაში შემოეიდა, ამალიამ მაშინვე შეატეო მას სახეზედ რაღაც მწუხარება და უთხრა:

— რა არის, ედუარდო, შემატეობინე, თუ ღმერთი გწამს

შემატყობინე.—შენ ხომ იცი, რომ მე ყოველის უბედურებისათვის მზადა ვარ.

— არაფერი უბედურება არ იქნება. ამ ბორის ძირში ცხენოსნებმა გაიარეს და ვგონებ რომ ის ცხენოსნები არიან, რომელთაც დან.ელის გემს რამდენჯერმე ესროლეს თოფები. ეს არის სხვა არაფერი.

— სხვა არაფერი?... კარგი. დასე, როგორ გამოვიცან, თუმცა ძლიერ კი მიძალამდი. ლუიზა, ედროს დაუძახე.

ლუიზა გავიდა და ედრო შემოგზავნა.

— ედრო, ეთხრა ამალიამ.—მე ვიცი ამაღამ ჩვენს სახლს დაეცემიან და გაგხრეკენ,—შენ მაგრად უნდა ბაკეტო კარები და იარაღი მოამზადო.

— ეკეთებერი მზად არის, ქალ-ბატონო, მიუგო ედრომ.

— მეც მზადა ვარ, სთქვა ედუარდომ და წამოხტა ზეზედ. მერე უცერად ჩამოჯდა სკამზედ და სთქვა:

— არა, არა, აქ სიისხლის დაღვრა არ შეიძლება.

— გამიგონე, ედუარდო, სთქვა ემაწვილმა ქალმა, ჩემი სიცოცხლე სრულიად ეკუთვნის იმ კაცს, რომელიც მიყვარს და თუ ბედი იმას უბედურებას უმზადებს, მეც მზადა ვარ ის უბედურება შეუზედ გავუეო.

ჯერ ამ ლაპარაკი არ დაესრულებინა, რომ ზემოთა გზიდამ ცხენების თქარა-თქარი მოისმა. ედუარდო და ედრო მოემზადნენ და იარაღი აიხეს.

ცოტა ხანს უკან ცხენოსნები მოვიდნენ სახლთან და დეზების წვრა წვერით გადმოხტნენ ცხენებიდამ. მერე გრეთა კარი, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, დარახუნეს.

— ჩვენ ასე უნდა მოვიქცეთ: ეთხრა ედუარდომ ამალიას; არც კარები უნდა გავეღოთ და არც ხმა გავცეთ. თუ დაამ-

ტვრეკენ და შემოვლენ, მაშინ კი უნდა ვებრძოლოთ უკანასკნელს სისხლის წვეთამდე.

კარები ძლიერ მაგარი იყო და ვერ გასტეხეს. მერე უფროსის ბძანებით რამდენჯერმე ესროლეს თოფი. ჰედროამ რა ეს ნახა, მიეიდა ამალიასთან და უთხრა:

— მე გიცი ეს წუწკები, თანჯრებსაც დაუწყობენ სროლას და ამისთვის თქვენი აქ დარჩენა არ შეიძლება.

— არა, მე თქვენთან დავრჩები.

— გამიგონე, შეილო, თუ შენ შენის ნებით არ წასვალ, მაშინ მეძ ლად წაგიყვან აქედამ, უთხრა ჰედროამ ამალიას ისეთის დაბეჯითებით, რომ ამალია დაეშორჩა და ლუიზასთან ერთად შეეიდა შიგნითა ოთახში. ჰედროამ და ედუარდომ თავთავის ადგილი დაიჭირეს საბრძოლველად.

ჰედროს სიტყვა მართალი გამოდგა: ცხენოსნებმა თანჯრებს დაუწყეს სროლა და რამდენიმე ტყვია ზალაში შეკარდა.

მერე ისევ კარებს მოაწვნენ ისეთის ძალით, რომ კარებმა ჭაჭა-ჭუჭი დაიწყო.

ამ დროს ლუიზა მოესვია ამალიას მუხლებზედ და უთხრა ტირილით:

— ქალ-ბატონო, მე ერთი წერილი მომაგონდა, რომელმაც შეიძლება ამ განსაცდელს გადაგვარჩინოს.

— ჰო, ჰო, მართლა. მომიტანე დროით ის წერილი.

ლუიზა გაიქცა და მოიტანა.

ამალია მაშინვე შეეიდა ზალაში და უთხრა ედუარდოს და ჰედროს:

— თუ ღმერთი გწამთ ადგილიდამ ნუ დაიძვრით... მათ ჰასუსს ალარ მოუცადა და სასწრაფოდ გაიღო კარებიც და თანჯარაც.

გაალო თუ არა ფანჯარა ათი, თუ თორმეტი მხედარი მოტვივდეს და შემოუვეს ფანჯარაში დამბაჩის ტუჩები.

ამალია არ მოშორდა ფანჯარას და დამშვიდებულის ხმით უთხრა:

— ბატონებო, თავს რად ესხმებით ქალის სახლს: აქ არც კაცები არიან და არც ფულები გვაქვს.

— ჩვენ უაჩალები არა ვართ! მიუგო ერთმა მათგანმა.

— თუ ეს სამხედრო მიმოვლა არის, მაშ თქვენ არ უნდა გაგეტეხნათ ამ სახლის კარი.

— ვინა სტხოვრობს ამ სახლში? ჰკითხა უფროსმა მათგანმა.

— აი ეს წაიკითხეთ და გაიგებთ. ლუიზა სანთელი მოანთე.

ტხენოსნების უფროსმა სანტა-კოლომამ გაშალა წერილი და, რა ამოიკითხა წერილის დამწერის გვარი, საშინლად გაჭკვირდა.

— გთხოვთ ხმა-მაღლა წაიკითხოთ, რომ ყველამ გაიგონოს, უთხრა ამალიამ.

— ქალ-ბატონო. მე ამ ტხენოსნების უფროსი ვარ ძ სრულიად საკმარია მარტო მე წაგიკითხო, მიუგო სანტა-კოლომამ და გადაათვალიერა წერილი, რომელიც წინად გამოსტეულ დანიელმა როზასის ქალს ამალიასთვის.

— ქალ-ბატონო, უთხრა სანტა-კოლომამ და მოიხადა ქუდი,—მე არც თქვენი უსიამოვნება მინდოდა და არც ვიცოდი ვინა სტხოვრებდა აქ. მე მეგონა, რომ ამ სახლიდამ გამოვიდენ ისინი, რომელთ გემსაც აქამდის თოფს ვესროდით და რადგანაც აქ ამის მეტი სახლი არ არის...

— ამისთვისაც დამიმტვრიეთ სახლის კარები, განა? გაანწყვეტინა ამალიამ, რომ გადაერია სანტა-კოლომა.

— გთხოვთ მაპატიოთ, მე არ ვიცოდი თუ ამ სახლში დონა მანუელიტას მეგობარი სცხოვრობდა. თვითონ მევე მოვიხდი ბოდიშს იმასთან. დამერწმუნეთ, რომ აქ ჩვენ ბოროტი განზრახვა არა გვქონია.

— მჯერა, მჯერა და ამისათვის მანუელიტასთან ბოდიშის მოხდა საჭირო არ არის. მე არავის არ ვეტუვი, რაც აქ მოხდა. შეცდომა კის არ მოუვა.

— ბატონებო, ცხენებზედ შესხედით! ეს ფედერალების სასლი ეოთილა!... უთხრა სანტა-კოლომამ თავის ქვეშევრდომებს. ბოდიშს ვიხდი კიდევ, უთხრა მან ამალიას; — ღამე მშვიდობისა!

— თუ გნებავთ აქ დაისვენეთ.

— არა, არა, ქალ-ბატონო. შემდეგ ამისთანა შეშფოთებისა, თქვენ შესვენება გეჭირვებათ.

— ღამე მშვიდობისა, უთხრა ამალიამ და მიხურა კარები.

ერთის წუთის შემდეგ ამალია უგრძნობლად იწვა დივანზედ.

თავი მეექვსე.

ორმოციდამ მხოლოდ ათი.

ჩვენგან აწერილის ამბის მეორე ღამეს ცარიელის სახლის სარდაფში მოგროვდა რაღაც უცნაური ხალხი. ეკელანი ჩუმის ხმით ლაპარაკობდენ.

— ათი საათია, დაიძახა ერთმა მათგანმა, როდესაც საათი გაშინჯა.

— უფრო კარგი, მიუგო მეორემ და დაიწყო ბოლოს ცემა.

— რასაკვირველია, დასძინა მესამემ, — თუ რომ მსჯველობაში არა ჭკონდეთ-რა, აქამდის შეგვატყობინებდენ.

— მე ვგონებ, რომ ლავალე ხვალ დილაზე ადრე არ შემოვა ქალაქში.

— აქამდის სხვები რატომ აღარ მოდიან?

— ჩვენ ხომ არ ვიცით, რამდენნი კარნ.

— სქმე რავდენობაში არ არის?

— ძალიანაც არის. თქვენა გგონიათ, რომ რამდენიც აქა კარნ, გავსდებით რასმე? სთქვა მათგან უველაზედ უფროსმა.

— მე კი გადავწყვიტე, რომ ლავალეს ვკარის შემოსვლას უმალვე, უნდა შეგუერთდე მას და დავიწყო ბრძოლა მტარვალებთან.

— აგრეთვე მეც.

— ჩვენცა, დაიძახეს სხვებმა.

ამ ლაპარაკის დროს უეცრად ვიღაცამ კარები დააბრახუნა; ოთახში მყოფთ მაშინვე გააღეს კარები. რადგანაც იცნენ, ვინც აბრახუნებდა.

ცოტა ხნის უკან უველანი დანიელსა და ედუარდოს ეხვევნენ გარშემო. დანიელს დაღვრემილობა ეტყობოდა სახეზედ და რაცა ჭკითხეს მიზეზი, მან უთხრა მეგობრებს.

— დღეს საღამოს ექვსს საათზედ ლავალემ უკან დაიწია ეს დამარცხებაზედ უარესია.

უველანი გაჩუმდნენ. არავინ არ მოელოდა ამისთანა საშუალარო ამბავს.

ედუარდომ დაარღვია სიჩუმე.

— ბატონმა ბელომ მაინც უველაფერი არა სთქვა ლავალემ, მართალია, უკან დაიწია, მაგრამ თვითონ დანიელმაც კარგად

ოცის, რომ იმ.ნ ლოპესის გუოლისთვის დაიწყა უკან, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა. ლავალეს უნდა ლოპესი დაეძარცხოს და უკანიდამ მოიშოროს.

— ეგ ნამდვილია, ესლა მე უკვლავფერი მესმის, სთქვა ერთმა.

— უ ჭკვლად აგრე იქნება, განიმეორა მეორემ.

— სწორედ, სწორედ, დანიელმა ტუოილად შეგვაშინა.

— როგორც გნებავდეთ, ისე იფიქრეთ, ბატონებო, უთხრა მათ დანიელმა,—მე კი ვფიქრობ, რომ საქმე წაგებულია. ამ ორის საათის წინად ლავალეს შეეძლო ბუენოს-აირესიც დაეჭირა. სკალ ის უღონო იქნება. ლოპესი მას შორს გაიტუეებს და როზასი კი იმ დრომდის ასალს ჯარებს მოჰკრეფს.

— მაშ ეს ამბავი სხვასაც უნდა გავაგებინოთ.

— ვის სხვასა, მიუგო ედუარდომ.

— როგორ თუ ვისა? განა ჩვენს მეტი კრება ადარსად არის? დანიელმა მწარედ ჩაიცინა.

— არა, ბატონო,—მიუგო იმან, ჩვენის კრების მეტი სხვა კრება არსად არის. ამ ორის კვირის წინად ორმოცმა კაცმა პატიოსანი სიტყვა მომცეს, რომ ჩემს პირველს დაძახებაზედვე მოგროვდებოდეს; შემდეგ ეგ რიცხვი ოც და-ათამდის შეამცირდა, დღეს კი ათზედ მეტი არა ვართ, და იცით ეს რასა ნიშნავს? ეს იმასა ნიშნავს, რომ ჩვენ ერთად მოქმედება არ გვიყვარს, ერთი აქეთ მიგიწევთ და მეორე იქით. აი ეს არის მიზეზი ჩვენის უღონობისა და როზასის ძლიერებისა. სცა საქმე ასეა. იქ თავისუფლებაც და კაცის ღირსებაც განადგურებული და დათრგუნული იქნება. დრო არის დავრწმუნდეთ, რომ იქ თავისუფლება ვერ დამყარდება, სადაც კაცნი ერთიერთმანერთის მომსრენი არ არიან. ერთმანერთის უნდობლო-

ბამ და ცალ-ცალკე მოქმედებამ მოგვიღო ბოლო; გადაკეხვიოთ და გამოვეთხოვოთ ერთმანერთს...

ყველას თვალებში ცრემლები მოერია და ცოტა ხნის უკან ყველანი წავიდ-წამოვიდნენ; მხოლოდ ერთი დარჩა იქ, რომელსაც კარების ჩაკეტა და იარაღის მომზადება ჰქონდა ჩაბარებული.

თავი მეშვიდე.

გვირგვინის ტანისამოსი.

ოქტომბრის ხუთია.

მთელი ქალაქი და იმის მცხოვრებლები დართულნი იყვნენ ამ დღეს. როზასის კბილის ტკივილისაგან მორჩენის დღეობას დღესასწაულობდენ.

მაგრამ თავი დავანებოთ ქალაქს და წავიდეთ ქალაქს გარეთ ამალიას სახლში. აქ ჩვენა ვნახავთ ამალიას გაბრწყინვებულს თავის სიტურფით, ამალიას სიხარულის ცრემლების მიერ ქვეველს.

ამ დროს ამალიან იყო სავსილობელი საგანი ბედნიერებისა და უბედურებისა, სიცოცხლისა და სიკვდილის შორის.

ამალიას სახლის ზალა ძველებურად მშვენიერი იყო. ზალაში არავინ არ იყო. უმაწვილი ქალი თავის ლუიზათი მოსართავს ოთახში იყო და თავის მშვენიერს თმებს იკარცხნიდა.

თავის დაკარცხნის შემდეგ, ამალია მიეიდა ტანისამოსის შკაფთან და გადმოიღო ერთი მდიდრულად მოჩითული კაბა.

ამალიას დიდ ხანს დასცქეროდა ამ მშვენიერს კაბას. ლუიზასაც ძლიერ მოეწონა.

— აი ეს სწორედ კარგია ლუიზა,—ეს კაბა უველაზედ უკეთესია.

— მეც აგრე ვფიქრობ, ქალ-ბატონო. ხომ არ ჩაიცვამთ?—ლუიზამ მოართვა კაბა, რომელიც ამალიამ ჩაიცვა.

— იფ, რა ნაირად გიხდება! უთხრა ლუიზამ თავის ქალ-ბატონს.

მაგრამ უეცრად ამალიამ გაიქნია თავი და თქვა:

— არა, ლუიზა, არ მიხდება, სხვა კაბა მომიტანე. მე მინდა დღეს უკანასკნელად კარგად ჩავიცვა...

— მაგას რას ბძანებთ, ქალ-ბატონო, ღმერთმანი ხვალ ბატონს ედუარდოს ვეტყვი.

— ხვალ?... არა, ხვალ აღმომაჩენილი მზე ჩვენ გაურიღებსა ბვნახავს. მაგრამ რაც მოხდება, ის იქნება, მე კი ძლიერ მინდა დღეს ბედნიერებით დევსტკბე. აბა ეს კაბა როგორღა მოგწონს?

— მშვენიერებაა, ქალ-ბატონო...

— მაშ ახლა წადი და მომიტანე სამკაულები და ეკ ვილები.

ლუიზა წავიდა და მოუტანა ამალიას სამკაულები და ეკ-ვილები.

დიდ ხანს დასტრეფოდა ამალია თავის ეკვილებს და იეკ-ნოსავდა მათს სურნელებას, ბოლოს ერთი მათგანი აიღო და ჩასდო ვაზაში.

ამ დროს, არ ვიცი რისგან, ეკვილი გადმოვარდა სტოლ-ზედ და იქიდამაც იატაკზედ დაეცა.

ამალიამ სწრაფად აიღო ეს ვარდი, მაგრამ უფრო სწრა-ფად აირიგნენ მის თავში ათას ნაირი ფიქრები.

— საკვირველია, სთქვა მან, როცა ვარდიანიღო, ეს ორ-ჯერ დამიკარდა ვარდი და ისიც თეთრი ვარდი! ერთი მაშინ, როდესაც მე მას პირველად მოვეცი ჩემი გული და ერთიც ეს-ლა, როდესაც ვაძლევ ჩემს სულს... რომელი საათია ლუიზა?

— ესაა ქ ლ ბ ტ ონ ო.

— მაშ დრო არის უველაფერი მიანაგ მოალაგო.

ამის შემდეგ ამალაა თავის საწოლის ზეთახში გავიდა და კარები გაიხურა.

თავი მერვე.

ბისტერ სლედი.

ესლა მკითხველსა გთხოვთ მოგვცეს უფან დაბრუნების ნება, რომ ავწეროთ სხვა მოქმედი პირნი ამ ჩვენის ნამდვილის მოთხრობისა.

იმ დროს, როდესაც ალარც დანიელთან და ალარც ამალიასთან ედუარდოს დარჩენა არც ერთს ღამეს არ შეიძლებოდა, დანიელ დაეკითხა ინგლისის პრეზიდენტს მანდეკილს შეიძლებოდა თავის სასლში შეეფარებინა ედუარდო თუ არა. დონ-კანდინო როდრიგეტიც მონასტრებში გაგზავნა, რომ ეგეგბა რომელიმე მონასტრის გამგებელი დაეთანხმებინა ედუარდოს მიღებაზედ. დანიელს ინგლისის პრეზიდენტმა უარი უთხრა ედუარდოს მიღებისა და როდესაც იქიდამ ისა და ედუარდო გამოდიოდნენ, დანიელის ეკიპაჟიც მოვიდა, რომელშიაც დონ-კანდინო იჯდა.

მეგობრები ჩასხდენ ეკიპაჟში და დანიელმა ჭკვიანსა დონ-კანდინოს:

— აბა, რომელის მონასტრისკენ წავიდეთ.

— არც ერთისკენ, რადგან უველამ უარი განაცხადეს.

დანიელს ეს ამბავი ძლიერ ეწუინა და ჩაფიქრდა.

— ამისთანა ცხოვრებას სიკვდილი ბევრითა სჯობიან, სთქვა ედუარდომ. გუშინდელს აქეთ აღარ ვიცი სად მივიდრიკო თავი. მოსამსახურეები აღარ მიდგებიან, ნათესავები ზირს მარიდებენ, აბა ეს ცხოვრებაა?

— უველა მაგ ეებისა მაგივრად შენ გეყავს ქალი, რომლისთანაც ქვეყანაზედ ბევრი არ არის და მეგობარი, რომელსაც შეუძლიან დიდ ხანს ბრძოლა. ამისთანა მეგობრები გეყვდეს და კიდევ ბედს ემდუროდე!

ამ ლაპარაკის დროს ეკიპაჟი ლაბრიდის სასლთან მივიდა, სადაც მაშინ შეერთებულ შტატების კონსული მისტერ სლედი იდგა.

დანიელმა ორჯელ დაარეკინა კარები, მაგრამ არავინ გამოვიდა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა მესამედაც დაარახუნა და მაშინ კი დაინახა კარებისკენ მომავალი კაცი. ეს კაცი მოუახლოვდა დანიელს და ჭკვიანსა ინგლისურად:

— ვინ გნებავთ?

— მისტერ სლედი, მიუგო დანიელმა.

მოსამსახურემ მაშინვე ამოიღო ჯიბიდამ გასაღები და გაუღო კარები.

დონ-კანდინომაც გაბედა ეკიპაჟიდამ გამოსვლა და სამივენი ერთად გაჰყვნენ უკან მოსამსახურეს. ერთს ოთახში ისინი დაუყენა და თვითონ მოსამსახურე კი სხვა ოთახში შეკი-

და. ბატარა ხანს უკან მოსამსახურე გამოვიდა და ანიშნა მათ, რომ შეიძლება შემოსვიდეთო.

ოთახში შევიდნენ ზალაში. მისტერ სლედი იწვა დივანზედ უძილოტკოდ, უფერსახეოდ ლ უხეშმოდ. დივნის წინ ორი ბოთლი იდგა კონიაკით და წყლით.

მისტერ სლედი მიესალმა მათ ლ სთხოვა დამსხდარიყვნენ. თვითონ კი ტანისამოსის ჩაცმა დაიწყო.

— ჩვენ მოვსულვართ გთხოვოთ, რომ ერთს საქმეში დაგვეხმაროთ.

— კიცი. თქვენ გინდათ შეერთებულის შტატების დროშის ქვეშ შეაფარონთ თავი.

— დიახ, სწორედ მაგისთვის მოვსულვართ.

— კარგი. თქვენ უმეტეს აქა ხართ.

— ჩვენ სამივენი არ დავრჩებით აქა. აქ დარჩება მხოლოდ ეს უმაწვილი კაცი, რომელსაც ედუარდო ჰქვიან.

— როგორც გნებავდეთ.

— აქ კი არ შემოცვივდებიან? ჰკითხა დონ-კანდინომ.

— ვინ? ჰკითხა მისტერ სლედმა და შეიგმუხვნა წარბები, მერე დონ-კანდინოს შესცქერა და გაიხარხარა.

— მე როზასთან მეგობრათა ვარ, განაგრძო მან. თუ მკითხავს ვინა და ვინ არიან შენს სახლშიო, მე უველაფერს ვიტყვი. მაგრამ თუ აქედან მათი ძალად წაყვანა მოინდომა, მაშინ მე დაჯიცავ შეერთებულის შტატების ტერესებას ამ სიტყვებზედ სლედმა თითით უჩვენა თოფზედ, დამბაჩაზედ და ხანჯალზედ.

— მეც მოგეშველებით, უთხრა ედუარდომ.

— გმადლობთ, თქვენით ოცნი ვიქნებით.

— ნუ თუ აქ ოცმა კაცმა მოიყარა თავი?

— დიახ, ოცმა, დევნულებმა თქვენის მართლ-მსაჯულებისაგან.

— აქა!

— დიახ, სხვა ოთახებში არიან. მე მითხრეს, რომ სხვებსაც ბევრს უნდა აქ მოსვლა, დეე მოვიდნენ. მე იმათ შესანახად არც შეძლება მაქვს და არც ლოგინი; მაგრამ აქ არის კონსული და დროშა შეერთებულის შტატებისა.

— ჩვენ არც თქვენი ლოგინი გვინდა და არც თქვენი შეძლება; ჩვენ გვინდა მხოლოდ თქვენი მფარველობა, დიდ-სულოვანო ჩამომავალო ვაშინგტონისა, ამიტომ რომ მეც აქ მინდა დავრჩე, სთქვა დონ-კანდინომ და ისე დაარტყა თავის ჯოხი ბოლსა, რომ დანიელმა და ედუარდომ ერთმანერთს შეხედეს და ძლივს შეიმაგრეს სიცილი. დანიელმა ინგლისურად დაუწყო მისტერ სლედს ლაპარაკი და აუწერა მას დონ-კანდინოს ბიროვნება და ხასიათი. იმან ისე გაამხიარულა მისტერ სლედი, რომ მან თვითონ დაუსხა დონ-კანდინოს კონიაკი, დაალევინა და უთხრა:

— ამ დღიდგან თქვენ შეერთებულის შტატების მფარველობის ქვეშა ხართ და თუ თქვენ მოგეწონებთ, მე გუბერნატორ ბუენოს-აირესს ზარბაზნები დაუშინონ.

— უფრო კარგი იქნებოდა, რომ ჩემს მოკვლამდის დაგეშინებინათ ზარბაზნები.

— თქვენ, რასაკვირველია იცით, ბატონო დონ-კანდინო, უთხრა დანიელმა, რომ ეველა ეს ხუმრობაა და თქვენ ჩემთან ერთად უნდა წამოხვიდეთ.

— თქვენ სადაც გნებავდეთ წადით, მაგრამ მე ვი აქედამ ფეხსაც არ მოვიცვლი.

— ამქელამ კი უნდა წამოხვიდე და ხვალ, თუ გინდა, ისევ მოდი, უთხრა დანიელმა.

— მაგაზედ კი თანახმა ვარ.

მისტერ სლედი წამოდგა ზეზე, დანიელს გამოეთხოვა, დონ-კანდინოს კი მხრებზედ სელი დაჭერა და უთხრა:

— თუ აქ ჩვენ ერთმანერთს ველარა ვნახავთ, იმ სოფელს მაინც შევხვდებით.

— თუ აგრეა, მაშ მე აქედან ფესსაც არ მოვიცვლი და დონ-კანდინომ უკან დაბრუნება დაანბარა.

— ნუ თუ ვერა ხედავ, რომ გესუმრებიან, უთხრა ედუარდომ.

— ახა წავიდეთ, წავიდეთ, დაგვიანდება.

ემაწვილი კაცები გადაესვივნენ და გამოეთხოვნენ ერთმანერთს.

— გაუფრთხილდი ამალიას, უთხრა უკანასკნელად ედუარდომ თავის მეგობარს.

იმავე მოსამსახურემ, რომელმაც წინად კარები გაუღო, ესლაც მიაცილა ისანი კარებამდის. როდესაც კარები გაუღო, დონ-კანდინომ ჰკითხა მას:

— ეს კარები ოთველთვის დაკეტილია?

— დიახ, მიუგო მოსამსახურემ.

უფრო კარგი არ იქნება, რომ ოთველთვის დია იყოს?

— არა.

— კარგა დაისწავლე ჩემი სახე; მეორედ რომ მოვიდე ხომ კიდევ მიცნობ?

— დიახ.

— წავიდეთ, ბატონო დონ-კანდინო, უთხრა დანიელმა კიბეაქში ჩავდომის დროს.

— წავიდეთ. ღამე-მშვიდობისა, კეთილო მოსამსახურევ კეთილის კონსულისა...

— მშვიდობით, მიუგო მოსამსახურემ და ჩაკეტა კარები.

თავი მეცხრე.

მაზედ, თუ დონ-კანდინო როდრიგეცი როგორ გახდა კუიტინოს ნათესავი.

სექტემბრის დღის დილის რვა საათზედ დონ-კანდინო შოკოლადსა სვამდა, დანიელ კი რაღაც ქაღალდებს ალაგებდა და ბეჭდავდა. ორივეს ეტყობოდათ, რომ იმ ღამეს არა სძინებოდათ.

— ჩემო მეგობარო დანიელ, ვგონებ ურიგო არ იყოს ცოტა რომ დავიძინოთ.

— არა, ბატონო, ესლა დაძინების დრო არ არის. თქვენ ჩემთვის საჭირო ხართ. შენის დახმარებით უნდა გადავშინჯო ეს ქაღალდები, რომ გავიგო როზასის მართებლობას ამ ბოლო დროს რამდენი კაცი მოუკლავს და რამდენი დაუტუსაღებია.

გაშინჯვის შემდეგ დანიელმა უკელა ქაღალდები საიდუმლო უჯრაში ჩააწყო. მერე დასწერა ედუარდოსთან წერილი და მისცა დონ-კანდინოს, რომ წაეღო. ის იყო დონ-კანდინო უნდა წასულიყო, რომ ამ დროს კარები გაიღო, შემოვიდა მოსამსახურე და მოახსენა დანიელს:

— კაპიტანი კუიტინო გასლავს.

დონ-კანდინო გადაწვა სელზედ და დაიფარა თვალებზედ სელები.

— უთხარი მობძანდეს.—გამხნევდი, ჩემო მეგობარო, ეს არაფერია.

— მე სული კიდეც ამომიგიდა, დანიელ, წაილუღლუღა დონ-კანდინომ.

— მობძანდით, კაპიტანო, უთხრა დანიელმა, ადგა ზეზედ და მიეგება კუიტინოს, მაშინ როდესაც დონ-კანდინომ შიშით არ იცოდა რა ექნა.

— როდის შიიღეთ ჩემი წერილი, კაპიტანო?

— ამ ორის საათის წინად, ბატონო დონ-დანიელ.

— უმეიოდ ხომ არ იყავით, ასე გვინ რომ მოდიხართ.

— არა, ბატონო, ცოტაოდენი საქმე მქონდა.

— სწორედ ეგრე იქნებოდა! ღმერთმა ქნას რომ ეგელანი თქვენსავით ერთგულნი იყვნენ სამსახურისა, ამასვე გეუბნებოდი გუშინ პრეზიდენტსაც.

დონ-კანდინომ რაკი გაიგო, რომ კუიტინო დანიელისგან იყო მოწვეული, ცოტა არ იყო გამხნეკდა.

— თქვენ, კაპიტანო, ღირსი ბძანდებით პატივის-ცემისა. თქვენ მე ნათესავადაც მომხვდებით. ერთი თქვენი ბიძათაგანი დედა-ჩემის ბიძა-შვილზედ ყოფილა ვვარ-დაწერილი, რასთვისაც მე ყოველთვის ნათესური გრძნობა მქონდა თქვენდამი. მე და თქვენში ერთი და იგივე სისხლი სდუღს და უნდა ვეცადოთ, რომ ესსისხლი დავიცვათ ყოველივე წაბილწვისაგან.

— თუ კი შემეძლება, დიდის სიხარულით.

— სხვა ასალი ამბავი რა იცით, კაპიტანო? გაკვეტინა დანიელმა, რომ დონ-კანდინოს მოძუტებული არა დაერღვიანა.

— ბევრი არაფერი. ეს კი არის, რომ უნიტარებს ყოველდღე ვხოცავთ და ვაღრეხოთ, ზოგთაც საპყრობილეში ვყრით. იცით კიდევ რა, ამას იქით ეველა გამვლელ-გამომვლელი ქვეითი და ცხენოსანი უნდა დავაყენოთ ხოლმე და კითხვა გამოვკითხოთ.

— ეს ეველა კარგი, მაგრამ ეკიპაჟები კი არამცა და არამც არ დაყენოთ ხოლმე.

— რატომ?

— იმიტომ, რომ შეიძლება კონსულის ეკიპაჟი იყოს და იმის ეკიპაჟის დაჭერა არამცა და არამც არ გაბედოთ. გინდა კონსული დაგიჭერია, გინდა იმის ეკიპაჟი, ორივე ერთია.

— ეგ არ ვიცოდი, მაშ ჩემს ამხანაგებსაც უნდა შევატყობინო.

— უსათუოდ.

— მაშ ასე, დონ-კანდინო, თუ შენთვის გამოსადეგი ვიქნები, ოოველთვის მზადა ვარ, ხომ იცი, რომ მე შენი ნათესავი ვარ.

— გმადლობთ ბატონო, უთხრა დონ-კანდინომ და ჩამოართვა ხელი კუიტინოს.

— სად სცხოვრობ.

— მე, ჩემო მეგობარო, ვცხოვრობ... ვცხოვრობ აქ.

— მაშ გნახავთ.

— მადლობელი გახლავართ.

— ახლა კი მშვიდობით!

კუიტინო და დანიელ გავიდნენ, დანიელმა გამოთხოვების დროს ჩაიყო ჯიბეში ხელი და უთხრა:

— ეს ინებეთ, კაპიტანო. აქ სამოცი თუმანია, გამოგზავნილი მამა-ჩემისაგან, რომელიც მწერს, რომ ეს თვული საწყალის ოჯახისათვის მიმეცა. გთხოვთ ჩემს მაგიერად თქვენ შეასრულოთ მამა-ჩემის თხოვნა.

— დარწმუნებული ბძანდებოდეთ, ბატონო დანიელ. როდესაც მამა თქვენი დონ-ანტონიო მოვიდეს, შემატყობინეთ.

— მეც დღე-დღეზედ მოველი.

ამის შემდეგ დანიელ გამოეთხოვა კუიტინოს და დაბრუნდა შინა. მიუჯდა სტოლს და დასწერა წერილი ედუარდოს-

თან, რომელშიაც სწერდა, რომ მისტერ სლედთან შეუვარდებულთ ბევრით აღარ ეკლოთ, არამედ ეკიპაჟით, რადგანაც ძვეითად მოსიარულებს იჭერდნენ.

დანიელმა მისცა ეს წერილიც დონ-კანდინოს და გაისტუმრა შეერთებულ შტატების კონსულთან, სადაც ედუარდო იმალებოდა.

თავი მეათე

გული წინად მგრძნობელი

ოქტომბრის მესუთე ღამეა. ჩვენ კიდევ ამალიას სასლს ვუბრუნდებით.

მაგრამ ჯერ-ჯერობით ყურადღება მიგაქციოთ ეკიპაჟს, რომელიც კორიენტესის ქუჩაზედ ბატარა სასლის წინ დადგა; ამ დროს ამ სასლიდამ გამოვიდა მოსუცებული მღვდელი, რომელმაც ეკიპაჟში ორს უცხო პირს დაუკრა თავი და თვითონაც მათთან ჩაჯდა.

საათმა რვა დაჰკრა.

ამალიას უბანი მიყრუებული იყო. იმის სასლში ორმოცდა-ათი სანთელი ანთო, თვითონ ამალია კი არა სჩანდა, ის საკუთარს ოთახში იჯდა და უცემდა ემაწკილი გული.

კედლის საათმა რომ რვა დაჰკრა, ამალია გაუკვირდა.

— რა დაგემართა ქალ-ბატონო, რაზედ გაუკვირდი? ჰკითხა ლუიზამ. თქვენ ამ ბოლოს დროს ასრე მოგდის, რადესაც კი საათი დარეკავს ხოლმე.

— სწორედ ამბობ, მაგრამ მე თვითონაც არ ვიცი რად

მომდის აგრე და დღეს მეექვსე საათს აქეთ ოთვალ დარეკაზედ გულზედ ლოდსავით რაღაც მაწვება.

— ამას კი მოგახსენებთ, ქალ-ბატონო, რომ დღეს მეტის-მეტად შვენით. ასე მშვენიერი მე თავის დღეში არ მინახავხართ.

— გაჩუმდი, სულელო; უკეთესი იქნება წახვიდე და ჭედრონს დაუძახო.

ბატარა ხანს უკან შემოვიდა ლუიზა მორთულის ჭედრონთი.

— კეთილო ჭედრო, უთხრა მას ამალიამ. ამ სახლში ყველაფერი ძველებურად იქნება. მე მინდა, რომ შენც შენს სიტოტხლეში არ დამანებო თავი.

— ძაგას რას ბძანებთ, ბატონო, თავს რად დაგანებებთ.

— მე მინდა, რომ მეორე კვირას მონტევიდეოში გამომყვეთ, რადგანაც ჩემი საქმრო იქ აბირებს წასვლას და ჩემი ვალიც არის თან გავყვე. რას იტყვი, თანახმა ხარ?

— დიდის სიხარულით, ქალ-ბატონო.

ამალია მივიდა სტოლთან, სადაც ძვირ-ფასი ნივთეულებანი ეწყო, ამოიღო იქიდამ ბეჭედი და მიუბრუნდა ისევ ჭედრონს.

— აი ეს ბეჭედი, უთხრა მან, მოქსოვილია ჩემის თმებისაგან, როდესაც ისევ ბატარა ვიყავი. ეს კარგად შეინახე. მამა ჩემს სულ თან დაჭქონდა, როდესაც კი ომში მიდიოდა.

— სწორედ ეგ არის, სწორედ, უთხრა ჭედრომ და აკოცა ბეჭედს, რომელიც ხშირად ესახა ამალიას მაჩის ხელზედ.

ამალიას და ლუიზას თვალები ცრემლებით აევსოთ.

— ახლა სხვაზედ ვილაპარაკოთ, ჭედრო, განაგრძო ამალიამ.

— მიბძანეთ, ქალ-ბატონო.

— მე მინდა, რომ შენ ჩემს ჯვარის-წერას დაესწრო. შენა და დანიელის მეტი არავინ იქნება.

ბასუხის მაგიერად მოხუცი ბედრო მიეიდა ამალიასთან, დაუჭირა ხელები და გულ-წრფელად დაჭყოტნა.

— სხვა მოსამსახურეები წაგიდნენ?

— როგორც ბძანებთ, მე ისინი დაბინდებულიც არ იყო, რომ გავისტუმრე.

— მაშასადამე მარტო შენ-და ხარ.

— მარტო, მარტო.

— ძალიან კარგი. ხვალ ეს ფული დათხოვნილს მოსამსახურეებს გაუგავი. ამალიამ მისცა ბედროს ფული.

— ქალ-ბატონო, უთხრა ლუიზამ, გზიდამ რაღაც ხმაურობა მოდის,

— უკეთესერი ხომ კარგად არის დაკეტილი, ბედრო.

— კარგად, მხოლოდ აიმ კარებს რაღაც ემართება. რამდენჯერ დამიკეტია და გასაღები თვითონ მე ჩამიდვია ჯიბეში, მაგრამ დილით მაინც ღია დამხვედრია.

— დღეს მაგაზედ ნუ ვილაპარაკებთ...

— ქალ-ბატონო, გაიმეორა ლუიზამ,—ღმერთმანი რაღაც ხმაურობა ისმის, ვგონებ კარეტა მოდის ჩვენკენ.

— დიახ, მეც აგრე მგონია.

— აი ესლა დადგა, განაგრძო ლუიზამ.

— დიახ, სწორედ ისინი არიან. წადი ბედრო და სინამ არ გაიგო ვინ არიან, კარები არ გაუღო.

— მაგაზედ დარწმუნებული ბძანდებოდეთ.

ბედრო გავიდა გარეთ, რომ შეეტყო მოსულების ვინაობა

თავი მეთერთმეტე.

წინაშე ტრაპეზისა.

ამალია არ მოსტუუვდა, იმას ნამდვილად მოუვიდნენ სტუმრები, რომელთაც იგი დიდი ხანია გულის ძგერით მოელოდა.

ამალიამ თავის მოსართავს ოთახშივე გაიგო დანიელის ფეხის ხმა.

— ახ, ქალ-ბატონო, უთხრა ყმაწვილმა კაცმა, როდესაც დაინახა,—მე მეგონა, რომ აქ ლამაზ ქალსა ვნახავდი, ის კი არა თუ მშვენიერების ღმერთა ვნახე.

— მართლა? მიუგო ამალიამ და ჩაიცვა თეთრი ფერჩატკები.

— ღმერთს გეფიცებით მართლა! უთხრა დანიელმა. მერე ნელ-ნელა მიუახლოვდა ამალიას, უეცრად მოეხვია, აკოცა თავზედ და უთხრა:

— ეხლა კი სხვა საკანზედ კილაპარაკოთ.

— დიდი ხანია დრო იყო, შე ეშმაკო! წარმოსთქვა ამალიამ ჩვეულებრივის ღიმილით.

— ხომ მზადა ხართ? ჰკითხა დანიელმა ამალიას.

— მზადა ვართ და ღვდელიც აქ არის, მიუგო ამალიამ.

ამის შემდეგ დანიელმა მოხვია ამალიას ხელი და გაიყვანა ზალაში, სადაც მათ მღვდელი და ედუარდო ელოდათ.

ჯვარის-წერის გათავების შემდეგ, ამალიამ აკოცა მტირალს ლუიზას, ამ დროს დანიელი მივიდა პედროსთან და ჰკითხა:

— თქვენი ცხენი თავლაშია?

— დიახ.

— ერთს საათს ჩემთვის საჭირო არის.

— მესმის.

მერე დანიელმა მიიუვანა ამალია დივანთან და იმ დროს როდესაც ედუარდო მღვდელს მადლობას უხდიდა, დანიელმა უთხრა ამალიას:

— მე და მღვდელი ერთად მივდივართ.

— შენ?

— დიახ, ბატონო, ბელგრანოს მეუღლეჯ, მეც მივდივარ, ამისთვის რომ მე არავერს არა ვზოგავ მონტევიდეოში შენის ქმრის ბედნიერად ცხოვრებისათვის.

— ხომ არაფერი მოამსდარა! ღმერთო ჩემო! შენ ავი ალგვითქვი, რომ წასვლამდის ჩვენთან დარჩებოდი.

— სწორედ მაგისთვისაც მივდივარ. ცოტა ხნის უკან ისევ დავბრუნდები. ფერმინიც მღვდელს წაიუვანს და ისევ უკან დაბრუნდება.

მღვდელი და დანიელ წავიდნენ. ედუარდომ ჩაკეტა კარები და დაბრუნდა ზალაშიკვე, სადაც მან მსურვალედ ჩაიკრა თავის ცოლი გულში და დიდ ხანს, დიდ ხანს, გაჩუმებული ჭკოტნიდა ამალიას ბაგეს, ბედნიერებით მოამღიმარს, თვალებს, ტრფიალებით სავსეებს. უეცრად უმაწვილი ქალი გაუსხლტა ედუარდოს ხელიდამ.

— ეს რას ნიშნავს, ღმერთო ჩემო?.. რა დაგემართა, ამალია? ჰკითხა ედუარდომ ამალიას და ჩამოსვა პატარა დივანზედ.

— არაფერი, ედუარდო, არაფერი, კიდეც გადამიარა...

— არა, ჩემო ამალია, უნდა შემატყობინო რა იყო, თორემ შენზედ ძლიერ ვიტანჯები.

— რად იტანჯები, რადა, საათმა დარეკა და იმისგან მოამიგიდა.

კდუარდომ ღრმად სმოიოხრა. ოთახებში კიდევ სიჩუმე ჩამოვარდა და ახლად ეკვარ-დაწერილთა თმებიდამ ოფლი ვარ-დები ჩამოსცვიდათ.

თავი მეთოთხმეტე.

საქორწილო მეჯლიში.

როდესაც საათმა ათი დარეკა, ჰედრომ გააღო ეზოს კა-რები, რადგანაც დანიელის ღიღინი გაიგონა.

ამალია საათის ხმაზედ კიდევ უფრო მეჭკრთა და დაეურ-დნო თავის თავი კდუარდოს გულს.

— ეს რა მოიდის, ჩემო საყვარელო, კდუარდო?! ჭკითხა მან და თვალებში სიყვარულის ნაბერწკალმა გაიელვა. მე თავის დღეში ეს არ მომსვლია; ახლა კი რამდენიც საათი გადის, იმდენი გულიც ცუდად მისდება.

— ჩემო ანგელოზო, ეგ ფიქრისაგან მოგდის და სხვა არა-ფერია... მაგრამ თითქოს ვიღაც შემოვიდა ზალაში.

— უსათუოდ ლუიზა იქნება.

— არა, მე მგონია დანიელია.

უმაწვილმა კაცმა აკოცა თავის ძვირ-ფასს ცოლს, გავიდა ზალაში და იქ მართლა თავის მეგობარი დახვდა.

ამალიამაც დაუმახა ლუიზას და უთხრა ეთქვა ჰედროსა-თვის, რომ ჩაი ზალაში შემოეტანა. ზალაშივე შეკიდა თვი-თონ ამალიაც, სადაც დახვდნენ მას თავის ქმარი და და-ნიელ.

— უკელაფერი გარიგებულია და მზად არის. ღამის თორ-

მეტ საათზედ მოგვიხდება წასვლა. მაშასადამე ორის საათის უკან წავალთ.

ედუარდომ გამოართვა ამალიას ხელი და თითქოს მზად იყო გადაეცა მისთვის თავისი სული და გული. დანიელმა შეხედა მათ და უთხრა:

— ბედმა ჩემმა მიმუხთლა და ვერ აღმისრულდა გულის ნატვრა. მე მინდოდა ჩემი და თქვენი ბედნიერება ერთად მენახა, მაგრამ ვაი რომ ეს სურვილი არ ამისრულდა...

ამ საშწუხარო სიტყვების შემდეგ დანიელ ხელახლად გამხიარულდა და გაამხიარულა თავის მეგობრებიც.—მერე უთხრა ედუარდოს:

— ეჰ, კინალამ არ დამავიწყდა, ედუარდო, მეკითხა შენთვის: რა უყავი შენი პატარა ყუთი წერილებით?

— რა პატარა ყუთი? რა წერილები? გაუკვირდა ედუარდოს, მაშინ როდესაც ამალიამ დაუწყო მას დაშტერებით ცქერა.

— ის ყუთი, სადაც, როგორც მახსოვს ამალიას თმა იყო შენახული, უთხრა ედუარდომ.

— ხომ არ გაგიყვანია!..

— სრულიადაც არა.

— დამალვა რა საჭიროა, ბატონო? შენ როგორღაც კანკალებ იმ თმების მოგონებაზედ, ხომ არ გინდა დაჩიმალო რამ? წარმოსთქვა ამალიამ.

— ღმერთმანი ამალია მე მაგისთანა ყუთი თავის დღეშიაც არა მქონია და ან რა წერილებზედ ლაპარაკობს დანიელ, არ გიცი.

— ეარის თქმა რა საჭიროა, სთქვა ეურებამდის გაწითლებულმა ამალიამ.

— ხედავ, დანიელ, შენი ხუმრობა სადამდის მიდის! უთხრა ედუარდომ, როდესაც გაიგო თავის მეგობრის განზრახვა.

— სწორედ, ჩემო მეგობარო...

— დიახ, სწორედ; შენ თვითონ ჭხედავ, რომ კარგი არა ჭქენი.

— რასა ვხედავ?..

— იმას, რომ ამაღიამ თავის სკამი ჩემს სკამს მოაშორა.

დანიელმა გადიხარხარა, მერე ადგა, ორივეს ხელები ერთი-ერთმანერთს მისცა და სთქვა:

— ძალიან ცუდად იქცევით, ძალიან. ჩემი ფლორენსია უფრო სხვა რიგად მოიქცეოდა.

— არა, არა, ეგ შენ უმიზეზოდ არა სთქვი. უთხრა ამალიამ.

დანიელმა ხელმეორედ გადიხარხარა და ამან დაარწმუნა ედუარდო და ამალია, რომ იგი ხუმრობდა. ამ დროს ლუიზამ ერთი საშინლად დაიწიკლა.

სინამ დანარჩენნი გაიგებდენ ამ წიკვილის მიზეზს, რამდენიმე კაცი დაინახეს ლუიზას ოთახში, რომელნიც ზალისკენ მოდიოდნენ. უკვლამ იარაღი აიხსეს.

— გიშველე, დანიელ, გიშველე, უკირდა ამალია. როდესაც ედუარდო დამბაჩებს ისხამდა.

— გიშველით, გიშველით, მაგრამ უნდა გიბრძოლოთ კი; ეხლა ლაპარაკის დრო აღარ არის.

ამ დროს რამდენმაც როზასის აკაზაკთ გაისროლეს დამბაჩები, დანიელ კი კარებში სკამებს აგროგებდა.

— ღმერთო ჩემო, პედრო მოჭკლეს! დაიყვირა ამალიამ და მარცხენას ხელით მოეხვია ედუარდოს.

— არა, ჯერ კიდევ ტოტსალი კარ! წამოიძახა პედრომ, რო-

მელიც შემოდიოდა ტალანიდამ ზალაში. იმის პირი და გული მოსვრილი იყო სისხლში, რომელიც ჭრილობიდამ გადმოსდიოდა; მან გამოსტაცა ედუარდოს ხმალი და ცდილობდა ზალის კარების გამაგრებას.

ქალამი ვერ ასწერს ამ საშინელს არეულ-დარეულობას.

— შენ ჩვენა გვლუპავ, ამალია, დამანებე თავი, წადი სადმე უშიშარს ოთახში!.. უეცრად ედუარდო თავის ცოლს რომელიც ებღაუჭებოდა მას. მაგრამ ედუარდოს ხმა ალარ ისმოდა ავაზაკების დამბაჩების ხროლაში, რომელნიც შემოტვივდენ ოთახში და რომელთაგანიც ერთი წაქცია ედუარდოს ნასროლმა დამბაჩამ.

ედუარდოს ხროლამ თუმცა ცოტა არ იყო უკან დასწია ავაზაკნი, მაგრამ ამ დროს ორი მათგანი გაშმაგებულნი წინ წამოვიდნენ. ამ დროს ედუარდომ მოხვია ხელი თავის ამალიას და დივანზედ დასდო, მერე გამოსტაცა პედროს თავის ხმალი. პედრო ამაოდ ცდილობდა შეემაგრებინა თავი, იგი სასხლიდამ დაიცალა და დაეცა დივნის წინ, რომელზედაც ამალია იყო დაწოლილი. ცოტა ხანს უკან დასარჩენი ავაზაკებიც დაერივნენ ოთახებში.

— ამალიას უშველე, დანიელ, ამალიას! მე მარტო დამანებე თავი! ეცრად ედუარდო, რადესაც დანიელ მივიდა ამალიასთან ნახა, რომ პედრო უკვე მომკვდარიყო და ორივე ხელებით შემოხვეოდა თავის ქალ-ბატონს ამალიას. მაშინ ედუარდოც მივიდა და ჩაიკრა გულში თავის ცოლი. მაგრამ ამ დროს ედუარდოც სასიკვდილოდ დასჭრეს.

ამ საშინელს დროს კარებმა კიდევ საზარლად დაიჭაჭუნა, ლუიზა იქით გაუქანა და გაიგო ფერმიანის ხმა, რომელსაც კარები გაუღო. ამ კარებიდამ შემოვარდა ერთი მოხუცი კაცი.

— მოიცადეთ! მოიცადეთ! თუ როზასი გწამთ, მოიცადეთ! ჭეკირდა მოხუცი კაცი, ანაზდეულად აქ მოკლენილი.

უკელამ ჩაიგო ამ მოხუცის ხმა, გარდა ედუარდისა, რომელსაც უკვე ამოსვლოდა სული და თავი დაეურდნობილი ჭქონდა ამალიას გულზედ; ამის შემდეგ ამალიასაც წაუვიდა გული და დაეცა ედუარდის სისხლში.

ამ დროს თერთმეტი საათი იყო.

— აქეთ, ჩემსკენ, მამა ჩემო! ამალიას უშველე, ეკირდა დანიელ, როდესაც თავის მამის ხმა გაიგონა.

ამ დროს დანიელ სელმეორედ დასტრეს, იგი დაეცა თავის მამის მკლავზედ, რომლის სიტუკამაც შეაწუკეტინა ავაზაკთ დამბაჩების სროლა, მაგრამ გვიანდა იყო!

ეპილოგი.

ისტორიულმა მატიანემ იქნება ბოლოს დროს შეგვატყობინოს ბედი იმ პირთა, რომელნიც ამ მოთხრობაში არიან გამოუკანილნი, ახლა კი მხოლოდ იმას გვაუწყებს, რომ იმ საშინელის ღამის მეორე დღეს მეზობლები შეკიდნენ ამალიას სასლში და ოთხი მკვდრის მეტი ვერა ნახეს-რა; ისინი იყვნენ მოხუცი პედრო და ორნიც წეკრნი სალსის საზოგადოებისა. ეს მკვდრები აქ მეორე დილამდის ეწყვნენ, მეორე დილას კი ჩაჭყარეს ურემში და წაიღეს.

ამბობენ ავრეთვე, რომ მისტერ სლედის სიკვდილის შემდეგ რომელიც აღწერილის ამბების რამდენიმე კვირის უკან მოხდა, დონ-კანდინო როდრიგეც აღარ ანებებდა თავს ამერიკის კონსულის სასლს, ასე რომ ძალის-ძალად დაატლევინეს.

დონა მარსელინაზედ ვიცით მარტო ესა, რომ იმას უნდოდა დონ-კანდინოს შერთვა, მაგრამ დონ-კანდინომ უარი გამოუცხადა. რაზისი? რომელს ბორროტ-კაცს არ ამოუწყვიტია კეთილი კაცები და არ უცხოვრნია იმათზედ დიდ ხანსა.

ჰეინედან.

ტურფავ, ტურფავ! რას უყურებ,
მოატყორე ჩემსკენ ნავი,
ერთად დავსხდეთ და ვუყუროთ
როგორ ირხევს წყალს ნიავი.

ნურას ფიქრობ ჩემზედ ავსა,
გულს მხურვალედ ჩამეკარი;
თუ რომ შენს თავს ანდობ ზღვასა—
მე რით-ღა ვარ უნდობარი.

მაგრამ გულიც ხომ ზღვა არის,
ხან ლელავს და ხან მშვიდდება
და ძვირფასი მარგალიტი
იმაშიაც იმალება.

ი. ბაქრაძე.

ისტორიული სურათები.

ქართველი ქალი

(დასასრული). *)

1712 წლიდგან პოლიტიკურს ასპარეზზე კახეთში მოქმედობს თეიმურაზ მეფის ტოლი, თამარ. ეს დედოფალი იყო ასული ქართლის მეფის, ვასტანგ მე VI-სა. მის შერთვამდე თეიმურაზს ჰყავდა ცოლად ქალი ბაინდურ ერისთვისა, მაგრამ სამღვდელოების ნება-დართვით გასუტევა კანონიერი ცოლი და შეერთო თამარ. ეს საქმე იმ განზრასვაით მოახდინეს, რომ ქართველთ ეწადათ მეფეთ მოუგრობის კავშირით ქართლსა და კახეთს შორის ერთობა ყოფილიყო. ეს კეთილი განზრასვა მათი ასრულდა კიდეც, რადგან „თამარ იყო სადგური კეთილისა და საუნჯე სათნოებისა“.

გახდა თუ არა თამარ დედოფლად კახეთისა, მაშინვე თავი იჩინა. საქართველოს ბედზე და პოლიტიკურს მდგომარეობაზე მან დიდი გავლენა იქონია. იმისი დედობრივი გული ყოველგან იჩენს კაცის შებრალებას, მოწყალებას, სულ-გრძელებას და ქვეყნისთვის გულ-შემატკივრობას. იგი მსნეკდება და მოქმედებს მაშინ, როცა საქართველოს უჭირს. მაგალითად,

---

*) «ივერია» № 11 1882 წ.

1739 წელს ზოგიერთა თავადებზე გაჯავრებულმა შაჰნადირმა განიზრახა ქართლ-კახეთის გამოჩენილ პირთ გაწყვეტა და ხალხის სპარსეთში გადასახლება. მეფემ და ქართველობამ არ იცოდნენ რა ექნათ და როგორ მოქცეულ-იყვნენ, რომ საშობლო ქვეყანა ამ განსაცდელისაგან დაეხსნათ. მეფე კერძ წინააღმდეგობას გაწევას ბედავდა სპარსეთისათვის, ვერც მისვლას წინაშე შაჰნადირისა, რომ პირის-პირ შეხვეწნოდა, აეხსნას საქმის გარემოება და ის მიზეზები, რომელთაც გამოიწვიეს საქართველოს თავადობა მის წინააღმდეგ მოქმედებისათვის და ამ საბით დაემშვიდებინა მისი "განრისხებული გული. ამ გაჭირვებულ დროს [1]) მოხდა რჩევა—ვინ უნდა გაეგზავნათ ელჩად დაღესტანში შაჰის დასამშვიდებლად. მამა-კაცთაგან არავინ აღმოჩნდა ისეთი მცოდნე, გამოცდილი და გონებაგამჭრიახი, რომ აღესრულებინა ერის მინდობილება. მიგარდა საქმე თამარ დედოფალზე. მან მხნედ მიიღო ელჩობის თანამდებობა, გაიყოლია რამდენიმე წარჩინებულთ ქართველთ ტოლნი და მივიდა დაღესტანში. უშიშრად წარსდგა წინაშე მძლავრის შაჰისა, მხნედ და დარბაისლურად აუხსნა ყოველივერი, დაარწმუნა შაჰი, რომ ქართველები დიდს შეწუხებაში არიან დაღესტანში. იმის ჯარებისათვის სურსათის ზიდვით და გაღარიბებულან, რომ თავის-თავის კვებაც აღარ შეუძლიანთ, არამც თუ სხვას კიდევ საზრდო-საცხოვრებელი აძლიონ; დაუმტკიცა მას, რომ არც ქართველი ხალხი, არც მეფე თეიმურაზ და არც მისი შვილი ირაკლი მისი წინააღმდეგნი არ არიან, მაგრამ სიღარიბე ხელს უშლის ხალხს, რომ მისი სურვილი უნაკლულოდ აღასრულოს. მოლბა გაბოროტე-

1) შაჰნადირი ამ დროს დაღესტანში იყო და ლეკებს ეომებოდა.

ბული გული მძლავრის შაჰისა დედათა ნარნარად თქმულის ტკბილის სიტყვისაგან და უკუ აგდო აკი განზრახვა თვისი; სცა დიდი პატივი თამარს: მოეპყრო როგორც დედას, მისცა დიდი საჩუქრები და გამოისტუმრა კახეთსაკე. მასთანავე მისწერა ბრძანება თბილისში მყოფ სპარსეთის ჯარებს — არამცა და არამც არ გაებედნათ ქართლ-კახეთის აკლება და აოხრება.

დაღესტანში შაჰნადირი ერთი წელიწადი და შვიდ თვე დარჩა. იმან დაამშვიდა ლეკები და შემობრუნდა საქართველოში. დედოფალი თამარ და მისი მული პაგუმ, ცოლი აბდულა-ბეგისა (არჩილისა), მივიდნენ კიდევ შაჰისთან და ნახეს. რა საქმე ჰქონდათ იმათ ამ დროს ქართლის ცხოვრება არ ამბობს. მოგვითხრობს მხოლოდ, რომ ყაენმა ისინი პატივით მიიღო და ორიეგეს დაუნიშნა პენსია (ინამი). გარდა ამისა დედოფალს დაუნიშნა ქვესასი თუმანი ჯამაგირი წელიწადში; მაგრამ შემდეგი იმათის ნახვისა ამტკიცებს, რომ მათ ჰქონდათ მასთან ლაპარაკი თეიმურაზის კახეთის მეფედ დამტკიცებაზედ, ყაზახ-ბორჩალოს ხალხებისა და ქიზიყის საქართველოსთან შემოერთებაზე. „დედოფალის თხოვნითაო, ამბობს მატიანე, მისცა შაჰნადირმა ელი კახეთისა, რაც ძველთგან ჰყოლოდათ კახთა მეფატონესა“ [1]). რომ კარეთის საამეფო ტახტი თეიმურაზმა მართლაც თამარის მეცადინეობით დაიმტკიცა, ამას მოწმობს რუსის მწერალი ბუტკოვიც. „თეიმურაზ მეფის მეუღლის თხოვნით, ამბობს იგი, შაჰ-ნადირმა დამტკიცა ის (თეიმურაზ) კახეთის მეფედ და მისცა არაგვის მაზრა, და აგრეთვე ბორჩალო და ქიზიყი, რომელნიც ამ დროს განჯის ხანნის �ეთვნოდენ» [2]).

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. მე II ნაწ. 358.

[2]) იგივე მწერალი ამბობს, რომ ამ ხანებში შაჰნადირმა ნახა გი-

თამარს დიდი გაგლენა ჰქონდა ქართლის ბედზედაცა. 1743 წელს დომენტი ქათალიკოზი, მისი ღვიძლი ბიძა, ძალიან ავად რომ გახდა, თამარი ჩამოვიდა თბილისში მის სანახავად და ურჩია დაენიშნა ქათალიკოზად ანტონი I. მაგრამ ამ უკანასკნელმა არ ინება ქათალიკოზობის თანამდებობის მიღება. ამისთვის, მისივე სურვილით, ქათალიკოზად დასვეს ეპისკოპოზი ნიკოლოზ სერსეულიძე. შემდეგ ამისა დომენტი გარდაიცვალა, „ვითარცა ჭეშმარიტად შეფეთა ასულობასა, ეგრე შემწე ექმნა დედოფალი თამარ და მიასვენეს დიდსა სამეფოსა ეკლესიასა მცხეთასა“.

მაგრამ თამარ მარტო ბიძის ავად-მყოფობისა გამო არ ჩამოსულა ამ დროს თბილისში. რადგან მას დომენტის მორჩენის იმედი აღარ ჰქონდა, თბილისში იმ გაუზრასვით მოვიდა, რომ ქართლის გამგედ გამხდარ იყო. ამ აზრს ამტკიცებს ბუტკოვი: ის ამბობს: რადგანაც მისი ძმა ვასტანგ მეVI და მისი ძმა ბაქარ რუსეთში იყვნენ, ქართლის სამეფოს სხვა მემკვიდრე აღარავინ ჰყვანდა. მართალია, შაჰნაზარმა კახეთის მეფობა თეიმურაზს რომ დაუმკვიდრა, მაშინ ქართლის მეფედ დასვა ალექსანდრე ბაგრატიონი, ძმის წული თეიმურაზისა, მაგრამ ალექსანდრემ უფრო ოსმალეთის მხარე დაი-

---

ვი აღილახორის ასული, ძალიან მოეწონა წაართვა ქმარს ანტონს, რომელიც ამის შემდეგ ბერად შესდგა და იყო საქართველოს ქათალიკოზად 1790 წლამდე. ეს ანტონის ცოლი, ანუ დანიშნული, შაჰის უნდა ენახოს და მოსწონებოდეს ან 1736 წელს, როცა იგი იმყოფებოდა თბილისს, ან 1742 წელს, როცა დედოფალი თამარ მივიდა თავის ამალით შაჰნაზარის სანახავად (იხ. матеріалы для новой Исторіи Кавказа Буткова часть I გვ. 135, 136, 137, 217 და 228; აგრეთვე ქართ. ცხოვრება გვ. 351 და 357).

ჭირა, ვიდრე სპარსეთისა. ეს ეწყინა სპარსეთის შაჰის, ჩამოართვა მას მეფობა და დასვა სპარსეთის ხანები: ერთი თბილისში, მეორე ქართლში. ამისა გამო ოხრდებოდა ქართლის სამეფო და ესეთი ყოფა სამშობლო ქვეყნისა ძალერ სწყინდა თამარს. აი ამ მიზეზით ჩამოვიდა თბილისში. მას ჭკონდა განზრახვა დაეხსნა სამშობლო ქვეყანა მაგრე გამგებელოთაგან. შეჭყარა ქართლის თავადობა და სთხოვა, მისთვის მიეცათ დროებით სამეფოს გამგობა, ვიდრე მისი მაქა ან ძმა დაბრუნდებოდენ რუსეთიდგან. დაუჯერა ყველანი, რომ იგი არ აუფლებს ქართლში არც თავის ქმარს და არც შვილს. ამაზე ქართლის თავადობაც დათანხმდა. მაშინ ხამარ წავიდა სპარსეთში და დაამტკიცებინა ნადირს დროებით თავი თვისი გამგებლად ქართლის სამეფოისა. ამასთანავე სპარსეთის ნებაყოფლობით მისწერა რუსეთში თავის მამას დაბრუნებულიყო საქართველოში და ემეფნა. ამ თანამდებობაში იგი დარჩა ოთხი წელიწადი (1741—1744 წ.) [1]).

მაგრამ ქართლის მემკვიდრეები არ დაბრუნდნენ რუსეთიდგან. ამისათვის 1744 წელს შაჰნადირმა ქართლის მეფობა მისცა თეიმურაზს, კახეთისა ერეკლეს. იწყინა გივი ამილახორმა, რომელიც, ბუტკოვის სიტყვით, ქართლში ბაქარისაგან თავის მაგივრად დაუნებებული იყო. ასტუდა ჩხუბი თეიმურაზსა და გივის შუა. დიდხან იბრძოლეს. ყველანი მეცადინეობდენ გივის დამშვიდებას, მაგრამ კერც თეიმურაზის თხოვნამ, კერც ერეკლეს ხვეწნამ და კერც შაჰნადირის მოქარამ ვერ შეაშინა იგი: გამაგრდა სურამის ციხეში და ყველას ემუქრებოდა. მეფემ ხმლით რომ კერ აიღო, მისცა სურამის

---

[1]) ნახ. Бутковъ стр. 229.

ციხეს ლაღმი და ციხის ნახევარი სულ დაანგრია და შიგ მეორეთაც ბევრი ავნო“. შეშინდა ამილახორი. დაუწყო მეფეს ლაპარაკი და შემოუთვალა: «ბატონი დედოფალი მობრძანდეს და იმას მიეგებოთ», თამარ ამ დროს თბილისში ბძანდებოდა: დაიბარეს იგი. მიეიდა სურამს, გამოეიდა ამილახორი, აასლა დედოფალს, მიართვა თავის საქონლის დავთარი,— ესეც ეიცით დაუდგა მას თვალებად, რომ არა ეკვნებარა, შეარიგა მეფესთან, წამოიყვანა და მოეიდა თბილისს. თეიმურაზმა შეატყობინა ნადირს ამილახვრის შერიგება და სთხოვა ელჩეებინა მისთვის დიმნაშარბა. მაგრამ ბაჭიმ დაიბარა იგი თავისთან სპარსეთში, და რადგან თამარის სიკვდილამდე ალარ გამოუშვეს საქართველოში, ამისთვის ვეიქრობთ, რომ გიგის სპარსეთში წაეყვანა დედოფლის სურვილით მოჭმდა. ამის შემდეგ თეიმურაზს უკურთხეს მცხეთის სობორო-ში სამეფო გვირგვინი. ეკლესიიდგან რომ გამოეიდა ტასტზე დაბძანდა, მაშინ მეიდა დედოფალი თამარ, მიეულოცა გვირგვინის კურთხევა და გადააყარა «გუარი», მას თან ასდევდენ ამ დროს მეფე ერეკლეს მეუღლე, ზაალ ანაშეიძის ქალი და ვახუშტი ანაშეიძის მეუღლე ანუკა. ეს უანასკნელი იყო დედოფლის ღვეიძლი და.

ასლა მეფედ ქართლისა თუმცა თეიმურაზ იცნობებოდა, მაგრამ ნამდვილი გამგებელი ქვეყნისა იყო თეით თამარ. «ქართლი მე თამარს მიეეცი და არა შენია და შენ კი იმდენად უმადური კაცი ყოფილხარო, რომ დირსეულად მაინც არის ვერ იგლოვე მისი სიკვდილიო» ეუბნება თეიმურაზს შაჰნაზარი. მართლაც რომ დირსი იყო ეს ასხულოვანი და შესანიშნავი დედოფალი გლოვისა. თეიმურაზ დიდად იყო მისგან დაკვლებული. მისის მეცადინეობიე ის გასდა მეფედ ჯერ კა-

ხეთისა. მერმე ქართლისა. სიკვდილის დროს, ამბობს ბუტკოვი, თამარმა სთხოვა და დაითანხმა ქართლის თავადობა, ჭყოლოდათ მეფედ თეიურაზ. ის მოკვდა 1747 წ. სუვარელის დის ანუკას სიკვდილის დარდისაგან (ნახ. стр. 230).

დედოფლის სიკვდილმა შაჰნაზარი ძლიერ შეაწუხა. რა მიზეზით? მაჭმადიანს რაზე უწუხდა გული? განა დედოფლის სიკვდილი რაიმე დანაკლისს შეადგენდა მისთვის? ეეენი შეწუხდა თამარის სიკვდილის გამო ჰირველად იმისათვის, რომ შიშობდა ქართლ-კახეთი ახლა სამუდამოდ არ შეერთდეს თეიმურაზისა და ერეკლეს მეფობითო, მეორედ ამისათვის, რომ თამარ ჰოლიტიკურს საქმეებში გამოცდილი ადამიანი იყო; ის ბევრჯელ ყოფილიყო ეეენთან სპარსეთში საქვეყნო საქმეების გამო, მიეცა მისთვის შემწეობა საქართველოს დამშვიდებაში, და ამისთვის ეეენი იმას უფურებდა, როგორც დედას. საქართველოს შესახებ თუ რამე მოსალაპარაკებელი საქმე ჭქონდა ეეენს, მუდამ თამარს იბარებდა თავისთან. ესეც თან გაიყოლებდა ხოლმე ბდულა-ბეგის ცოლს ბეგუმს და თავის დახ ანუკას და მიდიოდა მასთან საქართველოს ბედზე მოსალაპარაკებლად. თვით სპარსელები თავიანთ დედოფლის მსგავსად უფურებდენ. არამც თუ მარტო ამ დედოფალს და იმ ქალთ, რომელნიც მას თან ახლდნენ ხოლმე, ჭქონდათ გავლენა საქართველოს ერის ცხოვრებაზე, და ჰოლიტიკურს მდგომარეობაზე, არამედ საქართველოს სხვა დედოფალნიც არ იყვნენ მოკლებულნი ამ უფლებას და გავლენას. იმგიათად ნახავთ ბუჯარს და სიგელს, რომ მეფისა და დედოფლის სახელით არ იყოს დაწერილი. არასოდეს მეფე არ ერეკა უდედოფლოდ მიწა-წყლის მფლობელობისა ანუ ეკონომიურს საქმეებში. მათ ჭქონდათ თვისი საკუთარი მამულებიც. მეფე ვახტანგ მე-VI-ს

დასტუმალაში სწერია: ძველადგანვე დედოფლის ხელში იყო თბილისისა და მანგლისის ეპარქიები და მას ემორჩილებოდნ ამ მცხოვრები თავადობა, აზნაურნი და გლეხნი თავიანთის მიწა-წყლითა და მამულებითო. მათნი ხელ-ქვეითნი ყოფილან დარბაზის თავადები: გერმანოზის-შვილი ოთარ, ბაბუნა, გუგუნა და ვარაზა თავიანთ აზნაურებითურთ; დარბაისელი (придворный) თავადი მანუჩა და გუგუნა ბარათაშვილები თავიანთის ყმა და მამულითა; სუფრაჯი ბარათა და შერმადინ სოლაღაშვილები; აბაშის შვილი დავით, შერმაზან მერაბაშვილი, ხუთი კომლი საგინაშვილები, სამი კომლი თულაშვილები და ყორღანა-შვილი ბაატა თავისის ყმითა და მამულითა. ამავე ვახტანგის დასტუმალაში საადედოფლო სოფლებათ არიან მოხსენებულნი: ოფრეთი, ვამოღმა ნახიდური, წინ-წყარო, შუაბოღანისი, ჩხიკვი, გომარეთი და ურწეანი. ყველა ეს თავადები და სოფლები იყვნენ სომხითში, მაგრამ დედოფალს ჭქონდა საკუთრება ქართველშიაცა. მაგალითად საადედოფლო მამული იყო მთლად რუისის ეპარქია. წმიდათა მამათა ცხოვრებაში სწერია, რომ დედოფალთ იმოდენა უფლება ჭქონდათ ამ თავიანთ საკუთრებაზე, რომ ქათალიკოზს არ შეეძლო მათთვის შეუკითხავად ეკურთხებინა ეპისკოპოსი მათს მამულებში მეოფე ეპარქიების მოსავლელადო. რა მიზეზითო, იკითხავთ? იმ მიზეზით, რომ დედოფლის ვალდებულებას შადგენდა—ეზრუნნა ეპარქიის კეთილ-დღეობისათვის. იმას ეჭირა თვალ-ყური ქვრივებზე და ობლებზე, მონასტრების კეთილ-დღეობაზე, ეკლესიების განახლებაზე და ასლების აშენებაზე. ასეთი წესდებულება საქართველოში, რადგან ძველადგანვე ყოფილა, იგი დაუმტკიცებია მე XVII საუკუნეში, მ

XII მეფეს გიორგისაც [1]) საქართველოს დედოფალნი ზრუნავდენ ქრისტეს სარწმუნოების გაძლიერებასა და ეკლესიების გამშვენიერებისათვის, არამც თუ თავის საკუთარს მამულებში, არამედ ყოველგან საქართველოში. მაგალითად, 1501 წელს ალავერდის ეკლესია განაახლეს ალექსანდრე მეფემ და მისმა ცოლმა ნესტან-დარეჯანმა; 1651 წელს დაიქცა მცხეთის ეკლესიის გუმბათი და აღაშენა როსტომ მეფემ და მისმა ცოლმა მარიამმა; 1741 წელს დაიქცა მიწის ძვრისაგან ალავერდის ეკლესიის გუმბათი და აღაშენა თეიმურაზ მეფემ და მისმა ცოლმა თამარმა, დედამ მეფე ერეკლე მეორისამ [2]).

თამარ დედოფლის მეცადინეობით თუმცა შეერთდა ქართლ-კახეთის ერი, გაძლიერდა საქართველო ერთობით, დაუწყეს მტერს შეერთებულის ძალით ბრძოლა, მაგრამ ამის შემდეგ ქართველთ ცხოვრება უფრო და უფრო გამწარდა. დაუწყო მტერმა ყოველ მხრით დაუწყენარებელი რბევა და ოხრება ქართლსა და კახეთს. მამა-კაცნი თავ-განწირვით ებრძვიან ლეკებს, სპარსელებს. ბევრმა მათგანმა გამოიჩინა საკვირველი მამაცობა, უშიშრობა, მხნეობა და დასტო�sა. კეთილი სახელი ამ წუთის სოფელში, მაგრამ ამ ულმობელს დროს არც დედაკაცნი ისხდენ გულ-ხელ დაკრეფილნი. ბევრმა მათგანმა მოჰკიდა ხმალს ხელი სამშობლო ქვეყნის დასაცველად. ბევრმა დედაოთაგანმაც გამოიჩინა თავი ვაჟ-კაცობით და ქვეყანისათვის გულშემატკივრობით. ოდეს იქნება, რომ ასლა ამათი სახელიც არ კასსენოთ.

1753 წელს დალისტანს ხელადი ნუცალბეგ მოადგა, დი-

---

[1]) იხ. Описаніе г. Тиф. Іоселіани, გვ. 200 и 201.

[2]) იხ. ქართ. ცხოვ. ნაწ. მე II გვ. 353 432.

დის ჯარებით კახეთში მეზადი ჯვრის ციხეს, შიგ მეფეთნი ქართველნი გამაგრდენ, მაგრამ ლეკნი მას მაინც ძალე აიღებდენ, თუ რომ ერთის მოსუცებულს დედა-კაცს არ გამოეჩინა მსნეობა და გამბედაობა. მტერმა შვიდ-ჯერ ციხეზე მიიტანა სალეშვარი, მაგრამ გმირმა დედამ ისინი არ მოასვენა. თუმცა კერ გაგიგია რა ნაირად, მაგრამ მოხსენებული არის, რომ შვიდ-ჯერ მან სალეშვარი დასწვა და მერეს რომ მიადგა, მხოლოდ მაშინ მოჰკლეს იგი ლეკებმა. სასალოვან დედას მაინც ტეუილად არ ჩაუარა შრომამ. მისმა მუცლიანობამ ლეკები დიდ სანს შეაჩერა. ამ სობაში მოესწრო ციხეს მეფე თეიმურაზ და ერეკლე და დაიხსნეს ამწუდეულნი მტერთაგან [1]).

ამავე სანებში, ესე იგი 1770 წელს, თავი ისარგლა აგრეთვე იმერეთის დედოფალმა. როცა მეფე სოლომონ რუსეთის გენერალი ტოტლებენი ეომებოდენ იმერეთში ოსმალებს, მაშინ მათს ჯარში ერია დედოფალიც. ბაღდადის ციხეს, რომელიც ოსმალთ ეჭირათ, რომ მიადგნენ, დედოფალმა სთხოვა მეფეს და ტოტლებენს, ნება მომეცით პირველად მე შევევა და შევიდე ციხეშიო. თხოვა აღუსრულეს. ასტეადა ბრძოლა. ოსმალნი დამარცხდენ. დედოფალი მართლაც პირველად შევიდა ციხეში. ეს ამბავი რომ შეიტყო რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინამ, ისე გაუკვირდა, რომ 18 აგვისტოს 1770 წელს შეატყობინა, როგორც ახალი ამბავი, საფრანგეთის გამოსენილს მწერალს ვოლტერს, და თავის წერილში ქართველები მიტრიდად დიდის ჩამომავლობად ჩასთვალა [2]).

ქართველნი ქალნი კაუკაზნიც იყენენ და თავის ნამუსის

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. მე II ნაწ. გვ. 504.

[2]) იხ. Буткова, стр. 282 და 289 წიგ. I.

დამცველნიცა. 1772 იგივე ზემოთ ხსენებული ნუცალ-ბეგ მოვიდა ჯარით და დაეცა ქიზიყში სოფელს ბოდბეს. რამდენიმე უბანი სოფლისა კიდევაც აიკლეს ლ მრავალი სალხი დაატყვევეს. მათ შორის იყო დაჭერილი ერთი დედაკაცია. ის მოსწონებოდა წუნკალა ლეკს და გაუპატიურება მოეწადინებინა. მაგრამ ნამუსის დიდად დამფასებელმა დიაცმა თურმე წაძრო იმას სანჯალი, შესცა მუცელში და იქვე მოჰკლა; მერმე გაიქცა და შეატყობინა სიღნაღსა და გარეშემო მყოფ სოფლებს. ზაალ ანდრონიკაშვილმა მაშინვე შეჰყარა მდევარი, დაესხა მტერს თავს და განდევნა დიდის ზიანით [3]).

ამ დროს თუ გლეხთა ტოლნი და ასულნი იყვნენ მხნენი და მებრძოლნი, არც მათზე ნაკლებნი იყვნენ მეფეთა და თავადთა ტოლნი და ასულნიცა.

1778 წელს ქართლიდგან მოდიოდა ქალაქში ქიზიყის მოურავის რეკაზ ანდრონიკაშვილის ქალი ქეთევან. ეს იყო ამ დროს უმცე ტოლი მეფეგიდრე გიორგი მე XIII-სა. მასთან ასლდა სამასიოდე კაცი. ისინი თუმცა უკელანი მორიგე ლაშქრის კაცნი ყოფილან, მაგრამ მათ შორის არ ყოფილა ბრძოლის მეტნიერი კაცი და მხოლოდ მეფის რძალს თბილისში აციდებდეს. ლართის-კარს რომ მოსულან, მათ თავს დასცემია სუთასი ლეკი. მაშინ თვით ქეთევანს მიუღია მხედრობის სარდლობა და შეებრძოლა მტერს. «მაშინ თვით იქმნა თავი მხედრობისა თვისისა, ამბობს ქართლის ცხოვრება, და გაამხნევა მორიგენი, შეება ლეკებს ძლიერად და გასწყვიტეს მორიგეთ მათ უმრავლესი ლეკთაგანი». მეფე ერეკლემ რომ შეიტყო ეს ამბავი, ისე გაეხარდა, რომ მაშინვე გაემგზავრა, რძალს წინ მიე-

---

[3]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 508.

გება და მიულოცა ვაჟკაცობა, მხნეობა და გამარჯვება. «მხიარულ ქმნილმან მეფემან შეიყვნა თბილისს დიდებითა დიდითა და ზარბაზნების სროლითა, და ღამესა მას ყოველსა ქალაქსა იყო ჩირაღდანი». [1])

მეფის რძლის ამ გვარმა მხნეობამ და ვაჟკაცობამ ერთის მხრით ისე გაამხნევა დედა-კაცნი რომ «ღართის-კარსა შინა თვინიერ მამა-კაცისა ვიდოდიან,» მეორეს მხრით თვრიად შეაშინა ლეკები და ველარ ერჩოდენ ისინი ქართლს უწინდებულად თამამად. ისინი ასლა ახალ-ციხის მხარეს მიჰყენენ რბევას. 1783 წელს 2000 ლეკი თამამად დასეირნობდა ახალ-ციხის მაზრაში და არბევდა სოფლებს. დიდის საშოვრითა და ტყვეებით იმათ გადმოიარეს ბორჯომის სეობა და მოვიდნენ სურამს. შეიტყო მეფემ, დაეცა მათ მორიგის ლაშქრით და ძლიერად დაამარცხა. «მუნ დიაცმან ერთმან, ტყვეთა ქართველთამან შეიპყრა [2]) შემპყრობი თვისი ლეკი და მიიყვანა მსყდრობასა შინა ქართველთასა».

ამ დედა-კაცის გმირულის მოქმედებით თავდება «ქართ. ცხოვრებაში» ფაქტები ქალების ცხოვრებიდგან. საძწუხაროა, რომ ასე გაგვრით ულაპარაკნიათ მემატიანეთ ქართველს ქალებზე. რაც ფაქტები შემოგვრჩენიან ჩვენს წერილში, იქიდგან სჩანს, რომ მათი მოქმედება უფრო ვრცელი უნდა ყოფილიყო; მათ დიდი უფლება უნდა ჰქონოდათ ოჯახში, საძოქალაქო ცხოვრებაში და საზეიმოს პოლიტიკურს საქმეებში. მაგრამ მემატიანეთ არ მიუქცევიათ ბევრითი ყურადღება მათს გაგლენისათვის საქართველოს ისტორიულს ბედზე. ამისთვის ბევრის

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 509.
[2]) იხ. იქვე. გვ. 510.

გმირის დედა-კაცის სახელი არის გამოტოვებული, მაგალითად მე XVIII საუკუნეში მოქმედებენ სამნი გლეხის ასულნი. იმათი ვული ისე დამწვარ-დადაგული ყოფილა სამშობლო ქვეყნის მწარე მდგომარეობითა, რომ ველარ მოუთმენიათ და ქალობაშიეე აუღიათ სჯლში ხმალი მტრის ფასწუვეტად.

ასეთი ქალები იყვნენ წუნეთელი მაია, წაგეისელი თინა და გაშლოვნელი ოთმრო. ჯავალით მნახველთ და მომსწრე პირთ დაუტოვებიათ მოთხრობა, რომ ისინი ბევრჯელ გაჭეოლიან მეიეე ერეკლეს ლაშქარში და გამოუჩენიათ დიდი უშიშრობა, მხნეობა და ქაუ-კაცობა. არა ერთხელ თვითონ წასძღოლიან ჯარს, გაუმხნევებიათ მაძა-კაცნი და დიდად დაუმარცხებიათ მტერი. ისინი ებრძოდენ თურმე ერა მარტო გარეთ მეტერს, არამედ შინაურსაც, რადგან მათის სიცოცხლისათვის გაუკრავთ კლანჭი შინამიან დროთა შეტლებს. მათი მოქმედების ასპარეზზე გამოსვლის მიზეზი ყოფილა ბატონთა ავად მოპყრობა. ასლა არ იქნება ურიგო, მოკლედ შეეოვიტანოთ მათი ცხოვრება და მოქმედებაც ჩვენს ისტორიულს სურათებში.

1) მაია წუნეთელი იყო გლეხის ქალი. ის ყოფილა ძალიან ლამაზი. უცხოვრია მეიეე ერეკლეს დროს. ჯერ კიდევ ასაკში არ ყოფილა შესული, რომ ბატონს თავის სასლში მიუყვანია. აქ იმას თავის უნებლივად დაუკარგავს ქალწულობა. ქალის უბედურებაზე დადარდიანებული დედ-ძმა მაღე გამოსალმებია წუთი-სოფელს. მაძას ტუეში თავი ჩამოულრჩვია, დედას სახლში სიმშილით თავი მოუკლავს. სვე უბედური მაია ვერ დასწრებია ვერცერთის სიკვდილს, რადგან იმ დროს ბატონის სახლში ყოფილა. ძლიერ სწყენია მშობელთ სიკვდილი და განუზრახავს ბატონზე ჩიკვილი მეფესთან. ერთ ღამეს გა-

ბარუჯა მამის სახლში, ჩაუცვამს მისი ტანისამოსი, შემოურ-
ურტყავს ხმალი, სანჯალი, აუღია მსარზე მაძრს თოფი და ჩა-
მოსულა თბილისში, მაგრამ მეფესთან ალარ უჩივლია ბატონზე,
რადგან სდომებია თავის ქალობის დათვრვა. იმას უთქვამს
მხოლოდ მეფისთვის, რომ მე არც დედა მყავს, არც მამა, არც
ბატონი და ასე კარ დარჩენილი ბიჭადაო. ახლა გიახელით
თქვენთან და გთხოვთ მიემოთო. მეფეს მიუღია ბიჭი. მას
დაუწყვია სამსახური მამაკაცის სახით, და სახელად უწოდებია
თავისთვის მათე.

არ გასულა ამის შემდეგ დიდი ხანი, კარეთის მხარეს
დმცემიან ლეკები. მეფეს შეუერია ასჩქარად ჯარები და თან
გაუყოლებია შინაყმანიც. მათ რიცხვში ყოფილა მაიაცა. ყვე-
ლანი კარგად გარჯილან მტერთან ბრძოლაში, მაგრამ მაინს-
ებრივი ვაჟკაცობა კერავის გამოუჩენია. ამ დროს ის ყოფი-
ლა 20 წლისა. მეფე განცვიფრებაში მოსულა მის მხნეობისა,
სიმარდისა და ვაჟ-კაცობისაგან და სიხარულით გადაჭხვევია
მას, ორთავ თვალებში, ეკოცნია და უთქვამს: «ახ, შენ კი
გენაცვალე! კაცად შენ ყოფილხარ და ქუდიც შენა გხურებიაო».
აქედგან რომ დაბრუნებულან თბილისში მეფეს კიდევ ამბავი
მოართმევია, რომ სომხითს თათრის ჯარები შემოესიენონ.
ძაშინვე მდევარი დაუძახნიათ. შემდგარა დარჩეულის ბიჭების
დასტა, რომელიც პირველად უნდა შეებმოდა მტერს. მათში
რეულა მაიაცა. ომი მომხდარა სოდანლუხს ქვეით. მიახლოვე-
ბისა-თანავე ხმალ ამოღებული მაიას შეუჭენებია ცხენი მტრის
გუნდში და ერთის სახელოვანის კაცისთვის ანაზდად გაუგდე-
ბინებია თავი. ამაზე არეულა მტრის ჯარები და ისე დაუმა-
რცხებიათ, რომ ამბის წამღები კაციც ალარ დარჩენილა. ახლა
უფრო გაჭეკვირვებია მეფეს მაიას გმირობა და უთქვამს: «ღღეის

შემდეგ შენ ხარ ჩემგან ლვიძლ შვილად მიჩნეული: შენ ხარ ჩემი შვილი, , მე შენი მამა; ნებას გაძლევ ამის შერმე ალარ მიწოდო მეფე, არამედ მამა: ამისათვის რომ ყოველი შენ გვარი კაცი მეფეა თავის თავისა და თავის სამშობლო ქვეყნისა; შენ ისე სინიდისიანად და ერთგულად ასრულებ მამულის მოვალეობასა, რომ მაგაზე მეტი ალარ შეიძლება კაცმა მოგითხოვოსო.»

მაია თავ-ზარ-დამცემი ყოფილა რაგორც გარეშე, აგრეთვე შინაურ მტრებისაც. მის დროს ზოგიერთ ბერშაგ კაცთ მიუყიდიათ თორმეტი გოგო-ბიჭი სპარსელებისათვის. ამ ამბის შესატყობინებლად წამოსულა მეფესთან ერთი მოხუცებული კაცი. მეფის კარზე მას დაჭხვედრია მაია და გამოუკითხავს მიზეზი იქ მისვლისა, და რომ შეუტყვია ყველაფერი, მაშინვე შეუგრეფია თავისი ამხანაგები, შემსხდარან ცხენებზე და გამოსდგომიან ყიზილბაშებს: მისწვეიან ლილოს ჭალით. დაუხოცია ისინი, გაუნთავისუფლებიათ დაყიდული გოგო-ბიჭები და მეფის კარზე მოუსხამთ. მაია წამდგარა მეფის წინაშე და უთქვამს: «მეფეო! ნება მიბოძეთ, რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ, რომელნიც-ძე გულზე მაწვანან ჯავრად.» — სთქვიო, მიუგია მეფე ერეკლესა.

— დიდებულო მეფეო! ნეტარი როდის შეაშრებათ ცლუხებს თვალზე ცრემლები, ნეტარი როდის გადმოხედავს იმათ ტირილი და დაისსნის ტანჯვათაგან?

— რაგორ? რაზე ამბობ მაგას, შვილო? ჰკითხა კვლავ მეფემ.

— რაღა რაზე, შენიჭირიმე: ბოლსობა განადგურდა და გაწყალდა; ბორბოტ-ბოქმედთა კაცთაგან არ ხარ ბოლეული. ბატონებმა დაჭყიდეს მთელი ბოლის ბოლსობა; ვინც გადარჩა,

იმათ კიდე გუთანში, ურემში და კალოში სულს აძრობენ. ერთი დედა-კაცი შეუბამთ კალოში და ის უბედური ულლში მომკვდარა. მოგახსენებთ რა ამას, მეფეკ, გთხოვთ მოვალე ხართ, მოსპოთ ასეთი ავ-კაცობა და ბორბალ-მოქმედება.

— ბატონებზე საჩივარი, მართალია, ბევრი ისმის, და ამ გვარი საქმეები საქართველოს დამდუშველია, მაგრამ, თუ მე ჩემის თვალით არა ვნახე, აბა, ვის რა და რაგორ გადავახდევინო. მე ამ გვარი საქმეები ძალიან სიტუკვით მესმის, და საქმით კი ვერასა ვხედავ.

— დიდებულო ბატონო! საქმითაც აი ერთი მე გაგაცნობ ერთ — მე გულ დამწვარი, დაჩაგრული და მშობელთა მოკლებული. მეორე — შენიწირიმე, გუშინ თქვენთან მოვიდნენ გლეხები საჩივლელად, რომ ამა და ამ ავაზაკმა კაცმა შვილები დაგვიყიდაო; მე თქვენამდე არ მოვუშვი ისინი, შევკეტე ტხენზე, გავიყოლე ამხანაგები და წავართვი სპარსელებს დაყიდული გოგო-ბიჭები, და აი ამათაც ახლა წარმოვადგენ წინაშე თქვენსა. აი ესენი, შენიწირიმე, დამტკიცებენ.

ამაზე შეფე ძალიან გაჯავრებულა და გაძწყრალა. მეორე დღეს მოუწვევია სასახლეში მდედელ-მთავრები და შეუჩვენებიათ ავნი-კაცნი ჯვარებისა და სასარეებით.

ამ გვარის სჩიგრებით ისე შეუწუხებია მაიას ბორბალ-მოქმედნი, რომ მათ თავი მოუბეზრებიათ და გადუწყვეტიათ: ან რაგორმე მოკვლას იგი, ან მოაშორონ მეფეს. ერთ დღეს შეფეს ის სადღაც გაუგზავნია. ეს შეუტყვიათ მაის მტრებს და გამოსდგომიან უკან, მაგრამ მაიას ისინი დაუხატნია და ერთისთვის უთქვამს: «შენ ახერო და შეხვენებულო! აბა რა აერჩევათ ჩემკენ, რომ გინგიზრასავთ ჩემი სიკვდილი.»

ამას მიუგია ცბიერებით: «ერეკლეს ჭნებავს შენი სიკვდილი, და არა ჩვენია».

მეფის სახელის გაგონებამ მაიას თავ-ზარი დასცა. მან ქმარი შეიტანა მეფეზე, შეშინდა, არ მომკლასო, განშორდა და გახდა უჩინარად. ის გადასულა თრიალეთისაკენ და დაბინავებულა ერთს ტყეში, რომელსაც თურმე ხალხი «მაიას საბუდარს» ეძახდა. აქედან ის გამოდიოდა თურმე გზებზე, უსაფრთხოებოდა გამვლელ-გამომვლელ თავ-გასულ კაცებს, ჭხოცდა და ცარცვიდა იმათ. ბოლოს შეუტყვიათ მტერთ მისი ბინა და დაუწყვიათ ძებნა. მაშინ იმას დაუტოვებია თავისი საბუდარი და წამოსულა სომხითისკენ, დასახლებულა სოფლად და კიდევ არ განუცხადებია თავისი ვინაობა; მაგრამ თუ მტერი შემოჭ�ამ მხარეს, ის კიდევ წასძღოლია წინ ხალხს და დაუშარცხებია. ერთ დღეს მეფე ერეკლე მისულა იმ სოფელში, სადაც მაია ყოფილა. რადგან ერთის სოფლიდგან მეორეში ატანებდენ ფურმე მეფეს სოფლელები, მაია გაჭეფა მას გასატანებლად, და რადგან ამ ჟამად ის მოხუცებული იყო, მეფემ ვერ იცნა. არავის ეგონა თუ მაია ტოტხალი იყო. ხმა იყო დავარდნილი, რომ დიდი ხანია რაც მოკვდაო. მიმავლობის დროს მეფეს გზაზე მტერი შემოჭხვდა, და არავინ იყო ტყვია-წამლით მზად, გარდა მაიასი. იმან ჯერ ესროლა მტერს ოთხი, მერმე იშიშვლა ხმალი და ისე მიჭმართა. ამის მხილველთ სხვათაც გული მიეცათ, გაძხნევდენ, მიჭეგნენ მტერს და გაიმარჯვეს.

შემდეგ ამისა მეფეს უკითხავს მაიასათვის: «შენ, ძმობილო, ვინა ხარ ეგეთი გმირი?» «ბატონისაგან გამოდევნილი მათე გახლავარო: თქვენ მე შოსაკლავად დამდევდით, და ეა ახლა თქვენს ხელთა ვარ, გნებავთ მომკალით, გნებავთ დამა-

რჩინეთ. მე მხოლოდ ისეთს დროს ვეძებდი, რომ თქვენ შენახეთ პირის-პირ. ჩემს ყოჩაღობაში მე არა ვარ დამნაშავე. მე დავხოცე და თავი გადავირჩინე, და ამის შემდეგ ბა როგორღა მოვსულვიყავ თქვენთანა... მე ვარ და ჩემი ბრალია, — თრიალეთში აქამდე კაცები რომ იცარცვებოდენ. ამასთანავე კაცხადებ წინაშე დიდებულისა მეფისა, რომ მე ვარ დედა-კაცი და არა მამა-კაციო“.

მეფეცა და მისი მხლებელნი თავადნიც განცვიფრებაში მოუყვანია ამ საუბარს და ყველას ერთ-ხმად უპატიებიათ მაისასათვის ყოველივე დანაშაული. მაშინ მაიას გაუხდია კაცური ტანისამოსი და ჩაუცვამს ქალური; მაგრამ დიდ-სანს ადარ დასცლია სიცოცხლე. სპარსელები შემოჭსეგია საქართველოს. მაიაც გაჭრეგნია ქართველთ ლაშქარში ქალურის ტანისამოსით და უომნია ძლიერად. სპარსელებს გაჭეარეგებიათ მისი მამაცობა და ხანებს უბრძანებიათ ცოცხლივ დაჭერა. ის მართლაც დაუტყვეგებიათ და თან წაუყვანიათ; მაგრამ გზიდამ გამოჭეარეგიათ და სხვებს ერეგნის ბოლოს მოუკლავთ. ამ დროს გამოუთქვამთ მასზე შემდეგი ლექსი:

ქართლიდამ გამოგეპარე
ბატონს პატარა ქალიო,
თან წამოგიღე საგძალთა
შიში და ტრემლის ღვარიო
თრიალეთის ხეე-ღნარებში
შეგინახეგი თავიო;
მერმე სომხეთში წაგელი
შიშისგან ვიხსენ თავიო.
ძმ ერეკლე ამოგბძანდა
შეგვადრე სიტყვა ბიო:

ბატონო მეფეე! რად მიუკვ
რად მიუკვ, ესე ავიო?..
ომი მოგვიხდა თათრებთან
სულ გასწედენ წუნეთელებიო,
აღარა დარჩნენ გმირები,
ატირდენ კლდე და მთებიო
მეც ტუვეთა მიპურეს, შემბოჭეს,
სპარსეთში ვიხსენ თავიო,
მაგრამ ერეკნის ბოლოს
დავკარგე თავი ვაიო.

2) მეორე დირს-შესანიშნავ ქალი, წაგვისელი თინა, ოთოილა გაბაშვილის ცმა. იმას გამოუჩენია ისეთივე გმირობა, ხასიათის სიმტკიცე და გლეხთადმი გულ-შემატკივრობა, როგორც მაია. სიყმაწვილობაშივე მას მოუკლავს ლამით ქვეშაგებში თავისი ბატონი გაუპატიურებისათვის; მაგრამ დამნაშობა მისი ვერ შეუტყვიათ. შემდეგ ამისა გასულა რამოდენიმე ხანი, ისა და კიდევ სხვა ბოგო-ბიეზები მიუყიდნიათ სპარსელებისათვის. გზაზე მიმავლობის დროს მსყიდველთ მოუნდომნიათ მათთვის ნამუსის ახდა. თინას შეუტყვია მათი განზრახვა, დაურიგებია თავის ერთ-ბედ ქვეშ მეოთი ამხანაგები, როგორ უნდა მოქცეულ-იყვნენ ამ შემთხვევაში. რიტა დაუწყვიათ მათი წკალება სპარსელებს, ქალებს, ... წაუძვრიათ მათთვის ხანჯლები და დაუხოცნიათ ყველანი, თვითონ შემსხდარან მათსავე ცხენებზე, წამოსულან მეფეს ერეკლესთან და ყველაფერი დაწვრილებით უამბნიათ. მეფეს გაუკვირვებია და უკითხავს: კინ გასწავლათ ეგ ხერხი? თინას ძალიან შეეშინებია, ამ შემთხვევამ არ გამოაშკარაოს ბეგმიერ ბატონის მოკვლა. მაგრამ აზრადაც არავის მოსვლია, რომ ბატონიც მისგან იყო

მოკლული. მეფეს სხვა ქალები უყვარდა დაუთხოვნია, თინა კი სასახლეში შეუნახავს. სასახლეში ყოფნას თინაზე დიდი გავლენა ჰქონია: მას კარგად შეუსწავლია თოფის სროლა, ხმლისა და სანჯლის ხმარება და ცხენზე ჯდომა, ამის შემდეგ ადარ გაინშორებია მეფეს. მას სცმოდა კაცური ტანისამოსი. სატა კი მეფეს გაულაშქრნია, ისიც თან გაჰყოლია. მას არა ერთხელ წინაშე მეფისა უსახლებია თავი მამაცობით, მხნეობითა და მტერთან ხმლის ხმარებით. არა ჩსურვებია ქმრის შერთვა, მაგრამ ერთს ომში თინასა და ერთს გლეხს ისე მამაცურად უომნიათ, რომ მეფეს ძლიერ მოსწონებია ისინი, მიუწვევია თავისთან ორივენი და უბძანებია მათთვის ცოლქმრობით შეულლება, მათ აღუსრულებიათ ბატონის ბძანება და დასახლებულან წავკისს. ამის შემდეგ თინა თუმცა დაშვილიანებულა, მაგრამ მას მაინც არ ძოუკლია ქმეუნისთვის სამსახური. ეს ყოფილა თავის სოფლის წავკისის მტკელი მტერთაგან. ერთხელ მეფეს აქაური გლეხები უყვარდნი მდევრად გაქცევნა. ამ დროს თურმე დავარდა ხმა, რომ წავკისს დარბევას უპირებენ თათრებიო. თინას შეუტყვია თუ არა ეს ამბავი, მაშინვე აურეკია სოფლის დედა-კაცები გოგო-ბიჭებით ერთს კოშკში, აღსავალ კიბის საფეხურებზე დაუწყვია ფუტკრის სკები, ჩაუკეტია ორივე მხრით ძირის კარები შიგნიდამ და უბრძანებია: მე მივდივარ თბილისს მეფისთვის შესატყობინებლად, თქვენ ნუ გეშინიანთ, მაგრად იყავით, თუ მტერი მოადგეს კოშკს, დაამტვრიოს ძირის კარები, ამოვიდეს კიბეზე, საფეხურებიან კიბისკენ სკიდგან ფუტკარი გაუშვით, რომ მტერი ჩვენს მოსწრებამდე შეაჩეროს. ამ განკარგულების შემდეგ თინა გაემგზავრებოდა თბილისს მეფესთან. ამ დროს მტერიც მისდგომია კოშკს, შეუმტვრევია გარეთ კარები, ასულა

ზნელს კიბეზე და მისდგომია ზეკითა კარებს. შიგ შესიზნულ ქალებს გაუსსნიათ სკა, გამოუშვიათ სათოფიდგან კიბეზე ფუტკარი, რომელსაც დაუწყია საშინელი ბზუილი ბნელაში, და ჰბენია თათრებისთვის. ასე უწვალებიათ თათრები, ვიდრე თინა არ მისწრობია ჯარით და არ დაუმარცხებია მტერი.

ამის შემდეგ თინას ქმარი მოჰკვდომია და დარჩენია ორი ვაჟი შვილი. ერთს რქმეია გიორგი, ალამამად-ხანის მოსვლის წინ თინა ერთს ომში მტერს ტუკეთ ჩავარდნია და მაშინ მეფისთვის ლექსით შემოუთვლია:

«შენ გენატვალე მეფეო, შენ გენატვალე, შენაო!
გიორგი არ მომიმშიო, სულ შეაჯერე თემიო.
მეც მალე დაგეხმარები, თუ რომ გამისსნეს ხელიო,
თუ არა და ძრომაშვილეთ ნახშირ-თორელი მღვდელიო».

ამაზე მეფეს, თუ არ ვიცი სხვას, ბასუსად უთქვამს ლექსით შემდეგი ორი სტრიქონი:

«თინიავ! რამ შეგაშინა, ნუ შეგეტვალა ფერიო!
შენ დაგვაკარგე, მაგრამ არვინ არს შენი ფერიო».

მეფეს გამოუსსნია იგი ტუეობიდამ, მაგრამ კიდეკ მალე ტუკედ ჩავარდნილა. ალამამად-ხანის ბრძოლაში ხელმეორედ დაუჭერიათ თინა; აქედგან რომ დაბრუნებულა, ბოლნისის ძხარეს მოუკლავთ. გადმოსაცემი ამბობს, რომ მეფე ერეკლემ ის დაასაფლავებინა ბოლნისის სიონის გვერდით, საცა მისი ქმარიც ემარხა. და საფლავის ქვებზე ტოლქმართ სასე ამოაჭრეინა გვირგვინითა, მათი ობლები კი მოიუვანა და სასასლეში ზრდიდა. ასე მოუთხრობდა თურმე ამ ამბავს ასლან ბებუთოვი.

3) თამრო ვაშლოვნელის მოქმედება უფრო ერეკლია, ვიდრე მაიასი და თინასი. სოფელი ვაშლოვანი არის კოჯო-

რის სამსრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. თამრო დაბადებულა აქ მე XVIII საუკუნის დამლევს. მისი დედ-მამანი ეოთვილან გლეხნი. მისი ძმა მომკვდარა თბილისს 1817 წელს და იმას უამბნია თავის დაზე ბევრი რამ გასაკვირი, მაგრამ სამწუხაროდ უკელა მისი მოქმედება დაწერილებით არ არის მოხსენებული მის ცხოვრების დამწერისაგან. რაც არის დაწერილი ჩვენ იმასაც მოკლედ მოვიხსენიებთ.

თამროს დედა მალე მოჰკვდომია და მის მამას მეორე ცოლი შეურთავს. მამაც რომ გამოჰსალმებია ამ წუთის სოფელს, ბატონს ის ვიღაცა ყარაღისთვის მიუყიდნია; მაგრამ თამროს თვითონვე დაუხსნია მისგან თავი, რომელიც თურმე ბრუნდებოდა ეკვანში, ისინ გამოიარა ერთ ტყეში, სადაც დათვი დაჭხვდა წინ და წაეკიდა, მაგრამ უშიშარმა გმირმა ქალმა მოჰკლა დათვი და დაიხსნა თავი მეორე განსაცდელისაგან. ის მოვიდა სოფელს ვაშლოვანს და სცხოვრებდა თავისუფლად. იმას ახლა ბატონი აღარა ჰყოლია, რადგან ტუკეობიდგან ვინც თავს იხსნიდა მეფის კანონისამებრ თავისუფალი იყო. სოფელში უიმისოთ არა კეთდებოდა რა. ის ეოთვილა «სასტიკი და გაუტეხარი მეხი დედა-კაცი», რისა გამო მისი სახელი განთქმულა საქართველოში. იგი ეოთვილა თავის სოფლის ვაშლოვანის მცველი მტერთაგან. ერთხელ ვაშლოვანს თათრები დასტემიან, აუკლიათ სოფელი, დაუნგრევიათ ეკლესიები და ბევრნი მცხორებთაგანნი ტყვედ წაუყვანიათ. თამრო გამოსდგომია მათ, დასწყევნია თავის დასტით და ისეთი საკვირველი სიმამაცე და გმირობა გამოუჩენია, რომ მტერი ძლიერ დაუმარცხებია და განუთავისუფლებია ქართველი ტყვეები. ეს ამბავი მეფეს რომ შეუტყვია, ძლიერ დიდის მადლობით უთქვამს თამროსთვის: «ოჰ, შვილო! შენ გენაცვა-

ლოს ჩემი მოხუცი თავიო, რომ შენის მაგალითით ეცნებიც გამხნეკდესენო». მერე მიუცია მისთვის და მის ამხანაგების-თვის ტუვია-წამალი და ერთ ზარბაზანსაც დაჭვირებია. თა-მროს თავის დასტაში ბევრი მეომარი ქალებიცა ჭყოლია.

ამის შემდეგ ბევრს კაცს მოუნდომნია თამროს ცოლად შერთვა, მაგრამ იმას ყველასთვის უარი უთქვამს. ის თურმე ამბობდა: «მე დედა-კაცი არ ვიყო, თუ რომ მამა-კაცს დავე-მორჩილო! ჩემი ჯანი და ღონე მის წყალობით და მის სი-ყვარულით რად უნდა გავაქროო?! არა, მე ქმარს არ გავუვები და ამ აზრს მე ვერავინ შემიცვლის. მე რომ გავთხოვდე, მა-შინ სიმხნე და ვაჟ-კაცობაც დამეკარგება ქმრისთვის მორჩი-ლების წყალობითა, და თუ სხვაგანაც მოიპოვება ჩემისთანა თვალავანი ქალი, იმასაც ვურჩევ ქმარი არ შეირთოს. არა, მე ქმარი არა მსურს. ჩემი გულითადი წადილი არის მხოლოდ სამსახური ჩემის მოძმეებისა და ქვეყნისა; მე მსურს ჩემი ქა-ლობა სამშობლო ქვეყნის სამსახურს მოვანდომო და თითრე-ბის ჯავრი ამოვიყარო: ვებრძოლო სამარის კარამდე იმათ, ვინც ჩვენის ქვეყნის დამხობას მეცადინეობენ».

მეფემ ერეკლეს მეტად მოსწონებია თამროს ცქვიტი ლა-პარაკი და აღტაცებულს მაშინვე უბრძანებია ერთი ლურჯი ცხე-ნი თავის აღკაზმულებითა და კიდევ სხვა და სხვა საჩუქრები.

ამის შემდეგ თამრო მოუდალავად ებრძვის მტერს. სა-დაც კი მის ხმას გაიგონებს, ის შავარდენივით იქ მიეშურება ღვთის-რისხვის დასატეხად. ერთ ღამეს ლეკები დაეტნენ ვაშლო-ვანს. თამრო მათ გადაუდგა წინ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა იბრძოლა თავის დასტით და ბოლოს განდევნა ისინი სოფლის გარეთ. ამაზე არის ნათქვამი ლექსი:

„ლეკები სულ გავაქციეთ მთვარიანი ღამითაო,
უკან თამრო გამოუდგა ჯანგიანი ცმალითაო;
ჩვენცა თამროსა გავუეკით, გვიკვირდა სულ თავადთაო,
ლეკები მთლად გადავრეკეთ, ვარბენინეთ სხვა გზითაო“.

ალარ გასულა ჯიდეკ დიდი ხანი, დავარდნილა ხმა, რომ ჯაშლოვანს თათრები დატეძს უპირებენო. თამროს მაშინვე შეუხიზნავს მცხოვრებნი სოფარში, თვითონ შეიარაღებულის ხალხით ჩაჭსოფრებია ერთ ვიწრო ხეობაში. თათრების ახლო გავლის დროს, გამოსულა თავის ლურჯათი და გაუქრიალებია ხევის გვერდზე. თათრები დასდევნებიან უკან და შესულან ვიწრო ხეობაში: მაშინ ჩასაფრებულ ქართველებს დაუშენიათ თოფები და მრავალი მათგანი მოუკლავთ. ამ დროს თამროც გამობრუნებულა და ერთობლივ მესხავით დასტეძიან მტერს, დაუხოცია და წაურთმევიათ სოფლების დარბევაში ნაშოვნი დავლა. ამისათვის ხალხსა და მეფეს თამროსათვის დიდი მადლობა უთქვამთ; მაგრამ ერთს ავს აზნაურს მისი დიდება ჯ ქება შეჭშურებია და ქვეყნის ღალატობა შეუწამებია წინაშე მეფისა. უკანასკნელს წაუყენებია მაბეზღარი პირში თამროსთვის, რომელსაც დაუმტკიცებია მეფისთვის თავისი ერთგულება სამშობლო ქვეყნისა და მტერობა და ღალატობა თვით იმ მაბეზღარის აზნაურისა. მაშინ მეფეს უთქვამს თამროსათვის: «წადი შვილო, თამრო! ღმერთი შენთან არს, და იყოს იგი ყოველ შეშწე შენი. შესანიშნავი ხარ დედათა შორის და მასალებელი შენის სქესისა. ეცადე შვილო! შენის მაგალითით მამა-კაცებიც გაუერთგულო სამშობლო ქვეყანასა».

ამ დროს მეფესთან ყოფილან მრავალნი თავადნი და რადგან მოსწონებიათ თამროს ახოვნება, უთხოვნიათ დაჭიდება ერთ გამოჩენილ ფალავანთან. იმას უარი არ უთქვამს

და ძლიერად დაუმარცხებია წინაშე მეფისა მოწინააღმდეგე. მაგრამ ამ თვალუნოსანმა თამრიოს თურმე ბევრი მტერი აუჩინა. ამისათვის ის დიდსინს დამალულა და აღარავისა სჩვენებია სიცოცხლეს ჭეშმარიტებია, რომ თამრიო მოჭეშმარიტეს სიდმეო და გამოუთქვამს მის შესახებ ბევრი ლექსები. აი ორი მათგანი:

1.

ვაშლოვნელებს ვიდა მისცემს
საყვარელს მათსა ქალსაო,
მეომარსა თვალავანსა
და გმირებისა ცალსაო.

2.

თამარო ვაშლოვნელსაო,
ვაშლი უდგია თავსაო:
რიგი მწიფეს, რიგი ეკვილობს
მისი სათლავის გარსაო.

გარს დამტირებელი არ ჭეავს,
ნეტარება მის გვამსაო
ზედ ანგელოზები ჭეფრინვენ
და ჭვალობენ ნანასაო.

თამრიოს დიდსინს უმალავს თავი, მაგრამ ბოლოს ის გამოუცანია მეიდანში ერთის გლეხის უბედურებას, რომელ მას უნახავს ის გლეხი მტირალი და მეფესთან მიმავალი საჩივლელად. თამრიო დაუფიქრებლივ თვითონ მისულა მეფე ერეკლესთან და უჩივლია სიცხის მწვალებლებზე. მეფეს ძლიერ სწყენია ბორბოტ-მოქმედება ბატონებისა, დაუბარებია ისა-

ნი და ძლიერ დაუტუქსავს. ამ სასით თამრიოს დაუხსნია გლესის ოჯახობა უბედურებისაგან, მაგრამ თვითონ გადაუმტერებია ბატონები. ამათ წინადაც თურმე ძალიან ეჯავრებოდათ ის გლეხთა წასარჩლებისათვის და ახლა ეს სიძულილი მათ მტრობად გადაექცათ. დაუწყეს დევნა. ერთ დღეს დაიჭირეს რამდენმაც კაცმა, წაიყვანეს და მდინარე მტკვარში ჩააგდეს. თამრიოს აქ ბევრი უწვალია და ბოლოს ერთ ბურჯზე წყალს რომ მიუსეთქებია, უსმარნია უკანასკნელი ძალა და ასულა იმ ბურჯზე, მაგრამ იქიდგან სისუსტისა გამოკვლარ ჩამოსულა და მშიერ-მწყურვალს სული გასუტევებია. გასულა რამდენიმე სანი, ის უნასავს მეტსვარეს, შეუტეობინებია სოფელში, გლეხებს ჩამოუღიათ მისი ყვავ-კაჭკაჭისაგან დაწიწკნილი და შეჭმული გვამი და დიდის პატივით დაუსაფლავებიათ ორიალეთის ეკლესიაში. ამაზე არის ნათქვამი ლექსი:

თრიალეთს დიდსა საყდარში
თამარი ასაფლავია:
მისებრი ქალი ერთგული
ჩვენ არავინა გვყოლია...

ჩიტებმა უწყეს ჭიკჭიკი
სიმღერა თამარასაო
ჩვენ იმას კიდა გვაჩვენებს
ისა ძეგს სამარესაო.

ამავე დროს ქიზიყს, ს. ანაგაში, ცხოვრობდა ერთი ღარიბი გლეხის ქალი და ისეთი მამულიხ მოუვარე რამ ყოფილა, ისე გაბრაზებული ჰქონია გული საქართველოს მტრებზე, რომ ამის გამო ერთხელ მეფე ერეკლესათვის შეურაცხ-ყოფა

მიუუენებია, რადგან ტან-ჩაცმულობაზე უფიქრია, რომ ის უთუოდ სპარსელი უნდა იყოსო. ეს ქალი თურმე ლელვზე იყო ასული და ამ დროს მეფემ გაიარა გზის პირას ანაგაში, გულმა არ მოუთმინა, მოგლიჯა ლელვი და შიგ ზურგში სთხლიშა. ის მაშინვე დაიჭირეს, გამოჰკითხეს მიზეზი ამ გვარის ქცევისა და იმანაც აუხსნა, რომ მტერი უიზილბაში მეგონაო: რა ვიცოდი, თუ ჩვენი მეფე იყოო? მაგას ტანისამოსი ჩვენებურად რატომ არ აცვია, თუ რომ მართლაც ეგ ქართველთ მეფე არისო. მეფე არამც-თუ არ გასწყრომია ამას კადნიერებისათვის, არამედ მადლობაც კი უთქვამს მის შეშინებულ მამისთვის, რადგან ასეთი მამულის ერთგული შვილი გაეზარდა. ქალს ტანზე ძალიან დაკონკილი ტანისამოსი სცმია, მეფეს საჩუქარი მიუცია მამისათვის მის შესამოსად.

ქართველი დედა-კაცები არამც-თუ საქართველოში ებრძოდენ მტერს, არა სტოვებდენ მას დაუსჯელად, ამბობს ბ. დ. ზ. ბაქრაძე, უცხო ქვეყანაშიაც. პოლშის მწერალმა კრუზინსკიმ, რომელიც მე-XVIII საუკუნეში დიდ სანს იმეოფებოდა სპარსეთში და დასწერა ისტორია თეირანში ქართველთა ლაშქრობისა სპარსეთში, ამბობს: 1725 წელს მოვიდა საქართველოდგან ისპაანს ჯავრის ამოსაყრელად ერთი დედა-კაცი, რომლის ქმარიც მოეკლათ გულბანდის ომში. ძვირად დაუჯდათ ავღნელთ იმის ქმრის სიკვდილი. იმან მოჰკლა სხვა და სხვა ჩხუბში 90 კაცი და მხოლოდ მაშინ იცნეს ის, რომ დედა-კაცი იყო, როცა ერთს ომში დაიჭირეს, მაგრამ იმის გმირულს მოქმედებას პატივი სცეს და მაშინვე განთავისუფლეს [1]).

---

[1]) იხ. ჟურ. «ცისკარი» 1860 წ. № I.

მე-XVIII საუკუნის დედა-კაცებს ეკუთვნის მეფე ერეკლეს ტოლი დარია, ანუ დარეჯან დედოფალიც. ეს იყო ასული გიორგი დადიანისა. დარეჯანს უფრო კარგად ესმოდა ის შედეგი, რაც თან მოჰყვებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთებას, ვიდრე მეფე ერეკლეს. ბუტკოვი ამბობს, რომ მეფე ერეკლეს ეწადა საქართველოს შეერთება რუსეთთან, მაგრამ დედოფალი დარია არ გასდა ამის თანახმა [1]). ამავე მწერლის სიტყვით დედოფალი იმისათვის ეწინააღმდეგებოდა მეფის განზრახვას, რომ „რუსეთის ჯარების კავკასიაში შემოსვლის შემდეგ საქართველოს შინაური მდგომარეობა უფრო საძწუხარო შეიქმნა [2]). მართლაც, 1785 წლიდგან საქართველო ისეთს უბედურებაში ჩავარდა, რომლის მსგავსი მას არ ენახა შაჰაბასის დროსაც. მეფე ერეკლეს ასეთი ეოფა საძეფოსი ძლიერ სწყინდა, მაგრამ მის ნაღველს დედოფალი არამც-თუ არ განაქარვებდა, არამედ უფრო უმატებდა. მეფემ შეჰკრა რუსეთთან პირობა ერთად მოქმედებისა მტრების წინააღმდეგ და დარია ამ გარემოებას აბრალებდა საქართველოს მტრების აშლას და აოხრებას [3]),

ამის შემდეგ მეფე ერეკლე გატეხა, იმედი გაუცრუვდა და სიმტკიცე მის მღვიძარე სულისა შეირყა. მან ნახა ბევრჯელ ცვლილება თავის ბედისა, ამან გაუტეხა მას უმანკო გული და შრომამ და მოსუცებულებამ მოდრიკა წელში; დღითი დღე უფრო სუსტდებოდა. ამ გარემოებაში დარია

---

[1]) იხ. Матер. для исторій Кавказ. ч. II, გვ. 481 და 482.

[2]) იხ. იქვე გვ. 177.

[3])იხ იქვე გვ. 188

გაერია სამეფო საქმეებში. 1785 წლიდგან მეფის სიკვდილამდე ის თითქმის თავის ნებაზე განაგებდა სამეფო საქმეებს [1]). დარეჯანს ახლა ისეთი დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოში, რომ იმპერატრიცა ეკატერინა საქართველოს საშველად ჯარის გამოგზავნას ატეობინებდა როგორც მეფე ერეკლეს, აგრეთვე დარიას და სთხოვდა ერთისაც და მეორესაც—მათაც თავიანთი ჯარები შეეერთებინათ მის ჯარებთან [2]); მაგრამ წამხდარი საქმე იმან ვეღარ გამოაგო, მით უფრო უმეტეს, რომ მტერნი აღმოუჩნდენ მისს განზრახვას.

მწარე გარემოებაში ჩავარდნილი ერეკლე 1798 წელს, 11 იანვარს გარდაიცვალა თელავში. მაშინ აღმოჩნდენ ისეთი პირნი, რომელთაც ეწადათ დარიას გამეფება. მაგრამ თვით მას უნდოდა თავის უფროსის შვილის იულონის გამეფება და მის სახელით სამეფოს გამგეობა. ასეთი მათი განზრახვა ჩაშალა გიორგიმ. მოკვდა თუ არა ერეკლე, მან გამოაცხადა თავისი მეფობა და ჯარი და თავადობა ძალად შეიყვანა ერთგულებაზე. მაგრამ დედოფალი მაინც არ დაწყნარდა. ის ცხადად წინააღმდეგი გაუხდა გიორგის მეფობას. ამის გამო იმპერატორმა პავლე I-მა მოსწერა საქართველოში მეორე კავკასიონის ბეჯითი თვალ-ყური სდგეროდა მის მოქმედებაზე. ამ გვარმა საქმეებმა აიყვანეს და აშფოთეს საქართველო. გაჩნდა ორი თარეში: ერთს სწადიან მეფედ გიორგი, მეორეს დედოფლის შვილი იულონ. მაგრამ გიორგი მეფემ, რომელსაც სნეულობისა გამო სრულიად ადარ შეეძლო მეფობა,

---

[1]) იხ. იქვე გვ. 336.
[2]) იქვე გვ. 344.
[3]) იხ. იქვე გვ. 440 და 443.

გარდასწყვიტა თავის მომსრეებთან საქართველოს რუსეთისთვის მიცემა. ამის თათბირზე დაიწყო კიდევაც ლაპარაკი რუსეთის სამეფო კართან; მაგრამ ისე ჩუმად უნდა ეოფილ იყო ეს საქმე წარმოებული, რომ დარიას არ შეეტყო, რადგან ის წინააღმდეგი იყო რუსეთთან შეერთებისა. 1801 წელს, 18 იანვარს, გათავდა ამ საქმეზე ლაპარაკი და დაიწერა მანიფესტი იმპერატორის პავლე პირველისაგან შეერთებაზე.

ამის შემდეგ დედოფალი დარია შვილებითურთ გარდასახლეს რუსეთში; მაგრამ მაინც არ დაწყნარდა. მუდამ ჩიოდა და მეცადინეობდა საქართველოში დაბრუნებას; სწუხდა და შეოთავდა, რომ მან დაჭკარგა თავისუფლება. ეს ამბავი საქართველოში კარგად იცოდენ და ქებას უძღვნიდენ დედათა სქესს. აი რას ამბობს ამ დროის დედა-კაცის გულის მოუდრეკელობაზე პოეტი ბარათაშვილი:

ჭოი დედანო! მარად ხეტარნო
კურთხევა თქვენდა, ტკბილ სახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჭყოლოდათ!
ვინღა ჭეავს გულის შემატკივარი
მამულს ასული ახლა თქვენ-გვარი?

ბევრის კარგისა და აკის თქმა კიდევ შეიძლებოდა დარიას დედოფალზე, მაგრამ ჩვენ აღარ ვაგრძელებთ იმაზე ლაპარაკს. დაე დარჩენი გამოიკვლიოს იმან, ვინც შეუდგება ერეკლეს შეფობის აღწერას. ჩვენის მიზნისთვის ის თვალებიც კმარა, რაც მოვიყვანეთ საზოგადოდ ქართველ ქალებზე მთელს ჩვენ «ისტორიულს სურათებში» და მით გამოვხატეთ ქალების ხასიათი, მოქმედება, ჭკუა-გონება და მიმართულება.

მაგრამ აქვე არ შეგვიძლიან არ მოვისსენიოთ ის თვა-

ტიცა, რომელიც ქალებმა ჩაიდინეს 1877 წელს. უკეთესს ეხსომება, რომ ამ წელს ქიზიყში ქალებმა სტემეს ორი ბობოლა კაცი უსამართლობისათვის, რომელიც მათ ჩაიდინეს რუსოსმალოს ბრძოლის დროს. ამ შემთხვევაში ქართველმა ქალებმა კიდევ გამოიჩინეს თავისი ისტორიული თვისება,—სიმტკიცე და შედგრობა ხასიათისა, აგრეთვე ერის კეთილ-დღეობის სურვილი, სიყვარული და გამჭრიახობა. ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ იმათი გული ჯერ კიდევ ისე არ არის დაჩაგრული, როგორც მამა-კაცებისა: ნუ დაივიწყებთ იმ ფაქტსაც, რომ ქალებმა შეადგინეს წრე და აბეჭვდინებენ ერთად თავიანთ თარგმანს. მათ ორი წიგნი კიდევაც გამოსცეს საზოგადო შრომით და თანხმობით; მამა-კაცებს კი აგერ რამდენიმე წელიწადია განზრახვა აქვთ გამოსცენ კრებული ძველის ხელთ-ნაწერებისა და ჩვენის დროის შესანიშნავ წერილებისა და თხზულებებისა, მაგრამ ვერ მოუსერხებიათ თავიანთ შორის უთანხმოებისა გამო. ცხადია, თუ რომ რიგიანი განათლება მისცეს ქალებს, ისე ასწავლეს მაინც არის, როგორც მამა-კაცებს, არასოდეს არ დაჭკარგვენ თავიანთ ისტორიულს მნიშვნელობას მომავალშიაც.

რაში მდგომარეობდა ეს მნიშვნელობა, ჩვენის „ისტორიულ სურათების“ მკითხველი თვითონაც კარგად მიხვდებოდა; მაგრამ ჩვენ მაინც გვსურს დავასკვნათ ჩვენი ძრომა მის შესახებ ორიოდე სიტყვის თქმით.

„ჩვენ რომ მოვიწადინოთ ძეტუობა, ცუდი იყო თუ კარგი, აბობს ბოკლი, დედა-კაცების გავლენა კატობრიობაზე, შეუჭველად უნდა გავსტუდეთ და დავრწმუნდეთ, რომ საზოგადოდ ეს გავლენა ძეტის ძეტად საკეთილო ყოფილა. ძახ შემოიტანა ადამიანის ცხოვრებაში იდეალური და რომანტიული

თვისება (элементъ), დაიცვა კაცი მარტო ჭამა-სმაზე მზრუნველობისაგან, გადაასხვაფერა და არ მისცა მას ნება ერთნაირად ცხოვრებისა. ამ გავლენამ დედა-კაცებისამ შეამწუდია და შემოზღუდა მამა-კაცების გულ-სასტიკობა და მძლავრობა და ამ სახით მოუსპო მათ უფლება მარტო თავის ნებაზე საზოგადო ცხოვრების მართვისა; გამოქნა და დაალბო მათი სასტიკი ზნე. ამ შემთხვევაში მათის გავლენისაგან მოტანილი სარგებლობა დიდიც არის და ეჭვს გარეთაც"... „მათ თუმცა არ შეუძლიანთ რასმე დიდს გამოკვლევას შეუდგნენ, მაგრამ მათს ბაკუა-გონებაშიო, ამბობს იგივე მწერალი სხვა ალაგას, ჩათესილია ისეთი უკლებელი თვისება, რომელიც ძალას აძლევს მათ წააქეზონ კაცობრიობა გამოკვლევისა და განათლებისადმი." თუ ეს ასე ყოფილა, ბოკლის აზრით, ეროვნულ ქვეყანაზე, რატომ ასევე არ უნდა ყოფილიყო დედა-კაცების გავლენა ჩვენშიაც? დიაღ! უკანასკნელად გაბობ, რო ქართველ ქალებსაც დიდი გავლენა ჰქონიათ საქართველოს ერის განათლებაზე, პოლიტიკურსა და სამოქალაქო ცხოვრებაზე. ქართველებს არა გაუკეთებიათ-რა თავის ისტორიულ ცხოვრებაში, რომ ქალებსაც არ მიეღოთ მონაწილეობა იმ საქმეში. იმათ მამა-კაცებთან ერთად ეზრუნეთ მტერთან სახლ-კარისა და თავისუფლების დასაცველად; ისინი არიგებდენ და ამშვიდებდენ მახსუბარნ; იმათ ხელში იყო ოჯახის მოვლა და შვილების აღზდა; ისინი შეადგენდენ ისეთს გარეგანს ძალას, რომელიც აძლევდა და აქეზებდა კაცებს მოქმედებისათვის, მათ ოჯალში დამბლად და უსეიროდ გამოჩენა მამა-კაცისათვის თავზე ქუდის მოხდას ნიშნავდა. აი ამისათვის იმათ ჰქონიათ დიდი პატივი მამა-კაცთაგან და თავსი ადგილია მათ სიტყვას, არ ყოფილან ისინი მოკლებულნი თანასწორს უფლებას კაცებთან ერთად. მათ ჰქონიათ თავიანთი სა-

კუთრება: მზითევი, საქონელი, მიწა-წყალი და სხვანი. «თუ ჯოგი წასხან რაზომიცა სულისა იყოს, ამბობს ალბულას კანონი მე-XIV საუკუნეში, თავ-თავისად გაცრცვილი საპატიოდ დაუურვოს: მამა-კაცისა 2000 ათასი, დიაცისა 3000 ათასი» (მუხლი 141): დიალ! იმათ ორივეს ერთნაირად უწევიათ ბაპანი პოლიტიკურის და სამოქალაქო ცხოვრებისა, რადგან ერთ გვარი უფლება ჰქონიათ საზოგადოებაში და ოჯახში.

ჩვენ ეს აზრი გამოვიტანეთ იმ ფაქტებიდგან, რომელნიც უკვე მოვიყვანეთ, და თუ სხვა ამაზე მომეტებულს იშოვამენ და უფრო უწყაშმარიტესს აზრს შეადგენს ქალებზე, «ჩვენი ესე თქმული არა იქნების დამიუენებელი უმჯობესისა ჭ უწყაშმარიტესისა დასკვნისა». მაგრამ თუ კრიტიკოსმა არ მიჰხედა ჩვენ მიერ ნაჩვენებ ფაქტებს და თავის ფილოსოფიურის ჭკუით წინააღმდეგის თქმა დაიწყო, მაშინ ჩვენ თავისუფალი ვიქნებით ურა არ ვუგდოთ მის ლაპარაკს. ჩვენის მხრით ჩვენ გამოვიკვლიეთ და შეკრიბეთ, რაც კი იყო თქმული ქართველ ქალებზე ავიცა და კარგიც, რამოდენადაც შეკიძლიოთ, დავდეთ ორივე ჩვენს ჭკუის სასწორზე და შეადგინეთ ის აზრი, რომ ქართველ ქალების გავლენა ცხოვრებაზე ძალიან საკეთილო იყო. ვინც ასლა ამ აზრის წინააღმდეგნი არიან, ფაქტებით გაკლაპარაკონ და ჩვენც დიდის სიხარულით მივიღებთ მათს ჭეშმარიტს დასკვნას. მარტო იმის თქმა, რომ წარმოდგენილი ფაქტები არა კმარა ქართველ ქალზე ასეთის ბრწყინვალე აზრის შესადგენადა, ჩვენს აზრს სრულიადაც გერ გაუცრუებს. ეს ჩვენც კარგად ვიცით: მომეტებული რომ იყოს ფაქტები, ჩვენი დასკვნა უფრო საეჭვოლი იქნებოდა. ამაზე ლაპარაკიც არ არის საჭირო. ჩვენ გვიპასუხონ მკითხველთ მხოლოდ იმაზე: ჩვენი დასკვნა

უფრო საეჭვოდ ვიგულისხმეთ, თუ იმ კრიტიკოსთ მსჯელობა, რომელნიც ჩვენს აზრს უსაეჭვოს ეძახიან და ამბობენ, რომ მეცნიერულად არ არის დაწერილი ეს წერილი. ჩვენ ჯერ-ჯერობით არც გვქონია სახეში მეცნიერულის სამართებლით გვეპარსა თვალები. ჩვენ დავსწერეთ ეურნალისათვის მდაბიურის ენით მხოლოდ ადვილად გასაგები წერილი, რომელშიაც შემოვიტანეთ მხოლოდ სია თვალებისა, თუ როგორ მოქმედებდენ ქალები ქართველთ ისტორიულ ცხოვრებაში. ჯერ თვალები უნდა იყოს, მერმე მეცნიერული დასკვნანი. ამასთანავე ვალდებულად ვრაცხთ ჩვენს თავს ახლავე გამოვაცხადოთ, რომ ჩვენ წერის დროს არა გვქონია სახეში—გვეჩვენებინა ქალების უფლება ოჯახში და საზოგადოებაში. ამ კითხვას ჯერ გამოკვლევა უნდა და ჩვენ მხოლოდ გაკვრით შევეხეთ მას, რამოდენადაც ნებას გვაძლევდა ამ საგანზე ლაპარაკს რომელიმე თვალი და თქმულება.

მღვდელი Дიმიტრი Ჯანაშვილი.

1882 წელს,
3 დეკემბერს.
ქ. თბილისი.

ისტორიული ქილა

თ. გრ. ორბელიანის ლექსებში.

(პოეტის 50 წლის იუბილეის გამო).

ქართველმა საზოგადოებამ განიზრახა იდღესასწაულოს ჩვენის საუკარელის პოეტის თავადის გრიგოლ ორბელიანის იუბილეი. ყოველის ქართველის გული აღტაცებით უნდა ჰფეთქავდეს იმ ენერგიულ მოძრაობისა და სანუგეშო გამოთხიზლების გამო, რომელიც ჩვენს საზოგადოებას წლითი-წელ უფრო და უფრო ეტყობა. საიმედოა იმ ავად-მყოფის გამობრუნება, რომელიც თავის სნეულებას არა მაღავს და არ იმახის ბევრსავით: «რის ავად-მყოფობა! ფეხებზე მკიდია: კარგად ვარ, რა მიშავსო!..» ქართველობა გამოეცალა ამ გვარ ლეტარგიულ მდგომარეობას, იმან აღიარა თავის თავი ავად-მყოფად და ეძიებს შეძლებისა-და-გვარად წამლებსაც სენის განსაკურნებლად. ქართველობა თან-და-თან ცნობილობს თავის-თავს, უკვირდება საკუთარ თვისებებს, თავის ეროვნულ მოთხოვნილებათა—და თან-და-თანვე რწმუნდება, რომ იგი სხვებისაგან განირჩევა, რომ იმას სხვის შეცქერა არ არგია. ინგლისელები რომ, მაგალითებრ, შექსპირით იქადოდენ—ჩვენ რაო? რაო და შექსპირის შრომის ნაყოფი თქვენც შეგიძლიანთ იგემოთო, იტყვიან ზოგიერთები! ეგ უველაფერი კარგი, მაგრამ მე ქარ-

თვალის გული მაქვს და არა ინგლისელის. მე ქართველობით უნდა ვიქადოდე, თორემ ინგლისელობით რომ დავიწყო ქადილი, ან პირ-მოთნეობას გამოვიჩენ, ან სასაცილო შევიქნები. ამ გვარი გრძნობა ყველა ხალხში არსებობს. ბუნებას, ამ დიდ ქიმიკოსს, ასე შეუზავებია სხვა-და-სხვა ხალხთა გრძნობები და მათ შორის დაუწესებია ამ გვარი დამოკიდებულება. ჩვენ ამ გრძნობას ვერ უარ-ვყოფთ, და დიდი შეცდომაც იქნება იმისი უარ-ყოფა. ეს ბუნებითი გრძნობაა და მას ჭქვიან სახელად ეროვნული სიქადული.

ეგ ეროვნული გრძნობა—დავარქვათ მას თუ კინდ ეროვნული თავ-მოყვარეობა, ეგოისტობა—ეს გრძნობა ყოველა, არის და იქნება კაცობრიობის წარმატების ერთი უდიდესი მიზეზთაგანი. ამ გრძნობის გამო ხალხთა უშრომნიათ ერთმანერთის წინააღმდეგ და ყოველს მათგანს რაიმე განძი უზუქებია კაცობრიობისათვის. ამიტომ ყოველმა ერმა, არა თუ უნდა უარ-ყოს თავისი ეროვნული თავ-მოყვარეობა, ეს ეროვნული სიქადული, არამედ უფრო და უფრო გაცოცხლოს და გაძლიერდეს იგი.

კარგი მოშკლები ერთი-ორად მეტს მომკიან, თუ მებატონე გულ-წრფელად ათასებს მათს შრომას; თუ მათთვის არ დაიშურებს ბროწეულიანს ქათამს, დაბრაწულ მწვადს და წითელ ღვინოს, თუ თვითონაც მკის დროს განამხნევებს და აღტაცებით შესძახებს:

«ჰე, დატრიალდა ნამგლები,
ბიჭებო, გენაცვალებიგ!..»

მე ამით ის მინდა ვსთქვა, რომ შრომის წარმატებისათვის მშრომელს ღირსეულად უნდა პატივისცემა და დათვასება. ოთველი ერი ვალდებულია ზნეობითად, რომ დაათვასოს ღირ-

სეულად და დასასჩუქრონ თავის უურადღებით ის პირები, რომელნიც შეადგენენ მისს ნაციონალურს სიქადულს. ამ გვარი უურადღება ასულდგმულებს, ამხნევებს და აძლიერებს ყოველგვარ მუშას, მეტადრე მწერალს. ქართველმა საზოგადოებამ იცნო თავისი დიდი ხნის მოვალეობა. შინაურულად ეს კიდეც დაგვიმტკიცა იმან აკაკის აღტაცებულ მიღებით. ახლა თვალსაჩინოდ და საქვეყნოდ იწყებს იგი თავის მოვალეობის აღსრულებას ჩვენის მოსუც პოეტის გრ. ორბელიანის იუბილეით. ჭეშმარიტად სასისარულოა ესეთი გაღვიძება ჩვენის ეროვნობისა!

მომავალ იუბილეის გამო მე მინდა შევეხო იუბილიარის ლექსების ერთ მხარეს, ისტორიულ კილოს მისს ლექსებში.

ისტორიულ ნაწილს თ. გრიგოლ ორბელიანის ლექსებში უჭერია თვალ-საჩინო ადგილი თვით ალაგის სიდიდითაც და მეტადრე თავის შინაგან და გარეგან სიმშვენიერით. ისტორიული ხმა მოისმის პირველად პოეტის პირველ პატრიოტულ ლექსში, რომელიც დაწერილია 1832 წელს: ეს ლექსი არის «იარალის». პირველი ნაყოფიერი წელიწადი იუბილიარის პოეტურ მოქმედებაში ყოფილა 1832 წელი და ამ წლის ორიგინალურ ლექსებში პირველი ადგილი უჭირავს «იარალის». როგორც სჩანს, ჩვენი საზოგადოებაც ამ წლიდამ და საკუთრივ ამ ლექსიდამ ითვლის პოეტის საიუბილეო წელიწადს.

მე ვთქვი, რომ ისტორიული ხმა პირველად «იარალისში» მოისმის მეთქი. იქნება იკითხოს ვინმე—აქ რა არის ისტორიულიო? აქ ისტორიული ის არის, რაც აწმყო ცხოვრებას არ ეკუთვნის. რაც შეეხება წარსულს და გვიხატავს ჩვენს წინა-პირთა ცხოვრებას. «იარალში» პოეტი დანატრის ბედნიერ

ძველ დროს და ამით გვიჩვენებს თავის უკმაყოფილებას აწ-
მყოსადმი:

«დავნატრი იმათ, ვინც თვის სიცოცხლე თვისსა მამულსა შეს-
წირა მსხვერპლად,
დავნატრი დროთა, როს აქვნდათ ტრფობა მამულისადმი გულს
აღბეჭდილად,
როს ერთგულება, სარწმუნოება
ივერთ თვისებას შეადგინებდენ;
ოდესცა ბრძოლა და მამაცობა
მათსა სახელსა განადიდებდენ...»

პოეტი დაჭუურებს თავის აწმყოს და ჭსედავს, რომ ცხოვ-
რება არა თუ წინ წასულა, არამედ შესანიშნავად დაუწევია უკან,
შვილებს არამც თუ გაუსწრიათ წინ მამებისთვის, არამედ უკან
მოქცეულან შესანიშნავ მანძილზე და დაწევასაც არა ჭფიქრობ-
ენ, არამც თუ გასწორებას. პოეტი იგონებს იმ სანეტარო
დროს, როცა

«ჭაბუკნი გრძნობით აღტაცებულნი,
მტერთ საძიებლად, დაცემად მათზე
შეგროვდებოდენ, წამს შეჭურვილნი.
ვაი მას მტერსა, ვის ანუ კლდენი,
ანუ ტყეთ სიღრმე არ დაჭფარვიდენ!
ვითა, შურდულებრ, ტრედთ შავარდენი,
მიესეოდენ და შემუსვრიდენ!...»

პოეტი არამც თუ ამისთანა თავგანწირულ მამულის სამ-
სახურს ვერ ჭსედავს აწმყოში, არამედ ვერ ჭსედავს ვერც იმ
უბრალო ლხინს და შეძცევას, რომელნიც არავითარ თავის შე-
წირვას მამულისათვის არ თხოულობენ კისმესგან, მაგრამ რო-
მელნიც სალხის ცხოვრებას არა ნაკლებ აძლევენ სიცოცხლეს,

აღვიძებენ მას და ამოძრავებენ. აღარ სჩანს უწინდელებრ ეს მართლაც „საამო სანახავი“, რომელსაც აგრე ტოტლად და ჩვეულებრივის მახვილ ენით გვიხატავს პოეტი:

«ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი, ჯირითთ სრიალი, ეურთ-
მაჯთ ბრიალი,
უზანგთა ცემა, ცხენიდგან სტომა, კვალად ზე-სტომა ჯ სმალთ
კრიალი!...»

ჩვენი პოეტი ჩაუფიქრებია ამ უნუგეშო აწმყოს, ამ დაძინებულს ცხოვრებას და ჰკითხულობს:

«ვინ აღჩნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი
სმა დაძინებულს
ბედს აღადგენდეს?»

რაზედაც თვითონვე იძლევა არა სანუგეშოს და მწარე პასუხს:

«მარამ ამაო, ჩემო იარალი,
არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!»

ამ უიმედო აწმყომ ითქმევინა პოეტს:

«წარსულთა დროთა, დიდების დროთა, ეოვლი კეთილი თა-
ნა წარიღეს.»

აწმყოსადმი ამ გვარ უკმაყოფილებაში, წარსულ ცხოვრებისადმი ამ მიღტოლვასა და მისწრაფებაში იხატება პირველი ნაბიჯი იმ ისტორიულ კილოისა, რომელიც პირველად ნიკოლოზ ბარათაშვილმა განახორციელა თავისი «ქართლის ბედით.» ბარათაშვილის შემდეგ თ. გრ. ორბელიანმა მისგანვე დაწყებული კილო დაუგვირგვინა თავის მშვენიერ «სადღეგრძელოთი». მერე ამათ მოჰყვნენ რჩეულოვის «თამარ ბატონიშვილი», ილ. ჭავჭავაძის «დიმიტრი თავ-დადებული», აკაკის

«ბაგრატ დიდი», თ. რაფ. ერისთავის «ასპინძის ომი» და სხვები. ამ სახით ჩვენს ლიტერატურაში შემოვიდა ისტორიული კილო.

აჭ მე იმის გარჩევას არ შევუდგები, თუ პოეტი და საზოგადოდ მწერალი რომელის ცხოვრების წარმომადგენელი უნდა იყოს—უფრო აწმყოსი, თუ წარსულისა. მე მხოლოდ ფაქტს ვაღვიარებ და ამასაც დავუმატებ, რომ ამ ისტორიულ კილოს მოვლენას ქართულ ლიტერატურაში თავისი საფუძველი აქვს. გუშინ, ვთქვათ მაგალითებრ, პატარა ტურფა გორაზე, ფართო ჩრდილოვან მუხის ქვეშ, მწვანეზე ამსანაგობაში დროს ვატარებდი და ისეთი სადილი მოგვიტანეს, რომ მაძღარსაც კი მადას მოგვრიდა. დღეს კი, დღეს ვიხედები აქეთ-იქით გაშმაგებული, შიმშილისაგან გამწარებული, მაგრამ არამც თუ არ ვხედავ გუშინდელებრივ სავსე სუფრას, არამედ ერთ ჯამ ლობიოსაც არავინ მაწოდებს, რომ კუჭი დავიუფრო. დღეს არამც თუ არ მესმის გუშინდელებრივ განუწყვეტელი «მრავალ-ჟამიერ და მადლობელი ვარ»,—დღეს ვხედავ, რომ ყველას თავი დაუკიდია და არავის კაცისფერი არ ადევს სახეზე. აჭ მე, ჩემდა უნებურად, მომაგონდება გუშინდელი განცხრომა, გუშინდელი კმაყოფილება და მხიარულება. არა ერთჯერ ამოვიოხრებ და ვიტყვი: ოჭ, გუშინდელო მხიარულებავ! ამ გვარი მოგონება კაცის ბუნებით მოთხოვნილებას შეადგენს.

თუ ახლანდელ ცხოვრების შემხედველს მიწყლულდება გული ეოველისფერის არარაობით და ტრემლ-მოდენით ვიგონებ გორგასლანს, თამარს, რუსთაველს და სხვებს, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ეოველისფერში ვითომც იმათ დროს შევნატრიდე,—არა, მე ამით მსურს, რომ ახლანდელ მომქმედ პირებს ჭქონდესთ იმათ გვარი სული და გული, იმათ გვარი

ენერგია, იმათ გვარი თავ-განწირული მამულის სიყვარული. რაც შეეხება ახლანდელ ცხოვრებისა და დროის მოთხოვნილებას, ვინ არ იცის, რომ ამ დროს და ამ ცხოვრებას ეჭირვებათ სულ სხვა გვარ მეცნიერებით აღჭურვილი კაცები, ვიდრე წინანდელ დროში იყვნენ. ჩვენის წინა-პრების მშვენიერ თვისებების დახატვა ცხადად დაგვანახვებს ახლანდელ ჩვენის ცხოვრების არარაობას და გვათქმევინებს:

«რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ,
რაც ვართ, ის ნულარ ვიქნებით!»

ანუ როგორც ჩვენი პოეტი ამბობს «სადღეგრძელოს» ერთ ადგილს:

«თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს შთამამავლობა!
თქვენთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ-მოედინება,
მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მისწვდება!»

«სადღეგრძელო» არა ჭვავს იმ მოთხრობებს, როგორებისთვისაც ჩვენ საზოგადოდ მიგვიჩვევია თვალი და ყური. აქ არ არის გამოყვანილი ერთი გმირი, რომელზედაც იყოს დამყარებული მთელის მოთხრობის შინაარსი, რომ ეს გმირი, მხოლოდ ერთი მიიტაცებდეს მკითხველის ყურადღებას. არა, პოეტს საკუთარი ორიგინალური ფორმა გამოუგონია, უფრო თართო და დამტკვი, ვიდრე ჩვეულებრივი: აქ იმდენი შეიძლება დასტიო, რამდენიც გსურს, და იმდენ ხანს შეიძლება ილაპარაკო და ატკბო მკითხველის სმენა, რამდენ ხანსაც ენა არ დაშვრება. ეს ფორმა ახალია მწერლობაში, მაგრამ ჩვენის ხალხის ცხოვრებაში კი ძველთაგან ძველია. პოეტი დაჭვირვებია ამ ცხოვრებას და თავის მოთხრობის ფორმაც მტკიცედ დაუმყარებია ხალხის ხასიათზე. მართლაც, ქართველი ხალხი

ძლიერ ხშირად იგონებს სუფრაზე, ჭამა სმის დროს, თავის მამა-პაპებს. მოჭუკება ამბებს იმათ ცხოვრებიდამ და ისე გაიტაცებს სუფრაზე მსხდომ ხალხს, რომ ყველანი სმენად გარდაიქცევიან ხოლმე. ბოლოს «აცხონოს ღმერთმაო» იტყვის, გარდააქცევს ბურზე ღვინოს სავსე ჭიქიდამ და დასცლის კიდევაც. აქედამ სჩანს, რომ ეგ ფორმა ცოცხლად არის ამოღებული ქართველის ხალხის ცხოვრებიდამ. ამ მხრით «სადღეგრძელო» არა ჰგავს არც «ქარიოლის ბედს», არც «დიმიტრი თავდადებულს» და არც სხვებს. მე არ დავიწყებ იმის გარჩევას, თუ ამათში რომელი ფორმაა უკეთესი. «სიტყვა სიტყვაა—საქმე კი სხვაა»-ო, თვით პოეტი ამბობს—ამისი არ იყოს, ფორმა ფორმაა და შინაარსი კი სხვაა, ვიტყვით ჩვენ. ამისთვის ვნახოთ და გავიცნოთ, რა არის ამ კანს ქვეშ და რა ღირსება აქვს თვით ამ შიგნითა გულს, თვით ნაყოფს.

ომი შესწყდა. ქართველებმა გაიმარჯვეს. ვინც კი გადურჩა საზარელ ომს, მოუყრიათ თავი ერთად და ერევნის ახლოს გაშლილ ველზე უსხედან გარშემო ახთებულ ცეცხლს. შელამდა. «აჭა მთოვარეც ნელიად შუქსა, ვითა ნუგეშსა, მოჭფენს საშვებლად.» ჯარი მოილხენს. ლხინი არის ქართული ლხინი. აჭა, ადგა ტოლუმბაში სავსე ფიალით და ათვალიერებს თავის მოძმეებს:

«მაგრამ რა მეფე ჯარსა უყურებს,
მას გამარჯვება არღა ახარებს.»

ამისი არ იყოს, ტოლუმბაშიც შეჭყურებს თავის მოძმეებს და ჰგავს გული უწყლულდება, რომ ბევრი მათგანი აკლია თვალში. ტოლუმბაშმა დასცალა იმათი გამოსასალმებელი და შესანდობარი, ვინც წასულ ომში დასდო თავი მამულისათვის. დანარჩენი მსხდრები სცლიან აგრეთვე თავ-თავის ფია-

ლას და იმეორებენ ტოლუმბაშის სიტყვებს, სადღეგრძელოს.. აჭა, ტოლუმბაში კიდევ ფეხზე დგას სავსე ფიალით. ეს მოიწოდებს მოძმეებს «წინა-პირთ მოსახსენებლად», რომელთ სასელი, ხმალი და სახელოვანი საქმენი წინ გვინათებენ თვისის დიდებით. ტოლუმბაში მოუწოდს მხედრებს პატივით მოიხსენიონ ძველი საუკუნოები, მისთვის რომ

«მათში სასენი სჩანან ნათელნი
გმირთა მამულის განმადიდეთა.»

და აჭა, მადლიერი ტოლუმბაში და მასთან ერთად თვით პოეტი, ძველის გმირების აჩრდილებს რიგ-რიგად წამოაყენებს მხედრების წინ, ერთი აჩრდილი მეორეს მოსდევს, ერთი გმირი მეორესა სცვლის. აი წარმოსდგა თარხანოზის აჩრდილი. ეს იყო პირველი ჩვენი მეფე, რომელმაც თავ-და-პირველად «შეჭქმნა ერთ-მოავრობა, მან მისცა ქართველს წიგნი პირველი, მან დაუმკვიდრა ერსა ერთობა და ერთობასა წესი და ძალა.» აჩრდილი მიიმალა.

აი მეორე აჩრდილი. ეს არის მეფე მირიან, რომელმაც წმ. ნინოს ჩაგონებით მოჰფინა საქართველოს ქრისტიანობის სხივი:

«ჯვარისა ძალით გარე-მორტყმული,
შეჭმუსრავს კერპთა მათის ბოძონით!»

აჩრდილი მიიმალა. ეს ვინ გამოჩნდა? ვინ არის ეს გმირი, რომელსაც მეხსავით მძლავრ სიტყვებით ცოცხლად გვიხატავს სულმნათი პოეტი?

«მუზარადს მგელ-ლომ გამოსახული,
სელსა მახვილით ვინ მოვალს გრგვინვით?
ვით ბრძოლის ღმერთი, თვით მბრძანებელი,
მზად არს საომრად სახე-შერისხვით!»

ᲮᲐᲡᲣᲮᲘ თვით ᲮᲝᲔᲢᲘ მოგვცემს:

«ესე არს გმირი ის გორგ-ასლანი,
რომლის შესედვით სპარსელნი ჭეშმარიტად,
მისწვდენ სადაც მის ძლიერნი მკლავნი,
მტერთა შელეწდენ და შემუსრვიდენ!»

დრონი იცვალნენ. მიიმალნენ საქართველოსთვის გორგ-ასლანები და კარგა ხანს აღარ ჭეშმარიტად საქართველოს მათებრ მტერთ-შემრისხავი გმირები. მაჰმადიანებმა გაანადგურეს შესუსტებული საქართველო. მაგრამ საქართველოში არ გამოიღივნენ სრულიად გორგ-ასლანები. ამათი თესლი დაეცა ნოყიერ მიწაზე და საქართველოს დაუღალავმა ბუნებამ აღმოაცენა და აღაზვავა ისინი. მაჰმადიანებისაგან დაქცეულს და გაანადგურებულს საქართველოს მოეკლინება დავით. ამან დასცა ზარი მაჰმადიანებს და დაამშვიდა საქართველო; ამანვე მოაშენა უსჯულოთაგან დანგრეული საქართველო, რისთვისაც უწოდეს მას „აღმაშენებელი“:

„დავით ჭესთქვი: «იყავნ ქალაქნი!» და აღმოსცენდენ ქალაქნი!“

ᲐᲮᲠᲓᲘᲚᲘ იცვალა. აჭა გამოჩნდა «ღმერთა მშვენიერების»:

«ვით ტრედი მადლის მშვიდი და წუნარი,
ეგრეთ შვენებით მოვალს თამარი!»

დიაღ! «ვით ტრედი მშვიდი და წუნარი!» სწორედ ეგრეთი იყო თამარი თავის ქვეშევრდომებისათვის: მშვიდი და წუნარი! მაგრამ თავის ქვეშევრდომთ შორის თამარი ტრედსავით რომ ღუღუნებდა, იმავე დროს ის თავს დაჭკივოდა საქართველოს მტერთა და ათრთოლებდა მათ, როგორც ქორი დასტრიალებს ხოლმე ნორჩ წიწილებს და შიშით აწიოკებს მათ. საკმარ იყო ერთი მისი მომწოდებელი სმა, რომ დაღლილ-დაქანცული ქართველი ჯარი კვლავ აღეურვილიყო ასალის ძა-

ლით და მტერს რისხვად მოგლინებოდა. და როგორ არ გა-
ცოცხლდებოდა და არ გამხნევდებოდა ჯარი თამარის სმით,
თამარის ხილვით, რომელიც ყველასთვის იყო კეთილი დედა,
რომლის გული მათთვის იყო ზღვასავით სავსე წყალობით ლ
სიუსვით!...

«თამარი ლოცავს ჯვარითა, ჯარს ამხნევს გულის-უსვობით:
გული მეფისა ზღვა არის, უსამზღვროება წყალობით!..»

თამარი მარტო პოლიტიკურ ძლევით არ იყო დიდებული.
ამ გმირ მხედართ შორის, როგორც «დიდი ორბელი», «ბრძე-
ნი ჭყონდიდი», «მხედართ მთავარი დიდი მხარ-გრძელი ლ გამ-
რეკელი, ლომებრ გულადი»—ბრწყინავს ისეთი მნათობი, გმი-
რი-პოეტი, როგორც «შოთა უკვდავი.» როგორც თამარის
სიტყვა ამხნევებდა და ალომგულებდა მეომარ ჯარს, ისე მისი
ღვთაებრივი სახე და მისი ყოფა-ქცევა ასულიერებდა და ძალას
და სიცოცხლეს აძლევდა პოეტის კალამს. ამისთვისაც ჩვენი
ტოლუმბაში აღტაცებით იგონებს თამარს ამისივე ამალით და
სტლის სავსე ფიალას.

ამ გვარად ტოლუმბაში, თვით ჩვენი პოეტი, იგონებს
უველა იმ წარსულ საუკუნეთა გმირებს, რომელთაც მთელი თა-
ვისი სიცოცხლე მამულს მოახმარეს და მამულს შესწირეს.
დაწვრილებით შინაარსი რომ გადმოგვეცა, საჭირო იქნებოდა
სრულად გადმოწერა თვით პოეტის სიტყვების. გადმოწერა კი
საჭირო არ არის. რომელი ქართველი იქნება, რომ არ გარ-
დაეკითხოს რამოდენიმეჯერ ეს პაწია, მაგრამ მშვენიერი თა-
იგული იუბილიარის ლექსებისა! აქ მეტი არაფერია სათქვამი,
რომ შეიძლებოდეს მოკლედ გადმოცემა. ჩვენს პოეტს—იუბი-
ლიარს არ უყვარს ზოგიერთებსავით. უმნიშვნელო ფრაზები

და გაჭიანურებული ლაპარაკი: მოკლე და მახვილი, მოსწრებული სიტყვა არის ყოველთვის კარგის პოეტის თვისება:

«გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი.»

ჩვენი პოეტი არ გადადის ყამზღვარს გამოუვანილ გმირების აღწერაში. როცა სათნო და მშვიდ თამარზე ლაპარაკობს, პოეტი ადარებს მას სათნოების ემბლემას, მოღუღუნე ტრედს. აქ პოეტის ყოველი სიტყვა ისე ტკბილად და წყნარად ამოჩუსჩუსებს გულიდამ, როგორც მარგალიტსავით წყარო ამოჩუსჩუსებდეს. იქ კი, სადაც პოეტი გვისატავს ჩხუბს, შეტაკებას და მებრძოლ გმირებს—იქ ყოველი მისი სიტყვა მეხია ზეცისა, იქ მისი სიტყვა წყარო ჩუსჩუსი კი არა, კლდიდამ გადმოვარდნილი და უფსკრულში შიმსრბოლი გრიალია. ერთი ამისთანა ადგილი ზეკით არის მოყვანილი, პოეტი გორგასლანს გვისატავს. მრავალნა სხვებიც. აი თუ გინდ პატარა კახი ირაკლი როგორ იხატება ორიოდე სიტყვით, როგორ ცოცხლად წარმოგვიდგება წინ, თითქო ხამდვილად ვუმზერდეთ მტრის შესამუსრავად განმზადებულს:

«წარბ-შეჭმუხვნილი, ხმალ-ხელ მოწვდენით,
ვაი მას მტერსა, სად აღჩნდებოდა!»

აი ცოცხალი ომი და შეტაკება:

«რა ცეცხლი გაჩნდა გაღმა-მხარს, რა გრგვინვა მოდის ბრძოლისა?
მთლად დაღისტანი მოაწვა გასაოხრებლად ყვარლისა!»

მაგრამ ქართველები

«გაჩნდენ... დაჭკივლეს... ხმალ-და-ხმალ, შუა გაუპეს ლეკთ ძალი.»

აი კიდევ მარჯვე შედარებანი და ძლიერი სიტყვები, რომელთაც პოეტი უძღვნის ზაქარიას «მიწის მგელს»:

«ვითარცა ჭექა, მისი დაცემა
მტერთა ზედ იყო ესრედ საზარლად:

სადაც იელვა მახვილმა მისმა,
მუნ მტრის სიტოტხლე განქარდა მსწრაფლად!»

ტოლუმბაშმა ჩამოთვალა ძველი გმირები და უველანი შესაფერ სიტუვებით შეამგო. უველამ დასცალა სავსე ფიალები მათდა მოსახსენებლად;

თამადა კიდევ ავსებს ფიალას და მიმართავს სამშობლო ქალაქანას:

«ჭე მამულო სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული
არ ათრთოლდეს სიხარულის აღტაცებითა აღვსილი?
ვინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დაჭსთხიოს თვისი სისხლი,
არა დაკლას თავი თვისი, შენ დიდებად, ვითა მსხვერპლი!»

მთელი ეს ადგილი სავსეა მშვენიერ სურათებით, ნამდვილ საქართველოს ბუნების დახატულობით და მაღალ პატრიოტულ გრძნობებით. აი თუ გინდ საქართველოს ბუნების ჭეშმარიტად პოეტური სურათი:

«სად მთანი უინვის გვირგვინით არიან ცადმდე ასულნი
და მდინარენი ზახილით ზვირთის ზვირთებზედ მსრბოლელნი,
უფსკრულნი ჩაბნელებულნი, კლდენი თვალ-გადუწვდენელნი,
სად მონადირე სდევს ჯიხვსა ლ მის ქვეშ ვლენან ღრუბელნი!»

მაგრამ აი მაღალ-პატრიოტულ გრძნობით სავსე სიტუვები, რომელნიც უოველმა ქართველმა ზეპირად იცის და რომელნიც მწუხარე გულს აძლევენ შვებას და იმედს. ეს სიტუვები უკვდავია ქართველებისთვის და მარად ემარხებათ მათ გულში:

«სხვა საქართველო სად არის, რომელი კეთილ ქვეყნისა?
ერი—გულადი, ჭურადი, მებრძოლი შავის ბედისა?!
შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ადამანტისა:
იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოუკარე თავის მიწისა!...

«სადღეგრძელოში» საკმაოდ არის სენტენციები, ანუ რო-

გორც პოეტი ეძახის, «მოძღვრობანი», რომლებშიაც იხატება პოეტის გეთილ-შობილური შეხედულობა:

«მიეცით ნიჭსა გზა თვართო, თაყვანის-ცემა ღირსებასა:
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობასა!»

და მრ. სხ.

მხედარნი სმენ აგრეთვე თავიანთ სატრფოთ სადღეგრძელოს, არ ივიწყებენ სიყვარულს,

«რომლის შუქი აღგვამაღლებს, რომლით სული გვინათლდება,
რომლით კაცი მშვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს ემზგავსება!»

არ ივიწყებენ სიყვარულს მით უმეტეს, რომ მალე გათენდება და ისევ ემზადებიან მტრის შებმას, და მეომარი კი, როგორც პოეტი ამბობს,

«გულს სიყვარულით, ხელს ხმალით, რას არა აღასრულებდეს?»

ათავებენ სადღეგრძელობებს. აჭა, თენდება კიდეც... მაგრამ აქ კი უკატრავად, მკითხველო! მე არ შემიძლიან შევცვალო და შევამოკლო ის ადგილი, სადაც ოთველი სიტყვა გამოსჭვირს «ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები.» წაიკითხე შენ თითონ და ვინც უნდა იყო, მკითხველო, თუნდ პოეტიც არ იყო, თუნდ ქვის გულიცა გქონდეს, მაინც მიჭვევ პოეტს ამ მშვენიერ კავკასიურ დილის აღწერაში. წარმოიდგინე უველა ეს ღვთაებრივი სურათები; იგრძენი შენ პოეტის ღრმა ჭუმანიური შეხედულობა კაცის სიცოცხლეზე, რაიცა იხატება, ამ გულიდამ ამონაკვნეს სიტყვებში:

«ამ მშვენიერსა დილასა კაცს რად ჭსურს სისხლი კაცისა?..»

წარმოიდგინე უველა ეს,—და იმედი მაქვს, შენი ტივი გული გათბება, ის იგრძნობს პოეზიის სხვეულ სითბოს და ძალას... მაგრამ რა ბევრს კაგრძელებ! აჭა მშვენიერებით და გრძნობიეთ სავსე თვით ის ადგილი:

«ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეჭღება,
ცას სისარული მოჭვინა და ქვეყანასა შვენება!
აენთნენ ტეტლის ალებრივ შორს განბნეულნი ღრუბელნი;
ცა მშვენიერობს, ნათლდება... მასა შეკნატრით მხილველნი!
ილეკა ბინდი ღამისა, ცაში ვარსკვლავნი ჭქრებიან,
ათასის სმებით ფრინველნი განთიადს მიეგებიან!
მოჭქრის დილისა ნიავიც გულისა მაგრილებელი,
ფშვინვა დაიწყეს ყვავილთა და ბაღში ფოთოლთ შრიალი.
ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული!
დაჩუმდით... ყური მიუგდეთ... არ გესმისთ, ჭგალობს ბულ-
ბული?
ირაკლის თავსაც გამოეხნდა... აჭა მთაც კიდობანისა!..
აი. მეკირალა ზანგიცა და ბურჯნი ერევანისა!...

გათენდა.

ვიშ ამ დილასა, ამ ჭაერს, ბუნების განმაცხოველსა,
გულისა ჭმუნვის გამქარველს, სიცოცხლის დამტკბობელსა!..
ღმერთო ვინ მიჭსწვდეს შენგან ქმნილს, მისს ფერ-უთვალავს
შვენებას?
სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჭბადავ ცხოვრებას!..
ურდოც შეიძრა... სმაურობს... დაჭკრეს ნაღარა ცისკრისა..
განემზადება საომრად რაზმი და რაზმი ჯარისა!
აი თოფიცა გავარდა... აი ჭრბის ცხენი მსედრისა!...
ამ მშვენიერსა დილასა, კაცს რად ჭსურს სისხლი კაცისა?»

ისტორიულ ნაწილს ეკუთვნის აგრეთვე გრძნობიერი და გულის სიღრმიდამ აღმოხვრული ლექსი შეიდეგის სათაურით: «თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში.» პოეტი სდგას ბე-

თანიის ეკლესიაში, თამარის სურათის წინ და «ტრემლ-მორეული ემოსკვეა ფერხთა.» პოეტსა ჰსურს, რომ მარად უმზერდეს თამარის სასეს, რომელიც მოაგონებს საქართველოს ბედნიერ დროს, ჰსურს, რომ ამ მოგონებამ დაავიწყოს მას მის სამშობლოს სულით დაცემა და ერთს წუთს მაინც აგრძნობინოს მის გულს ნეტარება... მოხუცი, «ხნით დამაშვრალი» პოეტი შეკედრის თამარის აჩრდილს, რომ მოჰხედოს მის სატრფოს, მის დროს აყვავებულს, ასლა კი დამაბუნებულ მამულს... ეკედრება, მაგრამ თამარს «თვალნი ცად აქვს მიქცეულნი» და თითქო ველარც კი უცნია დამტირებულის, ხმა-მიღებულ ბედდაკარგულის ივერიის ძე!... პოეტი აკვირდება სურათს და ხედავს, რომ ოდესმე ძლიერის და ბრწყინვალე მეფის სახე ასლა მკრთალად მოჩანს სადღაც დაურეებულს, გზა-შეუკვალს, უდაბურ ტყეში, დარღვეულ ეკლესიის კედელზე... ამ სახით თამარის სურათი პოეტს წარმოუდგენს ახლანდელ საქართველოს სურათს: იგივ მიურეებული, იგივ მკრთალი, იგივ მიტოვებული... ამისთვისაც მოსთქვამს პოეტი:

«ჰე ტრე სოფელო,
დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ?...
დიდება ჩვენი,
ცად სხივ-მიმფენი
ნუ თუ ესლა გვაქვს, ვხედავთ რასაცა?»

პოეტი პოულობს, რომ „დიდება ივერიისა მასთან მარხია ს.მარეს.“ ამისთვის, «ეჭვით აღვსილი», კითხულობს:

«ვა თუ რაც ჩახდეს,
ველარა აღსდგეს,
ველარ აღუკვდეს ახლის შვენებით?»

ამ ეჭვით, ამ უიმედობით და უნუგეშობით მთლად გამსჭვალულია პოეტის გული. ამ ეჭვს და უიმედობას აწმყოსადმი აცსადებს პოეტი ოთვალგან, სადაც კი შემთხვევა ეძლევა. მაგრამ, არა, ძვირფასო პოეტო! დაუკვირდი კარგად შენს საყვარელ სამშობლოს, გარდასულ შენის ბრწყინვალე თვალებით შენს მშვენიერ წალკოტს—და დაინახავ, რომ იმის ვაზი ჯერ კიდევ ნედლია, რომ თან-და-თან უფრო ნედლდება, კვირტები გამოაქვს... მაშ გაისწორე შუბლის ღარები და კვლავ გაუღიმე შენს სატრფო მამულს! გაგიღიმებს საყვარელი პოეტო, ჩვენც, რომელნიც ვსკამთ შენს სადღეგრძელოს შენის იუბილეის დღეს!.. მაშ შეჭსძახე შენგე ეგ შენი განმაცოცხლებელი სიტყვები:

«შენთან დროთ ვერ შესცვალეს მის გული ადამიანისაჲ,
იგივ მსნე, იგივ ძლერალი, მოუკარე თავის მიწისა!...»

სილოვან.

პეტერბურგი, 1882 წ.

საამზითვო.

(ბატონ-ყმობის დროიდგან).

დალონებულა თეკლორე, გულ-ხელი დაუკრეფია,
გამშრალსა, გამწარებულსა, ტრემლი არ უჩანს მჩქეფია,
ჩასტქერის დედა-მიწასა, ბეჩავს სმა ჩაუკმენდია,
ოხრავს და გმინავს ხამუშად, გაშავებია ბედია!...
ბოლოს იფიქრა, გაბედა, გასწია თავის პატრონთან,
შემკრთალმა, ათრთოლებულმა, ყმამ ფეხი შესდგა ბატონთან,
თავი დაუკრა მდაბლად და დაელრიკა მწარედ:
„მთხოვნელ ვარ, ნუ გამიწყრები და ნუ გამაგდებ გარეთ!...
შენი ჭირიმე, ბატონო, შენი შვილების ლხენასა,
ი გოგო რაზე წამართვი, რად მომიშორე კერასა?!..
მაჩუქე ღმერთი გადიდებს, შვილი ალარ მყავს მეტია,
მითომ წყალობა მრავალი ჩემთვისინ გაგიმეტია...
მარტო ვარ მოხუცებული, მეტი არა მყავს მომველი,
დედას ჩამოგავს ცხონებულს,—იმისდა უფრო მოველი!..»
—«პანღური ამას!...» შესძახა ბატონმა გაბრაზებულმა...
«როგორ გაბედა შამოსვლა, ვირმა გათამამებულმა?!.
ჩემ ქალს ვათხოვებ, ხომ იცის,—ვინ წავაყოლო მზითევში?
გაგაგდეთ ეგ აქედგანა, მაგრა წაჭკარით კისერში!..“
ეტნენ თეკლორეს ბიჭები, გამოაბძანეს გარეთა,
წაჭრეს კისერში და უბები შემოამტვრიეს მწარედ!...

დღონებულა თვალთრე. გულ-ხელი დაუკრეფია,
გამშრალსა, გამწარებულსა, ცრემლი არ უჩანს მჩქეფია,
ჩასტქერის დედა-მიწასა, ბეჩავს სმა ჩაუკმენდია,
ოხრავს და გმინავს ხმაუშად, გულ-ჭეშეგებია ბედია!...

თ. რაფ. ერისთავი.

20 დეკემბერს, 1882 წ.

შინაური მიმოხილვა.

(ბ. ნ. მეისნერის პროექტი).

ბევრი ჭსთქვეს და ბევრი ჭსწერეს ჭო და არაც ბ. ნ. მეისნერის პროექტის თაობაზედ და ყოველივე ეს თქმული და დაწერილი რომ საქმეში გავატაროთ, დარჩება შემდეგი დასკვნანი ერთის მხრით მქმობაგეთა და მეორის მხრით, — მეწინააღმდეგეთა.

პირველთა ნაბოლოვარნი დასკვნანი იმაში მდგომარეობენ, რომ: 1) ჩვენი ქვეყანა ფულით დარიბია და $2^1/_2$ მილიონი რომ შემოვიდეს ჩვენს ქვეყანაში სასარგებლოა. 2) ღვინო ხშირად გაუსყიდავი გვრჩება, რადგანაც მუშტარი არ არის. ბ. ნ. მეისნერის ამსანაგობა ორ მილიონ ნასყიდი მოდის ჩვენის ღვინის სასყიდლად, მაშასადამე სასარგებლო იქნებაო. 3) ჩვენს ღვინოს ესლა მარტო ერთი ბაზარი აქვს — ქალაქი თბილისი, ბ. ნ. მეისნერის ამსანაგობა მთელს რუსეთსა ხდის ჩვენის ღვინის ბაზრად ⁄ რადგანაც ბაზრის გადიდებას, მუშტრის გამრავლებას ფასების აწევა მოსდევსო, ჩვენის ღვინის ფასი აიწევსო. და ჩვენი ქვეყანა ღვინის წარმოებიდამ უფრო დიდ გა-

მორჩომას ნასვას, ვიდრე ესლაო. 4) დიდ მუშტარს დიდი გაძღოლა უნდა, დიდ-ძალი ღვინოო; დიდ-ძალ ღვინოს დიდი ვენახები უნდა; მაშასადამე უფრო მეტს ვენახებს გავაშენებთ დიდის ბაზარის და დიდის გამორჩომის იმედითაო. ჩვენნა ამ მხრითაც გამდიდრდებაო. 5) ესლანდელი ჩვენი ღვინო მოგლებულია სავაჭრო ღირსებასა, რადგანაც კარგად ნაკეთები, კარგად დაუენებული არ არისო. ამის გამო ვერც ერთ ნაირის გემოს ღვინოს ვასმევთ მუშტარსა ძუდმივ და ვერც დიდ ხანს შესანახი და არც მუშტარის მიმზიდველიაო. ბ-ნ მეისნერის პროექტი გვპირდება, რომ ოქვენის ღვინოების კეთებას მე შეკუდგებიო, და რაც ღვინისათვის ღირსებაა საჭირო, რომ საკაჭრო საქონლად გასდეს, ყოველ იმ ღირსებას მივანიჭებო. ამისათვის იმოდენა ფულის გადადება შეეძლებაა ბ-ნ მეისნერის ამსანაგობას, რაც საჭიროა და რასაც ცალკე მემამულე, ნამეტნავად ჩვენისთანა ღარიბი, ვერ შესძლებსო. გარდა ამისა ღვინის კეთების მტოდნე კაცებსაც მოიწვევს, მათისა და ფულის შემწეობით ჩვენს ღვინოებს გააკეთებს უფრო უკეთესად და იმათგან ჩვენც ვისწავლით ღვინის კეთებას და ამ მხრითაც ბ-ნ მეისნერის ამსანაგობა ჩვენთვის სასარგებლო იქნებაო.

მეწინააღმდეგეთა აზრი ამ მექომაგეთაგან დასატულ ბედნიერებაზედ ძალიერ ზორს არის. ესენი ამტკიცებენ, რომ: 1) მაგოდენა ფულის შემოსვა ჩვენში, მერე ერთისა და იმავე ინტერესით გაწეობილ საზოგადოების ხელში, იმასა იქმსო, რომ წვრილ ვაჭარს ალარ გააჭაჭანებს ღვინის ვაჭრობის მოედანზედაო. ბ რაოდენიც ქორი წიწილებს ისე შემოიფეთქებსო. რაკი მოტილენი ალარ ეყოლებიან ბ ღვინის მსყიდველად მარტო თვითონ დარჩება ბაზრის მოედანზედ, მაშინ ღვინოში იმ ფასს შემოგვაძლევენ, რაც გუნებაში მოუვა. რადგანაც ფული მარ-

ტო მოგებას ხარბობს და რადგანაც მოგება ვაჭრობისა იმოდენად დიდია, რამოდენადაც სხვათა შორის საგანი ვაჭრობისა იეფად ნასყიდია, ამიტომაც ღვინის ფასს იმოდენად დასწევენ, რამოდენადაც ხარბობა ფულისა გულს მოისუყებს. ყველამ ვიცით, რომ ხარბობას ფულისას სამზღვარი არა აქვსო. 2) ახალის ბაზარის აშენა, ანუ უქეთ ვსთქვათ, ჩვენის ღვინის გატანა და გასაღება რუსეთში ამ ყოფაში, რა ყოფაშიაც დღეს ჩვენა ვართ, კი არ გაგვამდიდრებს, გაგვაღარიბებს იმოდენად, რამოდენადაც ღვინო შინაურ სახმარებლად ჩვენ დაგვაკლდებაო. იმიტომ-რომ ჩვენი ქვეყანა ღვინის სმას ჩვეულია, ეგ ჩვეულება ისე აქვს გამჯდარი სულსა და ხორცში, რომ თითქმის ზირველ საჭიროებად ჩაითვლება. ღვინო რომ რუსეთში გავიდეს ჩვენიდამ, ჩვენს ქვეყანას ღვინო მოაკლდება და იმოდენად დაძვირდება, რომ ღვინის ჩვეულმა ხელი უნდა აიღოს ღვინოზედ. რომ ამისთანა საჭიროებაზედ, როგორც ჩვენში ღვინოა, ჩვენმა ქვეყანამ ხელი აიღოს,—ეგ გამდიდრება კი არ არის, დაკლებაა და დაკლება კიდეც გაღარიბებაა. 3) ბ-ნ მეისნერის ამხანაგობის გამო ვენახები კი არ მოემატება ჩვენს ქვეყანას, არამედ ისიც სულიდამ გამოაცლებაო, რაც დღევანდელ მემამულეებს სულში უჭირავთ. ღვინის ფასების ძლიერ დაწევა მაგ ამხანაგობის ხელში იქნება უტიფოდ, თუ, როგორც ვთქვით, ბურთი და მოედანი ღვინის ვაჭრობისა გაისაგუთრა და შესაძლოა მაგ დაწევამ ღვინის ფასისამ იქამდის მიაღწიოს, რომ ვენახების გაშენება, მოვლა და შემუშავება საზარალოდ გაუხდეს დღევანდელს პატრონს. მაშინ ან უნდა გადახნას, ან ჩალის ფასად დაუთმოს ბ-ნ მეისნერის ამხანაგობას. 4) ორ მილიონ ნახევარი ფული თუ ღვინის გადაგეთებას შეუდგება ჩვენში, ამისთვის ბევრ ხელია საჭირო, სახელდობრ, იმისთა-

ნა ხელი, რომელსაც სასსარი ცხოვრებისა არა აქვს-რა, გარდა თავის მარჯვენისა. მაგისთანა ბოგანა კაცი ჩვენში არ არის. მაგ ფულმა უნდა შეჭმნას მაგისთანანი, თუ უნდა, რომ უქმად და უსარგებლოდ არ დარჩეს. თუ ეს ასე მოხდა, უბედურობა იქნება ქვეყნისათვის.

აი როგორც ხედავს მკითხველი ბ-ნ მეისნერის პროექტის გამო ჩვენმა საზოგადოებამ საერთოდ და მეურნეობისამ ცალკედ რა ნარდის ფიცარზედ ცადიტანა კამათლები. ეს ფიცარი საპოლიტიკო ეკონომიის მეცნიერებაა. ჩვენ დავპირდით მკითხველებს, რომ ამ აზრების კრიტიკას შეგუდგებით მეთქი. მაგრამ ტოტა არ არის, წინ უზარ-მაზარი კედელი დაგვსდა. იმიტომ კი არა, რომ იმ ნარდის ფიცარზედ, რომელზედაც გადატანილია ესლა კამოლები, ჩვენ კამათლის აურას ვერ მოვასერსებთ. არა, ამას როგორც იქნება კიდევ გაგუძღვებოდით. გაჭირება აი რაშია: აქ ისეთი მსარეებია მეცნიერებისა ხელშესებული, რომ მთელი ტრაქტატი საპოლიტიკო ეკონომიისა მოუნდება კაცს, რომ არ დაიბნას ან თავის საკუთარის მსჯელობისათვის გზა გაიკვლიოს. სიმნელე იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ, პირველი, ღონე არა გვაქვს ამ ტრაქტატის დასაწერად და მერმე, თუნდაც შეგვეძლოს, სად დავტიოთ მაგოდენა ტრაქტატი და მესამე,—თუნდაც დატევაც შეიძლებოდეს, რა სიტყვიერებით გამოვსთქვათ. ჩვენდა საბედნიეროდ,—მაგ მეცნიერებისათვის ჩვენი ენა მუნჯია ჯერ-ხანად, არც ტერმინებია დადგენილი და მიღებული საერთოდ, არც თვითონ, ეგრედ წოდებული, ფრაზეოლოგია. ამიტომაც ერთს უმთავრესს სიძნელეს ამ «შინაურის მიმოხილვისას» ეს უკანასკნელი ნაკლი ჩვენის სიტყვიერებისა შეადგენს.

მაშასადამე, დღეს ჩვენის «მიმოხილვის» უმთავრესს გა-

ჭირებას შეადგენს ორი საგანი: ერთი ისა, რომ როგორ ავცდეთ და არ გავებათ საპოლიტიკო ეკონომიის რთულს კანონების გამოკვლევაში, როცა იგი კანონები საჭირონი იქნებიან და მეორე—როგორი სიტყვიერება ვისმაროთ, რომ ჩვენი წერილი ადვილად გასაგებიც იყოს და თვით საგანიც უნაკლულოდ აგვისსნას. თქმა აღარ უნდა, ამ ორსავე შემთხვევაში ბევრი ნაკლი შამოგვერჩა და წინადვე ბოდიშს ვისდით.

ღრმად რომ ჩავკვირდეთ ყოველს თქმულს და დაწერილს ბ-ნ მეისნერის პროექტის თაობაზედ, დავინახავთ, რომ ორისავე მხრის მსჯელობა—მექომაგეთა თუ მეწინააღმდეგეთა—უმთავრესად ერთს საგანს დისტრიალებს, სასელდობრ იმას, თუ—კარგი იქნება, თუ ცუდი ჩვენის ქვეყნისათვის მოვლენა ორ მილიონ ნახევარ ფუღლისა იმ დანიშნულებით, რომელიც უკისრებია მაგ ფუღლისათვის ბ-ნ მეისნერის პროექტსა.

მაშასადამე რომ გულ-დაჯერებით და გულ-მართლად მიუდგეს კაცი ან ერთს აზრს, ან მეორეს, ყველაზედ უწინარეს საჭიროა ვიცოდეთ რა საქმე შეიძლება ვაკისროთ ფუღლს საზოგადოდ საპოლიტიკო ეკონომიის მისედვით და რა საქმე უკისრებია კერძოდ ბ-ნ მეისნერს იმ ორ მილიონ ნახევრისათვის, რომელიც, როგორც უსვეულებს, ისე ზორბად მიგვაჩნია, რომ ზოგს სიხარულით ფესზედ არ აუენებს, ანა ესლა გაემდიდრებითო და ზოგს შიშით აკანკალებს, ანა ესლა დაგიდუპებითო.

ამისათვის ჩვენ წინ წავიმძღვარებთ იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც ყოველივე ის ღირსება აქვს, რაც აქსიომას. ყოველი კაცი, ეკონომიურის თვალით რომ გაგშინჯოთ, ამდენია და გამტანი საქონლისა. მეცნიერება საქონლის (товаръ) სასელს იმისთანა ნაწილს შრომის ნაყოფისას სდებს, რომელიც

ნამეტურია, ანუ მოჭარბებულია მასზედ, რაც ბიჩდაბირ სახ-
მარად პატრონისათვის საჭირო. მაგალითებრ, თუ ჩემს ბირ-
დაბირ სახმარად თორმეტი კოდი ბურია საჭირო და თუ მე
სუთმეტი მაქვს, მარტო სამს ნამეტურს კოდს საქონელი ჭამენ.
ამისდა მიხედვით რომ გადმოვთარგმნოთ ზემოდ მოყვანილი
წინადადება, გამოვა რომ ურთი-ერთობითი ეკონომიური და-
მოკიდებულება კაცთა შორის წარმოსდგება მაშინ, როცა კაცთა
მოჭარბებული აქვთ ნაყოფი თავიანთის შრომისა და აკლიათ
მოჭარბებული ნაყოფი სხვის შრომისა. როცა ესენი ერთმან-
ერთს შეხვდებიან ყოველი მათგანი ერთი მეორის წინაშე ამ-
ლებიც არის და გამცემიც ერთსა და იმავე დროს, რადგანაც
ერთი იღებს მას, რასაც მეორე გასცემს და გასცემს მას, რა-
საც მეორე იღებს. მაგალითებრ, მე ღვინო მაქვს მეტი და მაკ-
ლია ბური, თქვენ ბური გაქვთ მეტი და გაკლიათ ღვინო. შეხ-
ვდით ერთმანერთს საალებ-მიცემოდ, რა გარ მე თქვენ წინა-
შე და რა ხართ თქვენ ჩემს წინაშე? მე ვარ თქვენს წინაშე გამ-
ცემი ღვინისა და იმავე დროს ამღები ბურისა, თქვენ ხართ
ჩემს წინაშე გამცემი ბურისა და იმავე დროს ამღები ღვინისა;
ესე, რომ ერთმანერთის წინაშე ორნივ ერთ და იმავე დროს
ამღებნიცა ვართ და გამცემნიცა. ამ სასით ყოველი კაცი ეკო-
ნომიურის თვალით ერთსა და იმავე დროს ამღებიც არის და
გამცემიც, როცა სხვა კაცს შეხვდება საეკონომიო მოედანზედ.
ეს არის ერთად-ერთი მხოლოობითი ეკონომიური დამოკიდე-
ბულება კაცთა შორის და კაცობრიობამ ჯერ ამის გარდა სხვა
ეკონომიური დამოკიდებულება არ იცის.

ეს მოქმედება, ანუ უკეთ ვსთქვათ, საქმიანობა, რომელიც
შეახვედრებს ორმე ერთმანერთს საქონლის პატრონებს მარ-
ტივი გაცვლა-გამოცვლაა საქონლისა საქონელზედ. ამ მოქმე-

ლებას ჩვენს ენაზედ, ჩვენის თვალით, ზედ-გამოწერილი სიტყვა ჭვეანი: ალებ-მიცემობა (обмѣнъ). აქ პირდაპირ საქონელი საქონელზედ იცვლება, პირდაპირ, უარარაოდ ხელიდამ ხელში გადადის.

ხოლო ეს მარტივი სიტყვა ალე-მიცემობისა ოთვალთვის არ არის საჯერო ადამიანისათვის, ზოგჯერ დიდს სანს და დიდს ჯაფას ითხოულობს, რომ მოსერსდეს ნამეტნავად მაშინ, როცა ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრება უფრო რთულად მოეწყობა ხოლმე პროგრესის ზედ-მოქმედების გამო. აქ საჭიროა ორი პირობა: ერთი რომ ჩემი საქონელი სხვას უჭირდეს და მეორე-რომ სწორედ იმ სხვის საქონელი მე მიჭირდეს. ალება (спросъ) და მიცემა (предложеніе) ერთს დასახელებულ საქონელზეა მიქცეული, რომელიც თავისის თვისებით და სასით წინადვე განსაზღვრულია. როცა მე პური მიჭირს და ღვინო მეტი მაქვს, აქ მარტო პური გაიცვლება ღვინოზედ და ღვინო პურზედ და სხვა არარაზედ. აქ საალებ-მისაცემო საქონელი წინადვე დასახელებულია და უსათუოდ ერთისა და მეორის მხრისათვისაც იმ სასელის, თვისების და სხვის საქონელი უნდა იყოს და არა სხვა, თორემ ალებ-მიცემობა არ მოხდება.

ეს მიზეზია, რომელიც, მაგალითებრ, ღვინის გამცემს ან პურის ამღებს აიძულებს უსათუოდ ისეთი კაცი იპოვოს, რომელიც პურის გამცემია და ღვინის ამღები, ძალიან ამნელებს საქმეს, აგვიანებს და ამუერსებს საქონლის სალხში მორიგებას, მიმოსვლას, ხელიდამ ხელში გადასვლას.

ესეთი ალებ-მიცემობა, ესეთი პირდაპირი ცვლა ერთის საქონლისა მეორეზედ, ეს უსერხო, და მაგვიანებელი მოქმედება თავისის საქონლის გაცემისა და სხვის ალებისა იმ დროს-

დე სუფევდა ქრისტიანობაზედ, საერთოდ, ვიდრე კანონმბრიობამ არ მოიგონა ერთი განსაკუთრებითი საშუალება. ეს საშუალება იმისთანა რამ არის, რომ ოღონდ ჩემის საქონლის ამღები კი ვიპოვო და იმას აღარ ვსრუნავ ექნება თუ არა ის საქონელი, რომელიც სასესხოდ მე მიჭირს პირდაპირ მოსასმარად. რაკი ამისთანა საშუალება იპოვეს, მას შემდეგ ალებ-მიცემობის *) მოსახდენად საჭიროა მხოლოდ ორში ერთი იმ პირობათაგანი, რომელნიც მარტივს ალებ-მიცემობაში ორნი ერთად და ერთ დროს საჭირონი იყვნენ. იმიტომ-რომ ამ საშუალობის შემწეობით ალება ჩემთვის საჭირო საქონლისა მაშინაც შეიძლების, როცა ჩემის საქონლის გაცემა სხვისთვის ერთისა და იმავე დროს და პირდაპირ საჭირო არ არის. აგრეთვე გაცემაც ჩემის საქონლისა მაშინ შეიძლების, როცა ალება სხვის საქონლისა არ არის ჩემთვის საჭირო იმავე დროს და პირდაპირვე. მაგალითებრ, რაკი ის საშუალება ხელთ არ არის, მაშინ, როცა ალება მინდა, ვსთქვათ, პურისა ჩემდა სასმარად, მარტო იმას ვეძებ, ვინც პურის გამცემია და როცა ვსთქვათ ღვინის გაცემა მინდა, მაშინ იმას ვეძებ, ვინც ღვინის ამღებია მხოლოდ. მარტივ ალებ-მიცემობაში კი პურის გამცემს უსათუოდ ჩემის ღვინის საჭიროებაც უნდა ჰქონდეს და მე, ღვინის გამცემს, პურისაც ერთისა და იმავე დროს.

ამგვარად, ამისთანა საშუალობის შემწეობით ალებ-მიცემობა გადვილებული იქმნება, საქონელი უფრო სწრაფად გადაგადმოვა, საქონლის მიმოსვლა თვესს აიჩქარებს.

---

*) ნუ დავივიწყებთ, რომ რა სახითაც უნდა იწარმოვოს ალებ-მიცემობამ, მარტივისა თუ რთულის სახით, მაინც და მაინც ბოლო ისა აქვს, რომ საქონელი იმას უნდა მიუტანოს, ვისთვისაც იგი პირდაპირ საჭმარად საჭიროა.

იმ საშუალობას, რომელიც ამისთანა აღებ-მ ცემობას შესაძლოდა სდის უსათუოდ ორი თვისება უნდა ჰქონდეს: პირველი, საქონლის ღირებულობის (цѣнность) ცხადი გამომსატველი იყოს და მით შესაძლო ჰყოს შეტოლება ერთის საქონლის ღირებულობისა მეორე საქონლის ღირებულებასთან. იმიტომ რომ აღებ-მიცემობაში უსათუოდ სხვა-და-სხვა სახის, თვითების და თვისების საქონელი იგუფოისხმება, და რადგანაც აღებ-მიცემობა შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა სწორი სწორედ აიღება და მიიცემა, და რადგანაც სხვა-და-სხვა გვარ საქონელთა შორის სისწორე მარტო ღირებულობის რაოდენობაზეა დამოკიდებული, მაშასადამე შეტოლება ამ გზით საქონლისა საქონელთან უსათუოდ საჭიროა აღებ-მიცემობისათვის. მეორე—ძალი ჰქონდეს ერთ-ერთის საქონლის აღებისა კი არა. არამედ ყოველის გვარის საქონლისა, ერთის სიტყვით, ის ძალი ჰქონდეს, რომელსაც მეცნიერებაში ეძახიან საყოველთაო ძალს სყიდვისას (всеобщая покупательная сила).

მაგისთანა საშუალება—ფული.

აი ეს არის პირდაპირი და არსებითი დანიშნულება ფულისა. ამას გარეითად არც მოედანი აქვს მოქმედებისა და არც ფასი. არც იჭმევა, არც ისმევა, არც იცმევა, თავის-თავად არასფერში სახმარისი არ არის. მაშასადამე, ფული საყოველთაო ეკონომიაში ყოველად უვარგისი საგანია ყოველისფერში, გარდა იმისა, რომ საშუალებაა აღებ-მიცემობისა, რომლის შემწეობითაც დრო და ჯაფა უფრო ნაკლებ უნდება აღებ-მიცემობის საქმეს.

ჩვენ ვიცით ესლა, რომ აღებ-მიცემობის სასე ორ-გვარია. ერთი მარტივი, როცა ერთ სახის საქონელი სხვა სახის საქონელზედ იცვლება პირდაპირ და უშუამავლოდ და მეორე

რთული, რომ საადგილ-მამულო საქონელთ შორის სხვა საგანი, ესე იგი, თუნდა მოქმედობს, ბირველის სახე ასეა: ხაქონელი=საქონელი და მეორისა: საქონელი=თუნდა=საქონელი. მაგალითებრ ვსთქვათ, რომ ორი თუნგი ღვინო ერთ კოდს ბურზედ იცვლება მარტივ ადგილ-მიცემობაში. ეს ამ სასით გამოითქმის: ორი თუნგი ღვინო=ერთი კოდი ბური. ვსთქვათ ორი თუნგი ღვინო ორი მანათია. რაკი ორი თუნგი ღვინო ორი მანათიან, მაშასადამე ერთი კოდი ბური, რომელიც ორ თუნგ ღვინოზედ იცვლება, ორი მანათი უნდა იყოს. ეს ამბავი რთულს ადგილ-მიცემობაში ამ სასით გამოითქმის: ორი თუნგი ღვინო=2 მანათი თუნდა=ერთი კოდი ბური. ბირველში ღვინოს გავცემ რომ ბირდაბირ ბურს ავიღო, მეორეში კი ღვინოს გავცემ რომ თუნდა ავიღო და თუნდს ისევ გავცემ რომ ბური ავიღო. ეს უკანასკნელი მოქმედება გასუიდვა სუიდვისათვის. ჩვენ ვსედავთ, რომ ერთისა და მეორის ბოლოს ერთი და იგივეა, ღვინისა ბურზედ და ბურისა ღვინოზედ, ესე იგი, საქონლისა საქონელზედ ცვლა და სხვა არა-რა.

რომელ ადგილ-მიცემობა ერთისა თუ მეორის სასით უტყუარად მოქმედობს, ამ ადგილიც და გამცემიც ერთნაირად მოგებაში არიან. ადგილ-მიცემობაში ამ ადგილიც და გამცემიც ჯასცემს ხოლმე მარტო იმას, რაც თვითეულისათვის ნამეტურია, მაშასადამე უსარგებლოა და უსაჭიროა, მის სამაგიეროდ იღებენ მას, რაც თვითეულის მათგანისათვის საჭიროა და მაშასადამე სასარგებლო. ცხადია, რომ ადამიანისათვის უსარგებლოს გაცემა და მის სამაგიეროდ სასარგებლოს შეძენა—საასარგებლო ანუ უკეთ ვსთქვათ, მოგება უნდა იყოს.

ამ სახით თუნდა ეკონომიკებრივ იმისთანა საგანია, რომელის საშუალობითაც ეთრო ადვილად და ხერხიანად საქონელი

საქონელზედ იცვლება, რომლის შემწეობითაც საქონლის პატრონები ერთმანერთში ს

ღვინის შემწეობით, ესე იგი, ფული ფულზედ იცვლება. აქ აღებ-მიცემობა არ არის, იმიტომ-რომ აღებ-მიცემობაში გასაცვლელად იგულისხმება ერთ-გვარი და ერთ-სასე საგანი კი არა, როგორც აქ ფული ფულზედ, არამედ სხვა-და-სხვა გვარი, სხვა-და-სხვა სასე საგანი მარტო ღირებულობის რაოდენობით შეტოლებული. მაგალითებრ, ორი ჩაფი ღვინო და ერთი კოდი ბერი. მაშ რა არის, თუ არ აღებ-მიცემობა? ვაჭრობაა, რომელიც ბუნებითად ერთ-გვარი სასეა ფულის გასესხებისა, იმიტომ, რომ ფულით ფულის შოვნა სესხებაა. აქ შემოსვევაში, როგორც სესხებაში, ფული ისე არ გაიცემა, რომ სარგებლით უკუვ-არმოიქცეს. მაშასადამე აქ ფული გადის, რომ მეტი ფული შემოვიდეს. ბ-ნ მეისნერის პროექტი გვაბირდება, რომ ოთველი მანათი ღვინის სეიდვით მანათსა ექვს შაურს და ოთხ კაპეიკს შემოუტანს აქციონერებსაო. აი მაშასადამე როგორი სასე ექნება ბ-ნ მეისნერის ამხანაგობის მოქმედებასა: ფული=ღვინო=ფული+34%. აქ ფული ეძლევა ღვინის მგეთებელს. იმისათვის, რომ ღვინის მსმელის კისრიდამ ამოიღოს იგივე ფული+34%. ამ სახით აქ ღვინო თითქო ვექსილია ღვინის მსმელისაგან ჩამორთმეული სასარგებლოდ ფულის პატრონისა. აქ ფული საშუალობა აღარ არის აღებ-მიცემობისა, თავის ეკონომიურს მნიშვნელობას ჭკარგავს, აქ თვითონ ფული აღებ-მიცემობის საგნად ხდება.

თუ ბ-ნის მეისნერის ამხანაგობა ამ გვარს ღვინის ვაჭრობას ჩვენს ქვეყანაშიკე მოასდენს, მაშინ ის იქნება, რომ ჩვენი ქვეყანა სესხულობს ფულს ბ-ნ მეისნერისაგან მანათს ექვს შაურად ლ ოთხ კაპეიკად. ამ სიდიდე სარგებელი იმოდენა ფულზედ როგორც ორ მილიონ ნახევარია, ფულს კი არ მოზიდავს ჩვენს ქვეყანაში, გაზიდავს, იმიტომ რომ უოველი შემო-

სული მანათი გაიტანს მანათსა ექვს შაურს და რვა კაპეიკსა. გვეტყვიან, რომ მაგას მარტო ღვინის მსმელი გადისდისო, ღვინ ს მკეთებელი ხომ თავისას მიიღებსო. ნუ დავიიწყებთ, რომ ჩვენი ქვეყანა თუმცა ღვინის მკეთებელი ქვეყანაა, მაგრამ მასთანავე ღვინის მსმელიც არის. თუ როგორც ღვინის მკეთებელს ფული შემოუვა, როგორც ღვინის მსმელს ის ფული ხელიდამე გამოეცლება ზედ-დამატებით 34%. მაშასადამე, ერთს ნაწილს ჩვენის ქვეყნისას ფული ეძლევა და მეორე ნაწილს ერთმეორე ზედ-მატებით 34%. თუ ბაზარი ამ გვარის ფულის გაღებისა და მიცებისა ჩვენშიაა, მაშინ იმოდენა ვნება არ არის, იმიტომ-რომ ფული აქვე დატრიალდება და თუმცა ერთის ხელიდამ მეორეში გადავა მოგებით, მაინც აქაური ბაზარი აღებ-მიცემობისა ფულის დაკლებას არ იგრძნობს. სულ სხვაა, როცა ჯიბე, ფულის მომტანი და გამტანი, ჩვენის ქვეყნის გარედ არის. მაშინ ფული ჩვენისავე ღვინის წყალობით უსათუოდ გაიზიდება, ჩვენს ბაზარს დაეკლდება, ჩვენში ფული დატოტავდება. საზოგადო კანონია, რომ რამოდენადაც საგანი რამე ბევრია, იმოდენად მისი ფასი ძირს დადის და რამოდენადაც ცოტაა, მისი ფასი მატულობს, თუ სხვა გარემოებანი ერთობ ერთსა და იმავე წერტილზედ არიან. ფულიც ამ უოფაშია და ამ კანონს ექვემდებარება, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ფულის ფასის აწევ-დაწევა საგუთრივ საქონლის ფასის აწევ-დაწევაა. მაშასადამე, როცა ჩვენში ზემონაჩვენებ გზით ფული დატოტავდება, ესე იგი, გამეორდება, საქონლის ფასი დაეცემა საერთოდ და ღვინისაც ცალკე. ეს კიდევ არაფერია, როგორც ბოლოს ვნახავთ. ამით მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ თუ ბ-ნ მეასნარის მექონაგეთ ჩვენში ფულის გამრავლების იმედი აქვთ, ტყუილი იმედია და თუ ფულის მეტ-

ნაკლებობას დიდს მნიშვნელობას აძლევენ საერთო ეკონომიაში, გუმტკიცებთ, რომ ამ შემთხვევაში ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა თულს კი არ გაგვიმრავლებს, არამედ რაცა გვაქვს, იმასაც გაზიდავს.

აი ამ მხრით ჩვენ საბუთი გვაქვს სრულებით გავამტკიცოთ. ბ-ნ მეისნერის მეწინააღმდეგენი, რომელნიც ამბობდნენ, რომ ისევ აქაური ვაჭრები გვირჩევნიან ბ-ნ მეისნერის ამხანაგობასთან.

მაგრამ გვეტყვიან, ბ-ნი მეისნერი თავის თულის სარგებელს ჩვენს ქვეყანას არ გადაასდევინებსო, რადგანაც ღვინოს აქ იყიდის და რუსეთში გაჰყიდისო, ესე იგი, თულს შემოიტანს და არ გაიტანს კიო. ეგერ ეგ არეინ იტის. თუ ბ-ნ მეისნერის ამბანაგობა თავის თულს აქაც გამოაჩენინებს 34 სარგებელს, არა გვგონია ახლოზე შორი მანძილი ირჩიოს. მაგრამ გსთქვათ ეგრეც მოხდეს. ახლა ვნახოთ ამით რა გამოვა ჩვენის ქვეყნისათვის. ის გამოვა, რომ ორ მიდიონ ნახევარი თული შემოვა და აქ დარჩება, სხვა ხომ არაფერი, გარდა იმისა, რომ მის სამაგიეროდ ჩვენის ქვეყნიდამ ღვინო გავა. ეხლა გიკითხოთ, რას მოახდენს ეს სასწაული? აქ დარჩენილი თულიდან მოგვიმატებს იმ დაკლების სამაგიეროდ რომ ღვინოს გაიტანს?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ერთად-ერთი საგანი, თავი და ბოლო ეკონომიურ მიქცევ-მოქცევისა კატთა შორის ის არის, რომ მოჭარბებული ნაწოთი ჩემის ნაწარმოებისა გავცე ან იმითი შეგიძინო ის ნაწარმოები სხვისა, რაც მე პირდაპირ სახმარად მაკლია. ოთველი საქონელი, რაც ადენს ხელშიაც გადავ-გადმოგიდეს, მაინც ბოლოს იქ მივა, კისაც პირდაპირ სახმარად ეჭირება. დანიშნულება საქონლისა და საქონლის ქცევისა მარ-

ტო ეს არის და სხვა არა-რა. მაშასადამე საქონელთა შუა ფუ-ლი იტრიალებს, თუ არ იტრიალებს, მაინც ერთის ნამეტური მეორეს ხელში გადავა და თვითეეული მათგანი ამით შეეგ-სებს მას, რაც აკლია პირდაპირ საჭმარად. ვსთქვათ მე ღვინო მეტი მაქვს და პური არა და გავდივარ ბაზარში, რომ ღვი-ნო გავცვალ და პური ვიშოვნო. ვსთქვათ, რომ ორი თუნგი ღვი-ნო უდრის ღირებულობით *) ერთს კოდს პურს და მაშინ, თუ ეს ღირებულება არ შეიშლება, ორის თუნგის ღვინის ფასი ერთი აბაზი იქნება, თუ ათასი თუმანი ხომ ერთის კოდის პუ-რის ფასიც იგივე ერთი აბაზი, თუ ათასი თუმანი უნდა იყოს, მაშასადამე, როცა საქონელთა შორის ღირებულება იგივეა, მაშინ ფული მათ შუა ბევრი აშუამავლებს, თუ ცოტა, სულ ერთია.

აქედან გამოდის ეს კანონი მეცნიერებისა, რომ: როცა ღირებულობის რაოდენობა საქონელთა შორის უცვლელია და ფასის რაოდენობა კი სან მატულობს, სან კლებულობს, ამით არც არავინ აგებს არც არავინ იგებს. ამას ცხადად დავინა-ხავთ შემდეგს სასწორზედ: ორი თუნგი ღვინო=X ფული= ერთი კოდი პური. აქ მაგ X მაგიერ გინდა ასი დასვით, გინ-და ათასი, ღვინოსა და პურის შუა სასწორი არ მოიშლება.

---

*) ღირებულობა (цѣнность) და ფასი (цѣна) ერთი და იგივე არ არის. ღირებულება არის ის რაოდენობა სხვა-და-სხვა გვარ საქო-ნელთა ერთმანერთის წინაშე, რომელიც შესაძლოთა ხდის საქონლების ერთმანერთზედ ცვლასა. მაგალითებრ, ვსთქვათ ორი თუნგი ღვინო ერთს კოდს პურზედ იცვლება. ეს რაოდენობა (ღვინისა ორი თუნგი და პურისა ერთი კოდი), რომელიც შესაძლოთა ხდის ღვინის გაცვლას პურზედ და პურისას ღვინოზედ მათი ღირებულნბაა ერთმანერთის წინაშე. ფასი კი იგივ ღირებულებაა საქონლისა მხოლოდ ფულის რაოდენობით გამო-ქმული.

სულ სხვა იქნება, რასაკვირველია, თუ რომ ფულის ძოგ-ლენამ შეშლა ღირებულება საქონელთა შორის, მაგალითებრ, ვსთქვათ მარტო ღვინის ფასი ასწია და ბურისა კი ისევ ის დაარჩინა. ჩვენ ვამბობთ, რომ ფულს, როგორც საშუალობას აღებ-მიცემობისას, ამის მოსდენა არ შეუძლია. შორს რომ არ გავაბათ ლაპარაკი, საკმაოა ვსთქვათ, რომ თუ რომელსამე ქვეყანაში სიმრავლე და საჭიროება ღვინისა და ბურისა ერთსა და იმავე დონეზედ დგას, ესე იგი, უცვალელია და თუ ამასთან ორის თუნგის ღვინის მოსავალი ერთს შეათანა მუშის ღონესა და დროს ინდომებს და ამოდენასვე ღონესა და დროს ერთის კოდის ბურის მოყვანა, მაშინ მათის ღირებულობის შეშლა არათერს არ ძალუძს: ასწევთ, თუ დასწევთ ერთს, აიწევა და დაიწევა მეორეც, ერთისა და იმავე ზომით:

ამიტომაც ძეცნიერებაში დადგენილია კანონი, რომ თუ საქონლის რიცხვი იგივეა, მაშინ რაც ქვეყანაში ფული ტრიალებს ერთი-ორად რომ იქცეს, საქონლის ფასებიც ერთი-ორად აიწევს მხოლოდ და რასაც მწარმოებელნი ამით მოიგებენ გასასყიდში, იმოდენასვე წააგებენ სასყიდში. ეგეკვ მოსდება, რომ ფულმა ამ შემთხვევაში ერთი-ორად იკლოს. მაშინ ფასები ერთი ორად დაეცემა და მწარმოებელნი რამოდენასაც წააგებენ გასასყიდში, იმოდენას მოიგებენ სასყიდში. არც ერთს შემთხვევაში სასწორი გაცემისა და აღებისა არ შეიშლება.

მაშასადამე თუ ორ მილიონ-ნახევარი ბ-ნ მეისნერის ამ-ხანაგობისა შარტო იმისთვის ეხარბებათ მის მექონეთა, რომ ჩვენში ფული გამრავლდებაო, ცხადია ამით ჩვენ არა მოგვმატება-რა, თუ საქონელთა რიცხვი ჩვენში იგივე იქნება, რაც არის. დაკლებით კი დაგვაკლდება, რადგანაც ღვინოს გაიტანს, რომელიც ჩვენთვის თითქმის ბურისაებრ დიდს საჭი-

რობას შეადგენს. ღვინის გატანით ეგ ჩვეული საქმიანობა ისეთის სავსებით ადარ დაკმაყოფილდება, როგორც დღეს. კმაყოფილების დაკლება ცხადი გაღარიბებაა.

რომ მარტო ფულის გამრავლება არაფერია, რომ საქონელი არა მრავლდება, ამისი ცხადი მაგალითი ის ოთხი მილიონი ფულია, რომელიც თბილისისა და ქუთაისის გუბერნიამ მიიღო უმების განთავისუფლების გამო, მერე ისე მიიღო, რომ მის სამაგიეროდ ჩვენის ქვეყნიდამ არა გასულა-რა. რა დაეხმარა ჩვენს ქვეყანას ამოდენმა ფულმა? მაგოდენად ფულის გამრავლებამ განა გაგვამდიდრა? თუ მაგ მუქთმა ფულმა არა ჭქმნა-რა, მაშ რაღას უნდა მოველოდეთ იმ ფულისაგან, რომელიც მუქთად კი არ გვეძლევა, არამედ იმისთვის მოდის, რომ თვითონ აქ დარჩეს და ჩვენი სიმდიდრე — ღვინო გაიტანოს?

ამ სასით ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა იმ 34% ჩვენის ქვეყნის კისრიდამ ამოიღებს, თუ რუსეთისიდამ ორ გზიბეგ ჩვენ დაკრჩებით პირში ჩალა გამოკლებული. პირველ შემთხვევაში ჩვენიდამ ფულს გაზიდავს და მეორე შემთხვევაში ღვინოს. პირველ შემთხვევაში ფულით გაღარიბდებით, მეორეში ღვინითა. რაკი ფულის მეტ-ნაკლებობაზედ ამყარებენ ქვეყნის კეთილ-დღეობას ბ-ნ მეისნერის მექონაგენი, მაშინ ცხადია, რომ ორგანვე დანაკლისი ჩვენი იქნება და გამორჩობა სხვისი.

ბეეტუვიან: ტუუიდი შიშია ვითომც ღვინით ამ შემთხვევაში გაღარიბდებითო. ამის საბუთად ბ-ნ მეისნერის ქონაგთა ის მოჰყავთ, რომ რაკი ჩვენი ღვინო ბ-ნ მეისნერის წყალობით ბევრი გასაღდებაო ფულზედ, მაშინ თვითონ ღვინოსაც ბევრს მოვიყვანთო. თუ ეს ჩვენს ქვეყანას 30 მილიონი

თუნგი მოსდის, მაშინ იმოდენად მეტს მოვიუვანთო, რამოდენადაც გასაღების იმედი გვექნებაო. ნუ დავიიწყებთ, რომ ბ-ნ მეისნერის განზრახულს ვაჭრობაში საქონელი საქონელზედ კი არ იცვლება ფულის შემწეობით, არამედ საქონელი ფულზედ. აი ამ საგანზედ რას ამბობს ერთი დიდად გამოჩენილი მეცნიერი: «რომელიმე ქვეყნის მთელი გამრჯელობა, მთელი მეცადინეობა, მთელი ქონება მიიქცევა ხოლმე რომელიმე წარმოების გასაძლიერებლად იმ იმედის გამო კი არა, რომ ბევრს ფარატინა ქაღალდს მივიღებო, არამედ იმ იმედისა გამო, რომ თავის ნაწარმოების საშუალობით მიიღებს ბევრს სხვა-და-სხვა საჭირო-საქონელს საზოგადოდ. სიმრავლე ფარატინა ქაღალდისა თუ ვისმე სიმდიდრე ჰგონია, რატომ იმას კი არა ხედავენ, რომ მთელის იმ სიმრავლით ვერა საგანს ვერ ყიდულობენ იმაზედ მეტს, რამოდენასაც წინად ყიდულობდნენ.»

მაშასადამე ტყუილი იმედია, რომ სიხარბე ბევრის ფარატინის ქონვისა, რომელსაც ბ-ნ მეისნერის მექონაგენი ქვეყნის ბედნიერებად სასვენ, შეიქმნას მიზეზად ღვინის წარმოების გაძლიერებისა ჩვენში.

ვსთქვათ გავბრიუვდით კიდეც და ფარატინა ქაღალდის შეძენისათვის გავაძლიერეთ ღვინის წარმოება. როგორ უნდა მოხდეს ეს გაძლიერება? ისეო, ამბობენ ბ-ნ მეისნერის ქონაგენი—რომ ჩვენი ქვეყანა სიკრეტეს ვენახებისას გაუმატებსო. მაშასადამე ღვინის წარმოებას შრომა უნდა დაემატოს და შრომასთან მიწაც. საიდან? ერთისა და იმავე კაცმიდან, საიდანაც ეგ შრომა და ეგ მიწა დღეს განწილულია და მორიგებული სხვა-და-სხვა გვარ წარმოების შორის, რომელთ საერთო მოქმედებით ჩვენს ქვეყანას თავისი საჭირო მოჰყავს. მაშასადამე შრომა და მიწა სხვა წარმოებას უნდა დააკლდეს, რომ ღვინის

წარმოებას დაემატოს. აქ სხვა წარმოება უნდა შემტირდეს, რომ ღვინისა გადიდდეს.

მაგალითებრ, ვსთქვათ, ჩვენი ქვეყანა მარტო ორგვარის წარმოებით თავის სარჩოსა შოობს და იმით ჭსცხოვრებს. ვსთქვათ, ეგ ორი გვარი წარმოება ერთი ღვინისაა და მეორე პურისა. ვსთქვათ, ამისათვის ათის დღის მიწაა და ოცი მწარმოებელი კაცი. ვსთქვათ, ნახევარი რიცხვი მწარმოებელთა და ნახევარი რიცხვი მიწისა ღვინოს უნდება და დანარჩენი ნახევარი პურსა. ვსთქვათ, რომ თვითო მწარმოებელს შინ სახმარისად წელიწადში ოცი თუნგი ღვინო უნდება და ათი კოდი პური და სხვა არავითარი საჭიროება არა აქვს. მაშასადამე, ჩვენმა ქვეყანამ რომ უღვინობა და უპურობა არ იგრძნოს, ღვინის მწარმოებელთა ოთხასი თუნგი ღვინო უნდა მოიყვანონ და პურისამ ორასი კოდი. მაშინ ჩვენი ქონება ამ სახეს მიიღებს.

ქონება=400 თუნგი ღვინო+200 კოდი პური.

ამ სახით ათს ღვინის მწარმოებელს 200 თუნგი ღვინო მეტი ექნება ასის კოდის პურის საშოვრად და პურისას— ასი კოდი პური 200 თუნგის ღვინის საშოვრადა. რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ ყოველი საგანი წარმოებისა სარჩოა და მოჭარბებული სარჩო საქონელია, ამიტომაც ჩვენის ქვეყნის საქონლის სახე ასე გამოიხატება:

საქონელი=200 თუნგი ღვინო+100 კოდი პური.

აი ეს 200 თუნგი ღვინო ამ შემთხვევაში სულ მთლად გაიცემა რომ 100 კოდი პური აიღოს და 100 კოდი პური სულ მთლად გაიცემა, რომ 200 თუნგი ღვინო აიღოს. ეს აღებ-მიმცემლობა რაც მეტი პურია ბაზარში სულ მთლად ღვინის პატრონს მოუტანს, იმიტომ რომ სულ მთლად იმას

უჭირს და რაც მეტი ღვინოა სულ ბურის პატრონსა იმავ მიზეზით.

აშკარაა თუ ვითარება ეკონომიური ასე დარჩება, არა ვითარი მიზეზი არ იქნება, რომ ღვინის მწარმოებელთა 400 თუნგზე მეტი ღვინო მოიყვანონ, ან ბურისამ — 200 კოდზედ მეტი.

ისიც აშკარაა, რომ თუ მაგალითად აღებულნი გარემოებანი შეუცვლელად დარჩებიან, მაინც მარტო ორასი თუნგი ღვინო გაიცემა ასს კოდს ბურზედ და ასი კოდი ბური ორას თუნგს ღვინოზედ, ეს აქ თუ აღებ-მიცემობის შუა-მავლად ფული საჭიროა, იმოდენად საჭიროა, რამოდენადაც აღებ-მიცემობა ბურისა ღვინოზედ და ღვინისა ბურზედ დაიტევს. ამიტომაც ამბობს ერთი გამოჩენილი მეცნიერი, რომ «ფასი იმ საქონელთა, რასაც რომელსამე ქვეყანაში ყოველ წელიგ ჭეიდიან და ყიდულობენ ის ჯამია ფულისა რაც საჭიროა საქონლის ქცევისა და მორიგებისათვის ბირდაბირ მსმარებელთა შორის და მაგაზედ მეტს ფულსა ის ქვეყანა საქმეს ვერარ აუჩენსო, და ვერარაში გამოიყენებსო.»

მაშასადამე თუ ჩვენის ქვეყნის ეკონომიური გარემოებანი ისევ ასე დარჩებიან, როგორც დღეს არიან ორ მილიონ ნახევრის ფულის გარეგა ისიც ქაღალდის ფულისა, არასფერში გამოსაყენი არ იქნება და რაც არაფერში გამოსაყენია, ის არ აიძულებს არავის საზოგადოდ და ჩვენს ქვეყანას საგუთრივ მეტი ღვინო მოიყვანოს.

მაგრამ ვსთქვათ ბ-ნ მეისნერის მექმაგეთაებრ, რომ ფარატინა ქაღალდმა წაგვიტუეა და აქაო და ბევრი ფარატინა ქაღალდი დატრიალდება სულშიო, ავიღეთ და ღვინის გამრავლებას შევუდეგით მაშინ, როდესაც ყოველივე სხვა გარემოება

წინანდელის მაგალითისა დარჩა უცვლელად. ცხადია რომ ღვინო გაკმრავლოთ, პურს უნდა მოვაკლოთ მწარმოებელნი და მიწა. ვსთქვათ ოთხასის თუნგის მაგიერ ექვსასი თუნგი ღვინო მოვიწადინეთ. თუ ხუთს დღიურს და ათს მწარმოებელს ოთხასი მოჰყვანდა, ესე იგი ხუთს მწარმოებელს და ორ დღიურ ნახევარს მიწას ორასი, მაშასადამე პურს უნდა მოკაკლოთ ხუთი მწარმოებელი და ორ დღიურ ნახევარი მიწა და ღვინის წარმოებას დავუმატოთ.*) მართალია, ამათ ექვსასი თუნგი ღვინო გაეძლება, მაგრამ ამ რიგად განახევრებული წარმოება პურისა ორას კოდიდამ ასს კოდ'ზედ ჩამოსტება. აქედამ 50 კოდი თვითონ პურის მწარმოებელთ მოუნდებათ სარჩოდ და 50 კოდი პურიდა იქნება ღვინოზედ გასაცვლელად, მაშინ როდესაც ამას გარდა კიდევ ასი კოდია სიჭირო ულასათვის სარჩოდ და 200 თუნგი ღვინო კი მეტია. ვსთქვათ, მართლა ეს 200 თუნგი ღვინო, რომელიც ჩვენთვის მეტია, გაიტანა ბ-ნმა მეისნერმა და მის სამაგიეროდ თვარატინა ქალალდი მოგვცა. ნუ თუ ეს თვარატინა ქალალდი პურის დანაკლისს არ გვიგრძნობინებს? ნუ თუ პურის მაგივრობას გვიზამს? ნუ თუ ამით ჩვენში პური არ დაძვირდება? პური თუ კი ერთიორად ნაკლები იქნება და საჭიროება იგივე, მისი თვასი, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ერთი ორად მაინც აიწევს და თუ მისი თვასი თვარატინა ქალალდია, ერთიორად ამ თვარატინას მოიითხოვს. რაკი პური ასე დაძვირდება, ამ წარმოებისაგან წასული მწარ-

---

*) ეს მაგალითი თავის ძალას არ დაჰკარგავს, თუნდ ვიგულისხმოთ, რომ იმის გარდა რაც ღვინისა და პურის წარმოებას მიწა უჭირავს, კიდევ არის სხვა მიწები, რომელნიც უქმად არიან, თუ კი მწარმოებელთ ქონება და კაცი რიცხვით იგივე იქნება.

მოებელი და მიწა ისევ ბურს უკანვე დაუბრუნდება იმავე ფარატინების გამორჩომის იმედითა, რამაც წინა მაგალითში ღვინის თობაზედ წაიტყუა ერთიცა და მეორეც. თუ ფარატინა ქალალდმა ერთს შემთხვევაში წაგვიტყუა და ღვინის წარმოება გაგვაძღიერებინა ბურის დაკლებით, რატომ იგივე ფარატინა არ წაგვიტყუებს მეორე შემთხვევაში და ბურის წარმატებას არ გაგვაძღიერებინებს ღვინის წარმოების დაკლებითა? მიზეზი ერთია, შედეგიც ერთი უნდა იყოს. ეს ერთხელ აღძრული ტოკვა სასწორის ულლისა ღვინისა და ბურის წარმოების შუა იქიმდინ იქნება, ვიდრე ღვინო თავის დონემდე არ დავა და ბური თავის დონემდე არ ავა და ამ რიგად ულელი სასწორისა წინანდელ ლარზედ არ დადგება.

მაგრამ გვეტყვიან, რომ ეს ასე არ მოხდებაო, რადგანაც ბურის წარმოებაზედ შეგვიძღიან სრულებითაც ხელი ავიღოთო და ბური რუსეთიდამ გზიდოთო. იმ ფულის შემწეობით, რასაც ჩვენგან გატანილს ღვინოში ბ-ნი მეისნერი მოგვცემსო. შესაძლოა, მაგრამ ის შემოსული ბ-ნ მეისნერისაგან ფული ამ გზით ხომ ჩვენის ქვეყნიდამ ისევ მთლად გაიზიდება და იქნება მოჭარბებითაც, რადგანაც ბური უფრო აუცილებელი და დიდი საჭიროებაა ჩვენთვის ვიდრე ღვინო რუსეთისათვის. მაშინ ბ-ნ მეისნერის მეკობაგეთ ხომ ამითაც გამოეცლებათ ხელიდამ საბუთი, რომ იმედოვნებენ მისგან შემოტანილი ფული ჩვენშივე დარჩებაო; მაშასადამე ფული გაგვიმრავლდება და გავბედნიერდებითო. ეს კიდევ არაფერია. საქმე იმაშია, ჩვენ ამით რა მოგვეპატება? არაფერი. ჩვენიდამ ღვინო იმდენი გავა, რაც მეტია ჯ სწორად იმოდენადაც მეტი იქნება, რაც დანაკლისის ბურის მოსაპოებლად საჭიროა. სასწორი

ჩვენის სარჩო-ქონებისა და საქონლისა არ შეიცვლება და ისევ ამ სახისა იქნება:

ქონება= 400 თუნგი ღვინო+200 კოდი ბური, საქონელი=200 თუნგი ღვინო+100 კოდი ბური, რაც უნდა ბევრმა ფულმა იტრიალოს ამათ საღებ-მიცემოდ.

ზარალი კი ის იქნება, რომ ბური უწინ ახლო საშოვარი იყო და ახლა შორს საძებნელი გახდება და როცა ის შორი ბაზარი რომელისამე გარემოებით ჩვენთვის დაიკეტება, მშიერები ამოგწყდებით. ახლა ერთი ვიკითხოთ: თუ არა მოგვემატება რა, უტკივარი თავი რად ავიტკივოთ.

მაშასადამე ბ-ნ მეისნერის დაბირება რომ ღვინოს თქვენგან ვიყიდი რომ ისევ გავყიდოთ, ესე იგი, ამ სახის ღვინის ვაჭრობას გავმართამოთ, არას გზით და არას მხრით ჩვენდა სახეირად არ უნდა იყოს ცნობილი. საზოგადოდ ვაჭრობა იმ მხრით კი არ არის სახეირო ქვეყნისათვის, რომ ქვეყნის მეტი სარჩო გაიტანოს, არამედ იმ მხრით, რომ იმ მეტის სარჩოთი ის აშოვინოს, რაც აკლია ქვეყანას დანარჩენ სარჩოდ.

„ვაჭრობის სარგებლობა, ამბობს ზემოთვე ხსენებული მეცნიერი—იმაში კი არა მდგომარეობს, რომ გაჰყიდოს საქონელი, როგორც აქამომდე ეგონათ,*) არამედ იმაში, რომ გასასყიდი საქონელი საშუალებათ ხდება სასყიდის საქონლის შესაძენადაო.“

მეორე პირობა ბ-ნ მეისნერისა, რომელიც დიდ ბედნიერებად მიაჩნიათ მის მექომაგეთ, ის არის, რომ თქვენს ღვინოს სხვა ახალს ბაზარს გავუჩენო. აბა ეს არის ის კი თონი, რომელიც ერთს ადგილას აღრჩობს.

---

*) მოძღვრება, რომელიც მერკანტილ სისტემათ ცნობილია მეცნიერებაში, ამას ჰქადაგობდა და ახლა ეგ მოძღვრება უარ ყოფილია.

სხვა ახალის ბაზრის აჩენა მაშინ არის კარგი, როცა უკვე აჩენილი, ესე იგი, დღევანდელი ბაზარი არ იტევს საქონელსა. მაშინ ქვეყანა ან ახალს ბაზარს ეძებს საქონლისათვის, ან, თუ ვერ იშოვა, თვითონ წარმოებას შეატოტავებს, თუ სხვა გარემოებანი უცვლელნი არიან.

ესლა ერთი ვიკითხოთ: ნუ თუ მართლა იმოდენა ღვინო მოდის ჩვენს ქვეყანაში, რომ ჩვენში ვეღარა საღდება. ამაზედ ჭოს ვერავინ გვეტუვის, თუ ალალ-ბედად თქმა არ იკადრა, და თუ იკადრა, ამასაც იტუვის, რომ ათში ერთი ჩათი იყიდება ჩვენშიო და დასარჩენი ცხრა ჩათი გაუსყიდავი რჩებაო.

მართალია, ჩვენში ხშირად ისმის ჩიკილი ღვინო არ გვეყიდებაო, მაგრამ მაგასვე პურის პატრონიც იძახის პურის შესახებ, მატყლისა მატყლის შესახებ, შეშისა შეშის შესახებ და სხვა ამ გვარი. ნუ თუ აქედამ ის დასკვნა უნდა გამოიყვანოს კაცმა, რომ ყოველივე ამ ნაწარმოებით ჩვენი ბაზარი იმოდენად სავსეა, რომ ყოველს ამას ალარ იტევს, ყოველივე ეს ვერა საღდება უმუშტრობის გამო. თუ ეს საჩივარი გამსყიდველთა მართალია, აბა ესლა ეურრ დაუგდეთ რა საჩივარი ისმის იმავე დროს და იმავე ბაზარში მყიდველთაგან: ღვინო ძვირია, პური ძვირია, საკლავი ძვირია, ლამის გაგტეკვადეთო. ეს ჩიკილი რომ ვთარგმნოთ, იმასა ნიშნავს, რომ ჩვენი ბაზარი ყოველ ამით არამც თუ სავსეა, ნაკლულადაც არის. თუ ნაკლულად არ იყოს, იეფობა იქნებოდა. ეს ორი საჩივარი, რომ ერთმანერთს პირში წავუყენოთ, გამოვა, რომ ერთსა და იმავე ბაზარში ერთობ საქონელი ბევრიც არის და ტოტაც ერთსა და იმავე დროს.

მაშასადამე, მართალი ორში რომელი ერთია? ცხადია, არც

ერთი. მართალი სწორედ ამათ შუაა და გერც ერთს კი სული ვერ ჩაუვლია. საქმე იმაშია,—გერც საქონლის გამსუიდავი, როგორც კერძო პირი, გერც მსუიდავი გერა ჭსცნობს ეკონომიურს ვითარებას რომელიმე დროისას და ამიტომ ჭგონია ერთსაც და მეორესაც, რომ სასწორს საქონლის ღირებულობისას თავიანთ სურვილისამებრ თუნდა ასწევენ, თუნდა დასწევენ მარტო თავის სასარგებლოდ. როცა ღვინის პატრონი ჩვის ღვინო არ მეუიდებაო, ეგ ჩვიული ასე უნდა ითარგმნოს, რომ იმ ფასად არ ეუიდება, რამოდენიც გულში ჩაუდვია და როცა იმავე დროს ღვინის მსმელი, ესე იგი, მუშტარი ჩვის ღვინო ძვირიაო, ეს იმასა ნიშნავს, რომ იმ ფასად ვერ უეიდნია, რაც ემეტება. ეს ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმაა ალებ-მიცემობისა.

ბაზარი კი, როგორც საერთო, საყოველთავო სასწორი საქონლის ღირებულობისა თვითვეულის სურვილს კი არ ემორჩილება, არამედ საზოგადო ეკონომიურს ვითარებას, რომელიც საქონლის ფასს ხან ასწევს ხოლმე, ხან დასწევს საერთო წარმოების მთელს სიერცეზედ. ტეუილია, თუ ეკონომიური ვითარება საზოგადოდ ისეთია, რომ ორ თუნგ ღვინოზედ მარტო ერთი კოდი პური იშოვება, რაც უნდა მაღლა ასწიოთ თქვენის ღვინის ფასი, მაინც იმოდენას მოგცემენ, რამოდენადაც ერთი კოდი პური იეიდება იმავე დროს და იმავე ბაზარში. თუ არა და ღვინოა, თუ პური, შინ დაგრჩებათ თქვენისავე ხირებით და არა იმიტომ რომ მსეიდველი არ არის. ბა ღვინის გამსეიდველმა-პატრონმა ამ საზოგადო ეკონომიურს ვითარებას შეეტოლოს ღირებულობა თავის საქონლისა, თუ ჩვენმა ბაზარმა ეოველივე ეს არ მოიზიდოს და არ დაიტევოს ბეკეე ითქმის საზოგადოდ სხვა საქონელზედაც, რადესაც

იმავე დროს და იმავე ბაზარში საქონლის პირდაპირი მსმარეველი ბევის, საქონელი გაძვირდაო.

შორს რად მიგდიგართ: რომ ჩვენი, თუნდაც კამმისიანსაგან ეგრე დაწუნებული თბილისის ბაზარი იტევს მთელს ჩვენს ნაწარმოებს ღვინოს და თითქმის არცა ჭეოთვნის, ამის დასამტკიცებლად საკმაოა ვსთქვათ, რომ დღეს თბილისში არამც თუ მარტო ქართლ-კახეთის ღვინო სადდება, როგორც უწინ, არამედ იმერეთიდამაც დიდ-ძალი ღვინო შემოდის. დრო იყო, რომ საფრანგეთიდამაც შემოიტანეს *) და მუშტარს შოულობდნენ.

მაშ რა საბუთი გვაქვს, რომ ვამბობთ ჩვენი ღვინო ჭარბია ჩვენის ბაზრისათვისაო? მაშ რას გვიხარიან ახალის ბაზრის აჩენა? ღვინო დიდ-თვასად გავაო, ამბობენ ბ-ნ მეისნერის მეკომაგენი, ესეიგი, აქაც კიდევ ბეგრის ფულის ჩვენში შემოსვლას სარბობენ. ჩვენც ვეუბეთ, არა უშავს-რა, თუმცა შეგვეკვიცით, რომ ფულის სიმრავლე, უკეთუ რიცხვი ერთობ საქონლისა ჩვენს ქვეყანაში იგიგეა, არაფერს შეგვმატებს.

ჩვენ ამაზედ ვუპასუხებთ, რომ ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა დიდ თვასად ვერ იყიდის ჩვენს ღვინოებს. ბაიხედეთ ბ-ნ მეისნერის ნუსხაში, რომელიც მის პროექტზედ დართულია ჩ ნახავთ, რომ იმ ახალის აზრის იმედით იგი თავს კახურს ღვინოში თექვსმეტს ბოთლში (ერთს ვედრაში) სამს მანათს გვპირდება, ესე იგი, ბოთლში $18^3/_4$ კაპ. და დაბალ ღვინოში $7^1/_2$ კაპ. თუნგში $37^1/_2$ (ვედრაში ექვს ბოთლს). ეს თავ

*) ბ-ნი რიშარი მიწაბ ბაქრ დამოუნისა ქალალდის ფულით იყო, საფრანგეთის ღვინოსა ჭყიდდა ქალაქში მთელი ორი წელიწადი ბოთლს ორ აბაზათა და მუშტარსაც შოულობდა.

ღვინოში ისიც კახურში და თუნდ დაბალ ღვინოებში რომ ეგ თვისები დაიდვას, დიდი თვისია, თუ იმაზედაც ნაკლები, რაც დღეს ჩვენშია, მაშინ როდესაც, ზოგიერთის სიტყვით, ვითომ ჩვენში ღვინო $^{9}/_{10}$ გადასაღვრელიაო! აბა თუ კაცია ვინმე და თავი ღვინო კახეთში მაგ თვისად იყიდოს დღეს: ეგეც ითქმის დაბალ ღვინოების შესახებაც. ჯერ ჭეაპურტა ღვინოებს ქალაქის ახლო სოფლებისას თუნგი იყიდება დღეს 50, 60, 70, 85 და 90 კაპ. და ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა კი $37^{1}/_{2}$ კაპ. გვაირდება თუნგში. ჯერ აქედამ ჭსჩანს რა განზრახვა და რა სურვილი მიუძღვება წინ ბ-ნ მეისნერის ამხანაგობას.

ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ეგ ამხანაგობა ბოლოს მაგასაც არ შემოგვაძლევს, უფრო ბირს დასტეძს ჩვენის ღვინოების თვისა.

თუალი რა კი თავის პირდაპირ დანიშნულებას გადასტეძ-ბა ხოლმე, რაკი გასუიდვას სუიდვისათვის არ მოახდენს, არა-მედ სუიდვას გასუიდვისათვის, როგორც ბ-ნმა ოსელიანმა სამართლიანად ჭსთქვა, მაშინ თუალი საქონლის საალებ-მისა-ტეძო საშუალებად კი არა ხდება, არამედ საალებ-მიტანეძო საგ-ნად საქონლის საშუალებითა. ამ ეოხვაში თუალს ქვეუ-ნის გამდიდრება კი არ მოსდევს, არამედ იმისი, ვის ჯიბიდა-მაც ამოდის, რათა იმის ჯიბეშიეე უკანვე ჩავიდეს. უბღარტებ-ლად ჯიბიდამ თუალის ამოსვლა და ჩასვლა ტეუილი ნაცარ-ქექიობა იქნებოდა. ამიტომაც თუალი ამ შემთხვევაში მარტო იმის სიხარბეშია, რომ რაც შეიძლება დიდის მოგებით დაუბ-რუნდეს იმავ ჯიბეს, საიდამაც ამოვიდა. მაგ სიხარბეს საზღვა-რი არა აქვს. მაგ გზაზედ დამდგარი თუალი ისეთი ეროვნია, რომ რაოდენი კეერცხიც გინდათ შეუწყოთ, იმდენს ბარტეს ეცდება გამოუჩიოს ფაკის ბატრონსა.

ბ-ნის მეისნერის ამხანაგობას რომ ნუსხა გავუსინჯოთ, ვნახავთ, რომ განზრახვათა აქვს გაიტანოს ჩვენიდამ 6120 ურემი ღვინო: აქედამ 4320 ურემი ღვინო ბოთლი $31^1/_4$ კაპეიკად უნდა გაჰყიდოს და 1800 ურემი თავი ღვინო ბოთლი 70 კაპეიკად. მოსაგებად დანიშნული აქვს მანათზე 34 კაპეიკი. ახლა იფიქრეთ, ბ-ნ მეისნერის ამხანაგობამ რომ ამოდენა ღვინო გაზიდოს ჩვენის ქალაქიდამ, მაგრე იყოფადა ჰყიდოს რუსეთში და მაინც მაგდენი წმინდა მოგება დარჩეს, რა უნდა იქონიოს გულში? ის უნდა ედგას გულში, რომ რაც შეიძლება ჩვენში ღვინოები იაფად იყიდოს, რაც შეიძლება ფასი ღვინისა ძირს დასწიოს, თორემ შეუძლებელია, მაგ ფასად ჩვენი ღვინო რუსეთში ჰყიდოს და ამით არამც თუ მოიგოს რამე, არამედ დიდი ზარალი არა ნახოს. სამ აბაზ უზალოთუნად თავს ღვინოს დღეს ჩვენშიაც ვერ იყიდით, $31^1/_4$ კაპეიკად იმის მომდევარს გაინახრობით ძლივს იშოვით ჩვენში დღესაც და ბ-ნ მეისნერის ამხანაგობამ ან ერთისა ან მეორის ჯერის ღვინო როგორ უნდა ჰყიდოს რუსეთში მაგ ფასად? აშკარაა, ან იქ უნდა მოუმატოს ფასი, ან აქვე ჩალის ფასად ჩაიგდოს ხელში. ამ ორში იმ გზას უფრო დაადგება, რომელიც უფრო ადვილია, უფრო ჭკუაზედ ახლოა და ჭკუაში დასაჯდომია.

რუსეთში რომ ჩვენი ღვინოები დანიშნულ ფასებზედ უფრო ძვირად გაჰყიდოს, ხელს არ მისცემს ამხანაგობას. იმიტომ-რომ ერთობ ძვირის საქონლის მუშტარი მარტო მდიდარი კაცია და მდიდარი ცოტაა უკეთგან და რაც არის, ისიც ჭირგეულია, ქეიფის კაცია, თავის ნებისა არის. გარდა ამისა მდიდარი კაცი რუსეთისა შეჩვეულია სხვა ღვინოებს ევროპიისას და ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა, რაც უნდა ეცადოს, ამ მუშ-

ტარს ვერ ჩამოაცლის საფრანგეთის ღვინოებს და ჩვენს ღვინოებისაკენ ვერ გადმოიბირებს. ამისათვის, რომ მდიდარის კაცისათვის ღვინო არამც თუ მარტო საჭირო და სასიამოვნო სასმელია, არამედ თავ-მოსაწონებელი და სახელ-განთქმულიც უნდა იყოს. აკი ვამბობთ, რაც უნდა ეცადოს ბ-ა მეისნერის ამხანაგობა, საფრანგეთის ღვინოებს ვერ გაუტანს სახელს და ჩვენსას ვერ მოანიჭებს რუსეთის მდიდარის კაცის თვალში. მაშასადამე, ერთი ღონე-და დარჩება ამხანაგობას, რუსეთის შუათანა წრ-ს სალხი აიჩინოს მუშტრად. ამისათვის ჩვენი ღვინო, რაც შეიძლება, იქ იაფად უნდა ჭეიდოს, რომ იაფობით ღვინის უჩვეი სალხი შეაჩვიოს ღვინოსა. უ-მისოდ იმ 6|20 ურმის გასაღება რუსეთში სანატრელი სიზმარი იქმნება.

რაკი ძვირად გასყიდვა ჩვენის ღვინისა, რუსეთში მუშტარს ვერ იშოვის, ამიტომაც ბ-ნი მეისნერის ამხანაგობა იმის მცადინეობაში იქნება, რომ აქ ჩვენშიეე სყიდვის დროს ღვინო იაფად ჩაიგდოს. ამას ძალიან ადვილად მოახერხებს. რაკი ამხანაგობა, ვითარცა ერთი კაცი, იმოქმედებს იმ დიდ-ძალ ფულითა, რომელიც მას სულთ-ექმნება. პირველ წელიწადსვე შეუძლიან სულ შემოიფეთხოს ყველა ღვინის კაჭარი, რაც კი ესლა ჩვენში არის. ვინც საქმით იცის ჩვენის ღვინის საქმე და არა გაგონითა, ის დაგვერწმუნება, რომ ორი ათასი თუმანია საჭირო, რომ რაც უკეთესი მარნებია კახეთში სულ ხელში დაიჭიროს. ამას გარდა, შესაძლოა ოცი, ორ-ოცი ურემი ღვინო თუნდ ას-ას თუმნად დავიკიეთო კახეთში, ამით ფასები დროებით ავწიო, წვრილი ვაჭრები შემოვიფეთხო და რაკი ბურთი და მოედანი მე დამრჩება და სხვა მოცილე არ მეყოლება, დანარჩენი ორასი და სამასი ურემი

წელის ფასად ჩავიგდო და რასაც ოცს ურემში წავაგებ ფასებრის აწევითა, ის ერთი-ორად დავიბრუნო ორასისა და სამასის ურმის ფასების დაწევაში. ვინ იტყვის, რომ ამხანაგობა, რომელსაც განუზრახავს მანათზედ 34 კაპეიკის მოგება, ამას არა იქმს? აი ამიტომ შორ-მხედველნი მეწინააღმდეგენი ბ-ნ მეისნერის პროექტისა ამბობდენ, რომ მონოპოლიობა ჩამოვარდებაო.

თუნდ ეგეც არ იყოს და დავუჯეროთ ბ-ნ მეისნერის მეტომაგეთა, რომ ღვინოების ფასი აიწევა, რაკი რუსეთი ჩვენის ღვინის ბაზრად შეიქმნებაო. თუ მართლა ეგრე იქნება, დიდ-ძალი ღვინო ჩვენის ქვეყნისა სულ რუსეთისაკენ გაეზიდება, დიდ-ძალი ღვინო გავა, მაშასადამე ღვინო ჩვენში დაძვირდება ასე, რომ ამოდენა ხალხი, ღვინის სმას ჩვეული, ღვინოს თვალით ვეღარა ნახავს, ჯერ იმის გამო რომ ცოტა იქნება, მეორე იმის გამო, რომ შეძლება არ ექნება დიდ ფასს შესწვდეს. მაშასადამე ეს შინაური ჩვენი ბაზარი აღაგდება, მერე მკვიდრი ბაზარი, რადგანაც დღეს აქამომდე ისეთი მუშტარი ჭუავს, რომელიც ღვინოში ჩვეულს და მეტად საჭირო სასმელს ხედავს და მის საძაგიერად გაიხსნება ისეთი ბაზარი, საცა მაგ ჩვეულებამ და საჭიროებამ უნდა ახლად ფეხი მოიკიდოს. ცხვირ-წინ ბაზარს ვაუქმებთ, რომ ცხრა მთის იქით ახალი ავიჩინოთ. ჩვენდა საბედნიეროდ რომ ეს მოხდეს, აქ ცხვირ წინ ბაზარი დაკეტოთ და რუსეთში ავიჩინოთ, მერე ვინ დაგვიდგება თავდებად, რომ ამხანაგობა არ გვეტყვის გინდათ ამ ფასად მამყიდეთ თქვენი ღვინო, თუ არა თქვენ თვითონ წაიღეთ რუსეთშიო: რუსეთში ჩვენ ჩვენს ღვინოს ვერ წავიღებთ, შინ გასავალი იმოდენა აღარ იქნება და ჩვენ ან

უნდა ბ-ნ მეისნერის ამხანაგობას დაგემორჩილოთ, ან ვენახები გადავკაფოთ.

ეოგელს ამას თავი დავანებოთ და მარტო ის წარმოვიდგინოთ, რა ქმნა იმ გარემოებამ, რომ თეგზმა და ხიზალალამ სალიანისამ ახალი ბაზარი აიჩინა რუსეთში ამ საქონლის ვაჭრობამ იქით გაიწია? ისა ქმნა, რომ ეგ საეოგელდღეო საჭმელი ჩვენის ხალხისა საერთოდ, დღეს მარტო მდიდრის სანუკბარი-ღა შეიქმნა, თეგზსა ან ხიზალალას ეხლა მარტო მდიდარი თუ ხმარობს საჭმელად, თორემ სხვას სიზმრადაც ალარ ეზმანება. ვინ გაგეთდა ამით? სალიანის მოიჯარადენი და ხალხი კი, ჩვენი ქვეყანა გაღარიბდა იმოდენად, რამოდენადაც თეგზი და ხიზალალა დაკლდა. იმოდენად გაღარიბდებით ჩვენც, რამოდენადაც ჩვენ ჩვენი ჩვეული სასმელი მოგვაკლდება. ეს უეჭველია. ესეგე აზრი წარმოსთქვა სამეურნო საზოგადოების კრებაში ბარონ ნიკოლაიმ და ამაგე აზრს ბევრი სხვანიც მიეკრნენ.

რასაკვირველია, ბ-ნ მონასტირტეკეს და სხვას მაგ გვარებს ადვილად შეუძლიან სთქვან: ოჰ, დიდი რამ იქნა თუ ქართველებმა ღვინო არა სვეს. თათრები რომ ღვინოს არა სმენ, კაცები არ არიანო. რომ გაბრიყვდეთ და ეგრე წავიდეთ როგორც ბ-ნი მონასტირტეკი, განა ჩვენ კი კერ გეტყვით: ოჰ, დიდი რამ იქნება თუ ბ-ნ მონასტირტეკმა წაღები არ აცარა. განა ცოტანი არიან, რომ ფეხშიშველა დაიარებიან. მაშ ისინი კი კაცები არ არიან!

ამისთანა სასაცილო აზრს ისევ ბ-ნ მონასტირტეკს დაუთმობთ, დეე მაგან მაგ აზრით განაგოს ქვეყანა და ჩვენ ღმერთს მადლობა შევწიროთ, რომ ბ-ნი მონასტირტეკი ჩვენის ბედის გამგებლად თავის დღეში არ იქმნება.

დაგვრჩა ახლა მესამე დაპირება ბ-ნ მეისნერის პროექტი-

სა, სახელდობრ ისა, რომ ღვინოს მე გავაკეთებ, თქვენ ოღონდ ვენახები აკეთეთ და ბევრი ყურძენი მოიყვანეთო. ეს რომ მდაბიურად ვთარგმნოთ, ეს არის: «დღეს თქვენ ვენახების მკეთებელიცა ხართო და ღვინისაცაო. რაკი ორიგე წარმოება ხელთ გიჭირავთ, ჭსჩანს ერთიდამაც რასმეს ხეირს ხედავთ და მეორიდამაცაო. მოდით ერთი წარმოება მაგ ორისაგან მე დამითმეთო, ისეთი რომელიც უფრო ფაქიზია და სამუშაოდ უფრო ადვილი, ესე იგი, ღვინის კეთებაო.» მერე ჩვენ რას გვაძლევთ მის სამაგიეროს, სახელდობრ, იმის სანაცვლოდ, რაც ღვინის კეთება ვენახის კეთებასთან ერთად ჩვენ ხეირს გვაძლევდა, ვკითხავთ ჩვენ? არაფერსაო. თქვენი ხეირი ეს იქნებაო, რომ უფრო უკეთესი ღვინო იქნება თქვენი ღვინოო, იმასაც თქვენ კი არ დაგაღვინებთ, რუსეთში გავიტანო და ამ გზით სახელი თქვენი იქნებაო და სასრავი კი ჩემიო. თქვენ მარტო ვენახების კეთებაც გეყოფათო.

აი ოკეანეთვის ამისთანა შედეგი აქვს, როცა ეგრედ წოდებული კაპიტალობრივი წარმოება თავს ამოჭყოფს ხოლმე ქვეყანაში და ფეხს მოიკიდებს. აი სწორედ ამის გამოამბობს ერთი გამოჩენილი მეცნიერი, რომ «კაპიტალობრივი წარმოება იმისთანა მოქმედებაა, რომელიც მწარმოებელს ხელში არ შეარჩენს წარმოების საშუალობასაო და ცდილობსო მარტო მისის მარჯვენის ანაბარას დაგდოს და სხვა ყოველისფერი ჩამოართვასო.»

ჩვენ ძალიან გძლად მოგვივიდა ეს ლაპარაკი და ამიტომაც ამ საგანზედ, რომელიც ადვილად მისასვლელია თავისთავადაც დიდსანს ვერ შეგუდგებით, მხოლოდ ვიტყვით, რომ ბ-ნ ელიზოვისა და იოსელიანის შიშს, რომ ამხანაგობა მიწასაც ხელიდამ გამოგვაცლისო, საუურადღებო და ძნელად და-

სარდგეი სბუთი აქვს. აი ამ საგანზედ რა ჭსთქვა 1845 წ. პარლამენტში ეხლანდელმა პირველმა მინისტრმა ინგლისისამ გლადსტონმა, რომელსაც როგორც ფინანსისტს თითქმის ცალი არა ჭუავს მთელს ქვეყნიერებაზედ: «ერთი ყველაზედ საძწუხარო ამბავი ჩვენის ქვეყნის (ესე იგი ინგლისის) ეროვა-ცხოვრებისა იმაში მდგომარეობს, რომ რამოდენადაც ძლიერ-ბევრდება უმაღლეს წოდებათა ხელში სიმდიდრე და იზდება ჩვენს ქვეყანაში კაპიტალი, იმოდენად ცხოვრების სახსარი აკლ-დება ხალხს, იმოდენად ნაკლებულობა და სიღატაკე მატულობს მუშა ხალხს შორისო.»

იმოდენა ფულით სიმდიდრე არსად არ არის, როგორც ინგლისში და მის მხარ და მხარ ისეთი სიღატაკეა უმრავლე-სობისა, რომ ამბადაც ძნელი დასაჯერია. პრუსიამ ხუთი-ათასი მილიონი ბაჯაღლო ოქრო წაართვა საფრანგეთს და ამ უზარმაზარმა ფულმა კი არ გაამდიდრა პრუსია, არამედ ისე გაუხადა საქმე იქაურთა მკვიდრთა, რომ მაგ ფულის შე-მოსვლისაგან უმალ ხალხის გასიზვნამ პრუსიიდამ იმატა, რად-განაც არაქათი ცხოვრებისა ადარ იყო.

ამ სახით, რა მხრითაც უნდა მივუდგეთ ბ-ნ მეისნერის პროექტს, რომელი აღთქმა ლ დაპირებაც არ გავსინჯოთ, ვნა-ხავთ რომ მასში ჩვენი სახეირო არ არის-რა და საკვნებელი კია. ასეც იტნო კავკასიის სამეურნო საზოგადოებამ ბოლოს და უარ-ჰყო იგი პროექტი.

აანცხადებანი.

მომავალს **1883** წელს ყოველ-დღიური გაზეთი

«დროება»

გამოვა იმავე პროგრამმითა და წესით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

რედაქციას იმედი აქვს, რომ ზოგიერთ ახალის თანამშრომლებისა და სხვა ღონისძიების შემწეობით, მომავალის წლიდამ გააუმჯობესოს თავის გაზეთი და ისეთი ცვლილება შემოიღოს იმის გამოცემაში, რომლისთვისაც მკითხველნი კმაყოფილნი დარჩებიან.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში: «დროების» რედაქციის კანტორაში, გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, ბულვარის ძველოთ.

ქუთაისში:—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათომში: ლევ. მჭედლიშვილთან, საკუთარს სახლში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი **Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „ДРОЭБА“**

ფასი ხელის-მოწერისა:

ერთის წლით: — — — — — — — —	9 მან.
ნახევარის წლით — — — — — — — —	5 „
სამის თვით — — — — — — — —	3 „
ერთის თვით — — — — — — — —	1 „

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. სანდარი თუ ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვთხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწეროს.

რედაქტორი სერ. მესხი.

გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

«შრომა»

მომავალს 1883 წელს

გამოვა იმ გვარადვე, როგორც აქამდის გამოდიოდა.

ხელის-მოწერა:

ქუთაისში: რედაქციაში, თბილისის ქუჩ., ქურთოკვის სახლში.

თბილისში: შავერდოვის საგენტოში.

გაზეთის ფასი: წლით—შვიდი მან., ექვსის თვით—ოთხი მან., სამის თვით—ორი მან. და ხუთი შაური.

საფოსტო ადრესი:

Кутаисъ, въ редакцію газеты «ШРОМА.»

ОБЪ ИЗДАНІИ

ВЪ 1883 ГОДУ

ЕЖЕНЕДѢЛЬНАГО ЮРИДИЧЕСКАГО ЖУРНАЛА

„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(годъ третій).

Журналъ какъ и прежде, выходитъ по четвергамъ, *въ размѣрѣ* отъ 1 до 2 печатныхъ листовъ *текста*, кромѣ приложеній, по прежней программѣ, въ объемъ которой входятъ *статьи по всѣмъ вопросамъ*, вытекающимъ *изъ теоріи* и *практики права и судопроизводства*, *перечень*, *изложеніе* и *обсужденіе* важнѣйшихъ *распоряженій и узаконеній правительства*, краткіе *отчеты* (а въ случаяхъ важныхъ стенографическіе) о выдающихся судебныхъ дѣлахъ, особенно интересныя гражданскія *рѣшенія*, случаи изъ судебной жизни и

практики (*разныя извѣстія*), *корреспонденціи* юридическаго содержанія, *городская хроника*, перечень *новыхъ книгъ* юридическаго содержанія и *обзоръ печати*, *тезисы кассаціонныхъ рѣшеній*: правительствующаго сената и Тифлисской судебной палаты, *судебный указатель* и пр.

Редакція журнала—*Тифлисъ*, *Давидовская ул.*, *д. Кананова*.

Администрація (для пріема подписки, объявленій и розничной продажи)—*Тифлисъ*, *Сололакская ул.*, *д. Меликова*.

Подписная цѣна на журналъ съ доставкою и пересилкою: *на годъ — 10 р.*, *на 9 мѣс. — 8 р. 20.*, *на 6 мѣс. — 6 р.*, *на 3 мѣс. — 3 р. 20 к.* и *на 1 мѣс. —1 р. 20 к.*

Подписаться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.—*Отдѣльные нумера* по 25 к.—*Объявленія*, казенныя и частныя, *по таксѣ* за занимаемое мѣсто.—Кромѣ администраціи журнала, подписка и объявленія принимаются въ *Москвѣ*, и *С.-Петербургѣ* въ книжныхъ магазинахъ И. П. Анисимова.

Издатель А. С. Френкель. Редакторъ А. В. Степановъ.
(Присяжный повѣренный).

ლეონ გამბეტა (ნეკროლოგი).

19 დეკემბერს 1882 წ. ღამის თორმეტ საათზედ დალია სული იმისთანა კაცმა, რომლის სიკვდილმაც მეორე დღეს დამდგარი ახალი წელიწადი საფრანგეთს ბედნიერ დღის მაგივრად უბედურ დღედ შეუცვალა. დალია სული ლეონ გამბეტამ, საფრანგეთის რესპუბლიკის დამაარსებელმა, თორმეტის წლის განმავლობაში დაუღალავმა დარაჯმა, რომ მის ნაამაგარის რესპუბლიკის მშვიდობიანობა არავის შეერყია და რესპუბლიკა მონარხიად არ გადაქცია. ეს ძალოვანელმა სიკვდილმა შესძრა მთელი საფრანგეთი, მთელი ევროპა, მთელი ქვეყანა... ორის სიტყვით გამბეტას მნიშვნელობის გამოთქმა ძნელიც არის და ტოდოც არის. ჩვენი ჟურნალი ამ განსაცალკევებულ კაცზედ ცალკე წერილს დაბეჭდავს მომავალს იანვრის წიგნში, ესლა კი მის მნიშვნელობის საჩვენებლად მოვაგონებთ მკითხველებს, რომ თვით სხვა-და-სხვა ხელმწიფეებმაც კი მწუხარება განუცხადეს გამბეტას მეგობრთა და ნათესავთ, იმ კაცის ნათესავთ, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ებრძოლა თავის ქვეყნის ბედნიერებისათვის. გამბეტა დასასთელავეს პარიკში 25 დეკემბერს ისეთის დიდებით, რომლის მზგავსი, ეგონებთ, არც ერთს მომავალს არა ღირსებია.

n 383
1882

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲐᲛᲐ 1882 ᲬᲔᲚᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲡ «ᲘᲕᲔᲠᲘᲐᲖᲔᲓ» ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲗᲔᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲗ.

ᲤᲐᲡᲘ ᲛᲗᲔᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲡᲐ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ «ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ» ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ ᲒᲝᲚᲓᲒᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔᲓ (ᲑᲣᲚᲕᲐᲠᲖᲔᲓ), ᲝᲜᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ № 9 Დ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲨᲐᲣᲠᲓᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲨᲘ.

ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ Დ ᲤᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲝᲗ:

Въ Тифлисъ
Въ Редакцію журнала «*ИВЕРІЯ*»

ᲒᲘᲡᲐᲪ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲕᲘᲓᲔᲡ, ᲒᲗᲮᲝᲕᲗ, ᲛᲐᲚᲔ ᲐᲪᲜᲝᲑᲝᲗ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲘᲚ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ Დ Ი. ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲘ.